



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

დიდი პალატა

CASE OF STANEV V. BULGARIA სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ

(საჩივარი no. 36760/06)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 17 იანვარი

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქტირებას

საქმეში **Stanev vs. Bulgaria**,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელიც შეიკრიბა პალატის სახით შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ნიკოლას ბრათზა, თავმჯდომარე
ჟან-პოლ კოსტა,
ფრანსუაზა ტულკენსი,
ჟოზეფ კასადევალი,
ნინა ვაჯიჩი,
დინ სპილმანი,
ლეს გარლიცკი,
ხანლარ ჰაჯიევი,
იზაბელ ბერრო-ლეფევრე,
ლუის ლოპეს გუერა,
მარიანა ლაზაროვა ტრაიკოვსკა,
ზდავკა კალაჯიევა,
ჟანა იუდკივსკა,
ვინცენტ ა. დე გაეტანო,
ანჟელიკა ნუსბერგერი,
იულია ლაფანჟუ, მოსამართლეები
და ვინსენტ ბერგერი, იურისკონსულტანტი

იმსჯელა განმარტოებით 2011 წლის 9 თებერვალს და 7 დეკემბერს,

და 2011 წლის 7 დეკემბერს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს ბულგარეთის მოქალაქე ბ-ნი რუსი კოსევი სტანევის (“მომჩივანი”) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2006 წლის 8 სექტემბერს, სასამართლოში ბულგარეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი (ნო. 36760/06).

2. მომჩივანი, რომელსაც სასამართლომ მიანიჭა სამართლებრივი დახმარება, წარმოდგენილ იყო ქალბატონი ა. ჟენოვას მიერ, ფსიქიკური აშლილობის ადვოკატორების ცენტრის ადვოკატი, ბუდაპეშტში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია. ბულგარეთის მთავრობას (“მთავრობა”) წარმოადგენდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროდან ქალბატონები ნ. ნიკოლოვა და რ. ნიკოლოვა.

3. მომჩივანი ჩიოდა მისი ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსების და მის მიერ ამ სახლის დატოვების ნებართვის მოპოვების შეუძლებლობის გამო (კონვენციის მეხუთე მუხლის პირველი, მეოთხე და მეხუთე პუნქტები). კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, ცალკე აღებული და კონვენციის 13-ე მუხლთან ერთობლიობით, მან დამატებით წარადგინა საჩივარი განთავსების პირობებთან დაკავშირებით. მან ასევე განაცხადა, რომ არ ჰქონდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობა, რათა დროებითი მეურვეობისგან გათავისუფლებულიყო (კონვენციის მე-6 მუხლი). საბოლოოდ, იგი ჩიოდა მეურვეობის რეჟიმის შედეგად სახლში მისი მოთავსების პერიოდში არსებული შეზღუდვების გამო, რომელიც ხელყოფდა მისი პირადი ცხოვრების უფლებას კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, ცალკე აღებული და კონვენციის მე-13 მუხლთან ერთობლიობაში.

4. საჩივარი გადაეცა სასამართლოს მეხუთე სექციას (სასამართლოს წესების 52§1 წესი). 2010 წლის 29 ივნისს დასაშვებობის და არსებითი განხილვის სხდომის ჩატარების შემდეგ, 2009 წლის 10 ნოემბერს საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული (რეგლამენტის 53§3 მუხლი) სექციის პალატის მიერ შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით: პირ ლორენზენი, თავმჯდომარე, რენატე ჯაგერი, კარელ იუნგვიერტი, რაიტ მარუსტე, იზებელ ბერრო-ლეფევრე, მირიანა ლაზაროვა ტრაიაკოვსკა და ზდრაჟკა კალაჯიევა მოსამართლეები, და ასევე კლაუდია ვესტერდიკი, სექციის რეგისტრატორი. 2010 წლის 14 სექტემბერს იმავე სექციის პალატამ შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით: პირ ლორენზენი, თავმჯდომარე, რენატე ჯაგერი, რაიტ მარუსტე, მარკ ვილიჯერი, იზებელ ბერრო-ლეფევრე, მირიანა ლაზაროვა ტრაიაკოვსკა და ზდრაჟკა კალაჯიევა მოსამართლეები, და ასევე კლაუდია ვესტერდიკი,

სექციის რეგისტრატორი, საქმის განხილვის იურისდიქცია დათმო დიდი პალატის სასარგებლოდ, არცერთ მხარეს არ გამოუხატავს პრეტენზია ამ საკითხთან დაკავშირებით (კონვენციის 30-ე მუხლი და რეგლამენტის 72-ე მუხლი).

5. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 26 \$ 4 და 5 მუხლის და რეგლამენტის 24-ე მუხლის შესაბამისად.

6. მომჩივანმა და მთავრობამ სათითაოდ წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებები საქმის არსებითი მხარესთან დაკავშირებით.

7. გარდა ხსენებულისა, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ იქნა საქმეში მესამე მხარედ ჩართული არასამთავრობო ორგანიზაცია ინტერიგეტს-ის მიერ, რომელსაც თავმჯდომარემ დართო ნება მონაწილეობა მიეღო წერილობით პროცედურაში (კონვენციის 36\$2 მუხლი და რეგლამენტის 44\$3 მუხლი).

8. მოსმენა გაიმართა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2011 წლის 9 თებერვალს (59 \$ 3 მუხლი).

სასამართლოს წინაშე წარსდნენ:

(ა) მთავრობის სახელით

ქ-ნი ნ. ნიკოლოვა, იუსტიციის სამინისტრო

ქ-ნი რ. ნიკოლოვა, იუსტიციის სამინისტრო

თანაწარმომადგენელი

(ბ) მომჩივნის სახელით

ქ-ნი ა. ჟენოვა

ადვოკატი

ქ-ნი ვ. ლი

ქ-ნი ლ. ნელსონი

მრჩეველები

სასამართლომ მოისმინა მათი სიტყვები. მომჩივანი იყო ასევე წარმოდგენილი.

ფაქტები

I. saqmis garemoebebi

9. მომჩივანი დაიბადა 1956 წელს რუსში, სადაც იგი ცხოვრობდა 2002 წლის დეკემბრამდე მის დასთან და მამამისის მეორე ცოლთან ერთად, ერთადერთ ახლო ნათესავებთან. 1990 წლის 20 დეკემბერს, პროფესიულმა ფსიქიატრიულმა კოლეგიამ მიიჩნია იგი შრომისუუნაროდ. კოლეგიამ დაადგინა, რომ 1975 წელს დადგენილი შიზოფრენიის დიაგნოზის შემდეგ, მომჩივანს აღენიშნებოდა 90%-იანი შეზღუდულ უნარიანობა, მაგრამ არ საჭიროებდა დახმარებას. ამის გამო იგი იღებს ინვალიდობის პენსიას.

A. მომჩივნის დროებითი მზრუნველობის ქვეშ მოთავსება და ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა სოციალური დახმარების სახლში მოთავსება

10. 2000 წელს დაუდგენელ დროს, მომჩივნის ორი ნათესავის თხოვნით, რუსის რაიონულმა პროკურორმა მიმართა რუსის რაიონულ სასამართლოს (Окръжен съд) მომჩივნის ქმედუუნაროდ მიჩნევის მოთხოვნით. 2000 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანი უნდა ყოფილიყო მიჩნეული ნაწილობრივ ქმედუუნაროდ იქიდან გამომდინარე, რომ იგი დაავადებული იყო უბრალო შიზოფრენიით 1975 წლიდან და მისი უნარი, მიეღო გადაწყვეტილებები, გაეცნობიერებინა შესაბამისი ინტერესები და ქმედებათა შედეგები, ძალიან მყიფე იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის პირობები არ იყო იმდენად სერიოზული, რომ მისი სრულად ქმედუუნაროდ მიჩნევა ყოფილიყო აუცილებელი. კერძოდ სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტულად 1975 წლიდან 2000 წლამდე იგი მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში რამდენიმეჯერ. სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, რომელიც წარმოდგენილ იქნა სამართალწარმოების ფარგლებში და ასევე დაკითხა მომჩივანი. დამატებით, სხვა დაკითხულ პირთა მიხედვით, მომჩივანმა გაყიდა მთლიანი საკუთრება, მათხოვრობდა საარსებო მინიმუმისთვის, ხარჯავდა მთლიან მის ფულს ალკოჰოლში და ხდებოდა აგრესიული ნასვამ მდგომარეობაში.

11. აღნიშნული ძალაში დარჩა ველიკო ტარნოვოს სააპელაციო სასამართლოს (Апелативен съд) 2001 წლის 12 აპრილის განჩინებით, რომელიც იხილავდა მომჩივნის საჩივარს და შემდგომ 2001 წლის 7 ივნისს საქმე გადაეცა რუსის მუნიციპალურ საბჭოს, რათა დანიშნულიყო მეურვე.
12. მას შემდეგ რაც მომჩივნის ოჯახის წევრებმა უარი თქვეს მეურვის პასუხისმგებლობის აღებაზე, მუნიციპალურმა საბჭომ 2002 წლის 23 მაისს 2002 წლის 31 დეკემბრამდე დანიშნა მომჩივნის მეურვედ საბჭოს ოფიცერი ქ-ნი რ.პ.
13. 2002 წლის 29 მაისს რ.პ.-მ თხოვა რუსის სოციალურ სამსახურს, რათა მოეთავსებინათ მომჩივანი ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა სოციალური მზრუნველობის სახლში. მან დაურთო განცხადებას სხვადასხვა დოკუმენტები, მათ შორის ფსიქიატრიული დიაგნოზი. 2002 წლის 23 ივლისს სოციალურმა სამსახურმა შეადგინა მომჩივნის სოციალური კეთილდღეობის შესახებ მოხსენება, რომელიც უთითებდა, რომ იგი დაავადებული იყო შიზოფრენიით, ცხოვრობდა მისი ნახევარდის მცირე ზომის ფარდულში და მისმა ნახევარდამ და მამამისის მეორე ცოლმა უარი განაცხადეს მის მეურვეობაზე. შესაბამისად სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსების პირობები მიჩნეულ იქნა დაკმაყოფილებულად.
14. 2002 წლის 10 დეკემბერს მოთავსების შესახებ შეთანხმება იქნა ხელმოწერილი რ.პ.-ს და რილას მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ პასტრას ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა სოციალური მზრუნველობის სახლს ("პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლი") შორის, რომელიც ექვემდებარებოდა შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს. მომჩივანს არ ეცნობა შეთანხმების შესახებ.
15. იმავე დღეს, მომჩივანი სასწრაფოს მანქანით გადაყვანილ იქნას პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში, რუსიდან დაახლოებით 400 კილომეტრის მოშორებით. მან სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ მას არ ეცნობა მისი სახლში მოთავსების მიზეზები და ხანგრძლივობა; მთავრობამ არ გააპროტესტა აღნიშნული.

16. 2002 წლის 14 დეკემბერს, პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლის დირექტორის თხოვნით, მომჩივანის საცხოვრებელ მისამართად დაარეგისტრირეს რილას მუნიციპალიტეტი. საცხოვრებელი მოწმობა უთითებდა, რომ მისამართის შეცვლის მიზანი იყო “მუდმივი მეთვალყურეობა”. უკანასკნელი მტკიცებულებების მიხედვით, რომლებიც 2011 წლის თებერვალში იქნა წარდგენილი, მომჩივანი კვლავ ცხოვრობდა სახლში იმ პერიოდისთვის.

17. 2005 წლის 9 სექტემბერს მომჩივნის ადვოკატმა თხოვა რილას მუნიციპალურ საბჭოს, რათა დაენიშნათ მზრუნველი მისი კლიენტისთვის. 2005 წლის 16 სექტემბრით დათარიღებული წერილით მას ეცნობა, რომ მუნიციპალური საბჭოს 2005 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლის დირექტორს დაეკისრა მომჩივანზე მეურვეობა.

B. მომჩივნის მოთავსება პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში

1. მოთავსების შესახებ შეთანხმების დებულებები

18. 2002 წლის 10 დეკემბერს მეურვე რ.პ.-ს და პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლს შორის ხელმოწერილ შეთანხმებაში (იხილეთ 14-ე პუნქტი) მომჩივნის სახელი არ არის მოხსენიებული. მასში მითითებული იყო რომ სახლს უნდა მიეწოდებინა საკვები, ტანსაცმელი, სამედიცინო მომსახურება, გათბობა და რა თქმა უნდა საცხოვრებელი სახლი კანონით დადგენილი გადასახადის სანაცვლოდ. ჩანს, რომ მომჩივნის მთლიანი ინვალიდობის პენსია გადაეცემოდა მის სახლს ამ თანხის დასაფარავად. შეთანხმების მიხედვით თანხის 80% უნდა გადაცემულიყო გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, ხოლო დარჩენილი 20% გადადებულიყო პირადი მოხმარებისთვის. საქმის მასალებში არსებული ინფორმაციის მიხედვით, მომჩივნის ინვალიდობის პენსია, რომელიც განახლებულ იქნა 2008 წელს, შეადგენდა 130 ბულგარულ ლევს (BGN – დაახლოებით 65 ევრო (EUR)). შეთანხმება არ აკონკრეტებდა ამ მომსახურების განხორციელების ხანგრძლივობას.

2. ადგილმდებარეობის აღწერა

19. პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლი განლაგებულია ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთში რილას მთებში. იგი ხელმისაწვდომია სოფელ პასტრაში გამავალი გრუნტის გზით და უახლესი დასახლებული პუნქტიდან 8 კილომეტრით არის დაშორებული.

20. 1920 წელს აშენებული სახლი შედგებოდა სამი კორპუსისგან, სადაც მოსახლეები მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან და მოთავსება ხდება ფსიქიატრიული მდგომარეობის შესაბამისად. 2009 წლის აპრილში სოციალური დახმარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მოხსენების შესაბამისად, სახლში მოთავსებული იყო 73 პირი, ერთი იყო საავადმყოფოში, ხოლო ორი გაქცეული. მოსახლეთა შორის, 23 იყო სრულად ქმედუუნარო, ორი იყო ნაწილობრივ ქმედუუნარო, ხოლო დანარჩენები სრულად ქმედუუნარიანები იყვნენ. თითოეული კორპუსის ეზო გარშემორტყმული იყო რკინის მაღალი ღობით. მომჩივანი მოთავსებული იყო სახლის მესამე კორპუსში, რომელიც ემსახურებოდა ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს და რომლებსაც შეეძლოთ ტერიტორიაზე გადაადგილება და უახლოეს სოფელში მარტო წასვლა წინასწარი თანხმობით.

21. მომჩივნის თანახმად, სახლი იყო დაზიანებული, ბინძური და იშვიათად თბებოდა ზამთარში, რის გამოც იგი და სხვა მოსახლეები იძულებულნი იყვნენ დაეძინათ ქურთუკებით ზამთრის პერიოდში. მომჩივანი იყოფდა 16 კვადრატული მეტრის ოთახს ოთხ მოსახლესთან ერთად და საწოლები იყო თითქმის გვერდიგვერდ მიდგმული. მას ჰქონდა მხოლოდ მცირე ზომის მაგიდა, სადაც შეეძლო თავისი ტანსაცმლის დალაგება, მაგრამ იგი ამჯობინებდა მათ საწოლში შენახვას, რადგან ეშინოდა, რომ მოხდებოდა მათი მოპარვა და ძველი ტანსაცმლით შეცვლა ღამის განმავლობაში. სახლის მოსახლეებს არ ჰქონდათ თავიანთი ტანსაცმელი, რადგან ისინი არ უბრუნდებოდათ იგივე პირებს რეცხვის შემდეგ.

3. კვება, ჰიგიენა და სანიტარული პირობები

22. მომჩივანმა ხაზი გაუსვა, იმას რომ საჭმელი იყო უვარგისი და პაციენტებს მიეწოდებოდათ არასაკმარისი ოდენობით. მას არ

შეეძლო საჭმლის არჩევა და არ ჰქონდა უფლება, რათა მის მომზადებაში მიეღო მონაწილეობა.

23. არაჯანსაღ და დაძველებულ აბაზანაზე ხელმისაწვდომობა ხდებოდა მხოლოდ კვირაში ერთხელ. შიდა ტუალეტები იყო არაჰიგიენური და ძალიან ცუდ მდგომარეობაში, რომლებიც შედგებოდა მიწაში არსებული ორმოსგან და ზემოდან დაფარული იყო სახურავით.

4. ბოლოდროინდელი განვითარებები

24. დიდი პალატის წინაშე მთავრობის მიერ წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტში მითითებულია, რომ 2009 წლის ბოლო სარემონტო სამუშაოები ჩატარდა სახლის იმ ნაწილში, სადაც მომჩივანი ცხოვრობდა, მათ შორის სანიტარულ წერტილებში. სახლს ეხლა უკვე აქვს ცენტრალური გათბობა. კვება განსხვავდებოდა და რეგულარულად მოიცავდა ხილს, ბოსტნეულს და ხორცსაც კი. მოსახლეებს ჰქონდათ ხელმისაწვდომობა ტელევიზორზე, წიგნებზე და თამაშებზე. სახელმწიფო უზრუნველყოფდა მათთვის ტანსაცმელს. მომჩივანი არ უარყოფს აღნიშნულ პროგრესს.

4. მომჩივნის მიერ განხორციელებული გადაადგილება

25. სახლის მმართველობა ითხოვდა მომჩივნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს და სახლის დატოვების ნებას რთავდა მხოლოდ დირექტორის სპეციალური თანხმობის შემთხვევაში. იგი რეგულარულად მიდიოდა სოფელ პასტრაში. ამ ვიზიტების დროს იგი ძირითადად ეხმარებოდა სოფლის მცხოვრებლებს შიდა საქმეებში ან საქმიანობდა სოფლის რესტორანში.

26. 2002 წლიდან 2006 წლამდე მომჩივანი შვებულებით სამჯერ დაბრუნდა რუსში. თითოეული მგზავრობა ნებადართული იყო 10 დღიანი პერიოდით. იგი ჯდებოდა 60 ბულგარული ლევი (დაახლოებით 30 ევრო), რომელიც მომჩივანს გადაეცა სახლის უფროსობის მიერ.

27. რუსში პირველი ორი ვიზიტის შემდეგ, მომჩივანი დაბრუნდა პასტრაში ნებადართული პერიოდის გასვლამდე.

დაუდგენელ დროს სახლის დირექტორის მიერ პროკურატურაში წარდგენილი განცხადების მიხედვით, მომჩივანი დაბრუნდა ნაადრევად, რადგან იგი ვერ განკარგავდა ფინანსებს და არ ჰქონდა საცხოვრებელი სახლი.

28. შვებულების მესამე პერიოდი ნებადართულ იქნა 2006 წლის 15-დან 26 სექტემბრამდე. მას შემდეგ რაც მომჩივანი ვერ გამოცხადდა დათქმულ დროს, სახლის დირექტორმა მისწერა რუსის მუნიციპალურ პოლიციას 2006 წლის 13 ოქტომბერს, რათა მომხდარიყო მომჩივნის მოძებნა და სოფიაში გადაგზავნა, სადაც სახლის თანამშრომლები მოახდენდნენ მის მიღებას და პასტრაში გადაყვანას. 2006 წლის 19 ოქტომბერს რუსის პოლიციამ აცნობა დირექტორს, რომ მომჩივანის ადგილსამყოფელი იქნა აღმოჩენილი, მაგრამ მისი გადაცემა ვერ მოხდებოდა, რადგან იგი არ იძებნებოდა პოლიციის მიერ. იგი გადაყვანილ იქნა უკან სახლში 2006 წლის 31 ოქტომბერს, სავარაუდოდ სახლის თანამშრომელთა მიერ.

6. კულტურული და რეკრეაციული აქტივობის შესაძლებლობა

29. მომჩივანს ჰქონდა ხელმისაწვდომობა ტელევიზორზე, რამდენიმე წიგნზე და ჭადრაკის დაფაზე სახლის საერთო ოთახში დღის სამ საათამდე, რომლის შემდეგაც აღნიშნული იკეტებოდა. ოთახი არ თბებოდა ზამთარში და მოსახლეები იმყოფებოდნენ ქურთუკებში, ქუდებში და ხელთათმანებში, როცა შიგნით იმყოფებოდნენ. სხვა სოციალური, კულტურული ან სპორტული აქტივობა არ იყო ხელმისაწვდომი.

7. კორესპოდენცია

30. მომჩივანმა განაცხადა, რომ სოციალური მზრუნველობის სახლის თანამშრომლები არ აძლევდნენ მას კონვერტებს კორესპოდენციისთვის და რომ არ ჰქონდა ხელმისაწვდომობა მის საკუთარ ფულზე, რის გამოც ვერაფერს კითხულობდა. თანამშრომლები ითხოვდნენ, რომ ყველა გასაგზავნად გამზადებული ფურცელი მათ უნდა გადაცემოდათ და შესაბამისად არ შეეძლოთ ფურცლების კონვერტებში ჩადება და გადაგზავნა.

8. სამედიცინო მკურნალობა

31. 2005 წლის 15 ივნისის სამედიცინო დოკუმენტით (იხილეთ 37-ე პუნქტი) დასტურდება, რომ 2002 წელს მისი სახლში მოთავსებიდან მოყოლებული მომჩივანს ეძლეოდა ანტი-ფსიქოტური წამალი (კარბამაზეპინი (600 მგ)), ფსიქიატრის ყოველთვიური კონტროლ ქვეშ.

32. დამატებით, დიდი პალატის წინაშე საქმის განხილვისას მომჩივნის წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ მათი კლიენტი იმყოფებოდა სტაბილური რემისიის მდგომარეობაში 2006 წლის შემდეგ და არ გაუვლია არანაირი ფსიქიატრიული მკურნალობა ბოლო წლების განმავლობაში.

C. მომჩივნის სოციალური შესაძლებლობების შეფასება მისი პასტრაში ყოფნისას და მისი ფსიქიატრის მოხსენება, რომელიც შედგენილ იქნა მისი ადვოკატის მოთხოვნით

33. წელიწადში ერთხელ, სოციალური მომსახურების სახლის დირექტორი და სახლის სოციალური მუშაკი ადგენდნენ მოხსენებას და აფასებდნენ მომჩივნის მოქმედებებსა და სოციალურ უნარებს. მოხსენება უთითებდა, რომ მომჩივანი იყო არაკომუნიკაბელური, უპირატესობას ანიჭებდა მარტო დარჩენას, ვიდრე ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობას, უარს ამბობდა წამლის მიღებაზე და არ ჰყავდა ახლო ნათესავები, რომლებსაც მოინახულებდა შვებულების პერიოდში. მას არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა მის ახლო ნათესავებთან და არავინ ფლობდა ინფორმაციას ჰყავდა, თუ არა მას სხვა ნათესავები სოციალური მზრუნველობის სახლს გარეთ. მოხსენებები ასკვნიდნენ, რომ შეუძლებელი იყო მომჩივნის საზოგადოებაში რეინტეგრაცია და რაიმე მიზნის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც იგი შეიძენდა საჭირო უნარებს და ცოდნას საზოგადოებაში დასაბრუნებლად და გრძელვადიან პერსპექტივაში ოჯახთან ინტეგრაციისთვის. ჩანს, რომ მისთვის არასდროს შეუთავაზებიათ რაიმე სახის თერაპია ამ საკითხთან მიმართებით.

34. 35. საქმის მასალები უთითებდნენ, რომ 2005 წელს მომჩივნის მეურვემ სთხოვა მუნიციპალურ საბჭოს, რათა მომჩივნისათვის მიენიჭებინათ სოციალური შემწეობა მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. ამ თხოვნის შესაბამისად, 2005 წლის 30 დეკემბერს მუნიციპალური სოციალური დახმარების

დეპარტამენტმა განახორციელა მომჩივნის “სოციალური შეფასება” (социална оценка), რომელმაც დაასკვნა, რომ იგი არ იყო შრომისუნარიანი დახურულ დაწესებულებაშიც კი და რომ არ არსებობდა მისი მომზადების ან გადამზადების აუცილებლობა და ამ შემთხვევაში იგი გაიღებდა მხოლოდ მისი ტრანპორტირების, დღიური არსებობის და მკურნალობის ხარჯები. 2007 წლის 7 თებერვალს მუნიციპალური სოციალური დახმარების დეპარტამენტმა დაადგინა თვიური ანაზღაურება 16,50 ბულგარული ლევის ოდენობით (დაახლოებით 8 ევრო). 2009 წლის 3 თებერვალს თვიური ოდენობა გაეზარდა 19.50 ბულგარული ლევის ოდენობამდე (დაახლოებით 10 ევრო).

35. დამატებით 2006 წლის 31 აგვისტოს, ადვოკატის თხოვნით, მომჩივანი შემოწმებულ იქნა ექიმი ვ.ს.-ს მიერ, ფსიქიატრი, რომელიც რეგულარულად სტუმრობდა სოციალური მზრუნველობის სახლს და ფსიქოლოგის ქ-ნი ი.ა-ს მიერ. ამ მიმართებით მოხსენება ადგენდა, რომ 2005 წლის შიზოფრენიის დიაგნოზი არ იყო ზუსტი, რადგან პაციენტი არ ავლენდა ამ მდგომარეობის სიმპტომებს. მითითებულ იქნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს წარსულში აღენიშნებოდა ეს დაავადება, მას არ გააჩნდა აგრესიის ნიშნები, მაგრამ უყურებდა მცირედი ექვით და ჰქონდა მცირედი ტენდენცია “ვერბალური აგრესიის” მიმართ, იქიდან გამომდინარე რომ მას არ ჩატარებია მკურნალობა 2002 წლიდან 2006 წლამდე და რომ მისი ჯანმრთელობა აშკარად დასტაბილურდა. მოხსენება უთითებდა, რომ არ აღნიშნულა მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე და რომ სახლის დირექტორის მოსაზრებით, მომჩივანი მზად იყო საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის.

36. მოხსენების მიხედვით, მომჩივნის პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში ყოფნა მისი ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანო იყო და სასურველი იყო მისი გაშვება; სხვა შემთხვევაში, არსებობდა “ინსტიტუციონალიზაციის” სინდრომის განვითარების საფრთხე რაც უფრო მეტ ხანს დარჩებოდა მომჩივანი დაწესებულებაში. მოხსენება უთითებდა, რომ მისი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის და სოციალური განვითარებისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია შესაძლო მცირედი შეზღუდვებით და რომ ერთადერთი შემოწმების ტენდენციის საგანი იყო ალკოჰოლის ბოროტად

მოხმარება, რაც ნათლად ჩანდა 2002 წლამდე. ექსპერტთა მოსაზრებით, ალკოჰოლდამოკიდებული პირი შეიძლება ავლენდეს იგივე ნიშნებს, რასაც შიზოფრენიით დაავადებული პირი; შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება იყო საჭირო მომჩივნის საქმის შემთხვევაში და სკურპულოზურობის დაცვით უნდა აცილებულიყო თავიდან ამ ორი პირობის აღრევა.

D. მომჩივნის დროებითი მეურვებისგან გათავისუფლების მცდელობები

37. 2004 წლის 25 ნოემბერს მომჩივანმა მისი ადვოკატის მეშვეობით მიმართა პროკურატურას, რათა ამ უკანასკნელს მიემართა რაიონული სასამართლოსთვის და მისი ქმედუნარიანობა აღდგენილიყო. 2005 წლის 2 მარტს პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლს, რათა მისთვის გადაეგზავნათ ექიმის დასკვნა და სხვა სამედიცინო დოკუმენტები, რომლებიც შეეხებოდა მომჩივანთა ფსიქიკურ აშლილობას, მისი ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლო განცხადების მოსამზადებლად. ამ მოთხოვნის შესაბამისად, მომჩივანი დაშვებულ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამედიცინო დასკვნის მოსამზადებლად 2005 წლის 31 მაისიდან 15 ივნისამდე. ამ უკანასკნელ დღეს შედგენილ სამედიცინო დასკვნაში, ექიმებმა განაცხადეს, რომ მომჩივანს აღენიშნებოდა შიზოფრენიის ნიშნები. იქიდან გამომდინარე, რომ მისი ჯანმრთელობა არ გაუარესებულა 2002 წელს მისი სახლში მოთავსების შემდეგ, ის რეჟიმი, რომელშიც მომჩივანი იყო მოთავსებული არ შეცვლილა. იგი იმყოფებოდა მედიკამენტოზურ მკურნალობაზე 2002 წლიდან ფსიქიატრის ყოველთვიური ზედამხედველობის ქვეშ. ფსიქოლოგმა შემოწმების შემდეგ დაადგინა, რომ იგი იყო აღელვებული, დამაბული და უცნაური. მისი საკომუნიკაციო მონაცემები იყო მცირე და არ ჰქონდა გაცნობიერებული მისი დაავადება. მან თქვა, რომ მას სურდა სახლის დატოვება ყველა შემთხვევაში. ექიმებმა არ გამოხატეს მოსაზრება მომჩივნის ინტეგრაციის უნარზე ან მისი პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში დატოვების აუცილებლობაზე.

38. 2005 წლის 10 აგვისტოს ოლქის პროკურორმა უარი თქვა მომჩივნის ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნის წარდგენაზე,

იქიდან გამომდინარე, რომ ექიმების მოსაზრებით, პასტრას სოციალური დაცვის სახლის დირექტორის და სახლის სოციალური დაცვის თანამშრომლების მოსაზრებით მომჩივანს არ შეეძლო დამოუკიდებლად ცხოვრება და რომ სახლი, სადაც შეეძლო სამედიცინო შემოწმების გავლა, იყო ყველაზე შესაფერისი ადგილი მის საცხოვრებლად. მომჩივნის ადვოკატმა გაასაჩივრა სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმა, იმ მოტივით, რომ მის კლიენტს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა თავად შეეფასებინა იქ დარჩენის საკითხი, სახლის საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით. მან მიუთითა, რომ სახლში მისი დარჩენის ვალდებულება, მისთვის სასარგებლო მკურნალობის ჩატარების მიზნით, წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას, რაც დაუშვებელი იყო. პირი არ შეიძლებოდა მოთავსებულიყო მისი თანხმობის გარეშე დაწესებულებაში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა ნაწილობრივი მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი იყო თავისუფალი აერჩია მისი საცხოვრებელი სახლი, მეურვის თანხმობით. შესაბამისად, საცხოვრებლის არჩევის საკითხი არ წარმოადგენდა პროკურატურის კომპეტენციას. ამ პრეტენზიების მიუხედავად, ოლქის პროკურორის უარი ძალაში დარჩა 2005 წლის 11 ოქტომბერს სააპელაციო პროკურორის მიერ და შემდგომ 2005 წლის 29 ნოემბერს უზენაესი საკასაციო სასამართლოს მთავარი პროკურორის ოფისის მიერ.

39. 2005 წლის 9 სექტემბერს მომჩივანმა მისი ადვოკატის მეშვეობით თხოვა რილას მერს, რომ დაეწყო სამართალწარმოება მისი ნაწილობრივი მეურვეობისგან გათავისუფლების მოთხოვნით. 2005 წლის 16 სექტემბერს რილას მერმა უარი თქვა თხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ დასაბუთებით, რომ არ არსებობდა ამგვარი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი 2005 წლის 15 ივნისის სამედიცინო ცნობიდან, დირექტორის და სოციალური მუშაკების მოსაზრებებიდან და პროკურატურის დასკვნებიდან გამომდინარე. 2005 წლის 28 სექტემბერს მომჩივნის ადვოკატმა მიმართა დუპნიცას რაიონულ სასამართლოს მერის გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით, საოჯახო კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ ქვემოთ 49-ე პუნქტი). 2005 წლის 7 ოქტომბრის წერილით, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა გამცხადებლის ქმედუნარიანობის ნაწილობრივ შეზღუდვაზე, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის ხელმისაწვდომობის ხელშემშლელ ფაქტორზე, რა დროსაც სავალდებულოდ იქნა

მიჩნეული ადვოკატის წარმომადგენლობის ოფიციალური დოკუმენტით დადასტურების აუცილებლობა და მეურვის ამ პროცედურაში მონაწილეობის საკითხი. დაუზუსტებელ დღეს, მომჩივნის ადვოკატმა წარადგინა წარმომადგენლობის ოფიციალური, მომჩივნის მიერ ხელმოწერილი ცნობის ასლი. მან ასევე მოითხოვა, რომ მეურვეს მიეღო პროცესში მონაწილეობა, როგორც დაინტერესებულ მხარეს და რომ ადვოკატმა წარმომადგენელი დანიშნულიყო. 2006 წლის 18 იანვარს სასამართლომ ჩაატარა მოსმენა, სადაც რილას მერის წარმომადგენელმა გამოთქვა პრეტენზია, რომ წარმომადგენლობის ფორმა არ იყო ნამდვილი და არ იყო ხელმოწერილი მეურვის მიერ. მეურვემ, რომელიც ასევე ესწრებოდა მოსმენას, განაცხადა რომ არ ეწინააღმდეგებოდა მომჩივნის განაცხადს, მაგრამ ამ უკანასკნელის მოხუცებულობის პენსიის სიმცირის გამო არ შეეძლო მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება და შესაბამისად, პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლი მისთვის საუკეთესო ადგილი იყო საცხოვრებლად.

40. 2006 წლის 10 მარტს დუპნიცას რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება. საჩივარის დასაშვებობასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატს არ შეეძლო წარმოედგინა მომჩივანი სასამართლოს წინაშე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის მითითებებს ასრულებდა იგი, მეურვეს არ ჰქონდა ხელი მოწერილი წარმომადგენლობის ფორმაზე. მაგრამ დადგენილ იქნა, რომ საქმის საჯარო განხილვისას განაცხადზე მეურვის თანხმობამ დაადასტურა ადვოკატის ყველა წინარე მოქმედების სისწორე და შესაბამისად, საჩივარი დასაშვებია იყო. საქმის არსებით ნაწილთან დაკავშირებით კი სასამართლომ უარყო განცხადება, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ მეურვეს არ ჰქონდა ლეგიტიმური ინტერესი მერის უარის გასასაჩივრებლად და რომ მას შეეძლო დამოუკიდებლად და პირდაპირ მიემართა ნაწილობრივი მეურვეობისგან გათავისუფლების მოთხოვნით მომჩივნის სახელით. იქიდან გამომდინარე, რომ გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას, იგი კანონიერ ძალაში შევიდა.

41. საბოლოოდ, მომჩივანმა მიუთითა, რომ მან რამდენჯერმე თხოვა ზეპირად მეურვეს მისი ნაწილობრივი მეურვეობისგან

გათავისუფლების და სახლის დატოვების მოთხოვნით. მაგრამ მისი ყველა თხოვნა იქნა უარყოფილი.

II. შესაბამისი ეროვნული სამართალი და პრაქტიკა

A. სასამართლოს წინაშე იმ პირთა იურიდიული სტატუსი, რომლებიც იმყოფებოდნენ ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ

42. 1949 წლის 9 აგვისტოს “პირთა და ოჯახის შესახებ” კანონის მეხუთე მუხლის ადგენს, რომ თუ პირს არ შეუძლია გაუძღვეს მის ინტერესებს ფსიქიკური ავადმყოფობის ან მენტალური დეფექტის გამო, შეიძლება მას სრულად ჩამოერთვას ქმედუნარიანობა და გამოცხადდეს შეურაცხადად. ზრდასრული პირები, რომელთაც ამგვარი აშლილობის უფრო მსუბუქი ფორმა აღენიშნებათ ნაწილობრივ შეურაცხადად უნდა გამოცხადდნენ. პირები, რომლებსაც სრულად ჩამოერთვათ ქმედუნარიანობა ექვემდებარებიან სრულ მეურვეობას (настояйничество), მაშინ როცა ნაწილობრივი შეზღუდვის პირობებში პირები ექვემდებარებიან ნაწილობრივ მეურვეობას (попечительство – სიტყვასიტყვით “მეურვეობა”). კანონის მეოთხე და მეხუთე მუხლების შესაბამისად, ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირები ვერ ახორციელებენ იურიდიულ ურთიერთობებს მეურვის თანხმობის გარეშე. ამის საპირისპიროდ მათ შეიძლება განახორციელონ ჩვეულებრივი ქმედებები, რომლებიც წარმოადგენენ ყოველდღიური ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი და აქვთ ხელმისაწვდომობა იმ რესურსებთან, რომლებიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან. აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ ქმედუნარიანი პირის მეურვე ვერ განახორციელებს დამოუკიდებლად იმ სამართლებრივ მოქმედებებს, რომლებიც სავალდებულოა პირისთვის. აღნიშნული გულისხმობს, რომ მეურვის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, ნაწილობრივ ქმედუნარო პირის თანხმობის გარეშე, ბათილია.

43. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (“სსკ”) მე-16 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სრული მეურვეობის ქვეშ მყოფი პირები წარმოდგენილნი არიან მეურვეების მიერ. მაგრამ ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ სასამართლო სამართალწარმოებაში, მაგრამ სავალდებულოა მეურვის თანხმობა. შესაბამისად,

ნაწილობრივ ქმედუნარო პირის მეურვე არ ასრულებს კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილებებს. მეურვე ვერ მოქმედებს ნაწილობრივ ქმედუნარო პირის სახელით, მაგრამ გამოხატავს თანხმობას ან უარყოფას პირის ინდივიდუალურ გარიგებებთან დაკავშირებით (Сталев, Ж., Българско гражданско процесуално право, София, 2006 г., стр. 171). უფრო კონკრეტულად, ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ მყოფმა პირმა შეიძლება მისცეს მითითებები შესაბამის ადვოკატს იმ პირობით, რომ მეურვის მიერ ოფიციალური უფლებამოსილების ფორმა ხელმოწერილ იქნება შემდგომ (Ibid. 173).

B. ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ პირის მოქცევის პროცედურა

44. ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ პირის მოქცევის ორი ეტაპობრივი პროცედურა არსებობს: ნაწილობრივი ქმედუნარიანობის აღიარება და მეურვის დანიშვნა:

1. *ნაწილობრივი ქმედუნარიანობის აღიარება სასამართლოს მიერ*

45. 46. პირველი ეტაპი გულისხმობს სასამართლო სამართალწარმოებას, რომელიც იმ დროისთვის წესრიგდებოდა 1952 წლის სსკ-ის 275-277-ე მუხლებით და რაც ანალოგიურად იქნა შემდგომ წარმოდგენილი 2007 წლის სსკ-ის 336-340-ე მუხლებში. დროებითი ქმედუნარიანობის გამოცხადების პროცედურის ინიცირება შეიძლება განხორციელდეს პირის მეუღლის ან ახლო ნათესავის, პროკურორის ან სხვა დაინტერესებული პირის მიერ. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პირის ღია სასამართლო სხდომაზე შემოწმების შემდეგ – ან აღნიშნულის არარსებობის შემთხვევაში, იქმნის პირის მდგომარეობაზე პირველად წარმოდგენას მისი ახლო ნათესავების დაკითხვით. თუ მოპოვებული ჩვენებები არ არის საკმარისი, სასამართლომ შეიძლება მოახდინოს სხვა მტკიცებულებებზე მითითება, როგორიცაა ექსპერტის დასკვნა. ეროვნული სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, შეფასების შესახებ ბრძანება უნდა იქნას გაცემული, როცა სასამართლოს არ შეუძლია გამოიტანოს საქმეში არსებული დოკუმენტაციიდან დასკვნა, რომ პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის მოთხოვნა უსაფუძვლოა (Решение

на ВС № 1538 от 21.VIII.1961 г. по гр. д. № 5408/61 г.; Решение на ВС № 593 от 4.III.1967 г. по гр. д. № 3218/1966 г.).

2. ადმინისტრაციული მმართველობის მიერ მეურვის დანიშვნა

46. მეორე ეტაპი გულისხმობს ადმინისტრაციული პროცედურის გამოყენებას მეურვის დასანიშნად, რომელიც იმ დროისთვის წესრიგდებოდა 1985 წლის საოჯახო კოდექსის (სკ) X თავით (109-128-ე მუხლები); აღნიშნული დებულებები გადმოტანილ იქნა 2009 წლის ახალ სკ-ის 153-174-ე მუხლებში მცირედი ცვლილებებით. ადმინისტრაციული ეტაპი ხორციელდება “სამეურვეო უწყების” სახელით მოხსენიებული ორგანოს მიერ, უფრო ზუსტად მერის ან მის მიერ განსაზღვრული სხვა მუნიციპალური საბჭოს ოფიცრის მიერ.

47. სასურველია მეურვე დანიშნულ იქნას პირის ახლო ნათესავებიდან, რომელთაც შეუძლიათ მისი ინიტერესების საუკეთესოდ დაცვა.

C. მეურვის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შემოწმება და ჩანაცვლების შესაძლებლობა

48. მეურვის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ექვემდებარება შემოწმებას სამეურვეო უწყების მიერ. მისი თხოვნის საფუძველზე, მეურვემ უნდა წარადგინოს საქმიანობის შესახებ მოხსენება. თუ დაფიქსირდება შეუსაბამობები, უწყება მოითხოვს მათ უარყოფას ან ღონისძიებათა შეჩერებას (იხილეთ 1985 წლის სკ-ის 126-ე მუხლის მეორე პუნქტი და 125-ე მუხლი). კანონმდებლობიდან ბუნდოვანია ის საკითხი, თუ რამდენად შეუძლიათ დროებითი მეურვეობის ქვეშ მყოფ პირებს პირდაპირ ან სხვა მხარეთა მეშვეობით მერისთვის მიმართვა და მეურვის მიერ მიღებული ღონისძიების შეჩერება.

49. მერის, როგორც სამეურვეო უწყების, მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მეურვის დანიშვნაზე ან სკ-ით დადგენილ სხვა ღონისძიებების განხორციელებაზე უარი ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. ისინი შეიძლება გასაჩივრებულ იქნან დაინტერესებული მხარეების და პროკურორის მიერ საქალაქო სასამართლოში, რომელსაც გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე (1985 წლის სკ-ის 115-ე მუხლი).

აღნიშნული პროცედურა აძლევს ახლო ნათესავებს შესაძლებლობას, რათა მათ მოითხოვონ მეურვის შეცვლა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში (Решение на ВС № 1249 от 23.XII.1993 г. по гр. д. № 897/93 г.). ეროვნულ სამართლებრივი სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, შეურაცხადი პირები არ წარმოადგენენ “დაინტერესებულ მხარეებს” და არ შეუძლიათ სამართალწარმოების ინიცირება (Определение № 5771 от 11.06.2003 г. на ВАС по адм. д. № 9248/2002) არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ნაწილობრივ ქმეუუნარო პირს აქვს აღნიშნული უფლებამოსილება.

50. გარდა ამისა, სამეურვეო უწყებამ შეიძლება ნებისმიერ დროს ჩაანაცვლოს მეურვე, რომელიც ვერ ახორციელებს მის უფლებამოსილებებს (1985 წლის სკ-ის 113-ე მუხლი). 1985 წლის სკ-ის 116-ე მუხლის მიხედვით, პირი არ შეიძლება იქნას დანიშნული მეურვედ, როცა მას და ნაწილობრივ ქმედუუნარო პირს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. 1985 წლის სკ-ის 123-ე მუხლი ადგენს, რომ მეურვის მოადგილე უნდა იქნას დანიშნული, როცა მეურვე ვერ ახორციელებს მის ვალდებულებებს ან როცა სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. ორივე შემთხვევაში სამეურვეო უწყების მიერ შეიძლება დაინიშნოს ად ჰოც წარმომადგენელი.

D. ქმედუნარიანობის აღდგენის პროცედურა

51. სსკ-ის 277-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს დროებითი მეურვეობის მსგავსს. იგი ხელმისაწვდომია ყველა იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პირის მეურვეობის ქვეშ მოთავსების მოთხოვნა და ასევე სამეურვეო უწყებისა და მეურვისთვის. ზემოთხსენებული დებულებები იქნა წარმოდგენილი 2007 წლის სსკ-ის 340-ე მუხლში. 1980 წლის 13 თებერვალს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება (ნო. 5/79), რომელიც მიზნად ისახავდა ქმედუნარიანობის ჩამორთმევის პროცედურის რამდენიმე დებულების ნათელყოფას. მეათე პუნქტი ეხებოდა ქმედუნარიანობის აღდგენის პროცედურას და შემდეგი შინაარსის იყო:

“ქმედუნარიანობის აღდგენის და ჩამორთმევის პროცედურის წესები იდენტურია (სსკ-ის 277-ე და 275-ე მუხლების პირველი და

მეორე პუნქტები). ის პირები, რომლებმაც მოითხოვეს ღონისძიებების გატარება ან პირის ახლო ნათესავები წარმოდგენილნი არიან საქმეში მოპასუხეებად. არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება ქმედუნარიანობის შეზღუდვის ინიციატორი მხარისთვის, მოითხოვოს ქმედუნარიანობის აღდგენა გარემოებების შეცვლის შემთხვევაში.

იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან დროებითი მეურვეობის ქვეშ, შეუძლიათ პირადად ან მეურვის თანხმობით მოითხოვონ ღონისძიების გაუქმება. მათ შეიძლება მოთხოვონ სამეურვეო უწყებას ან სამეურვეო საბჭოს, რათა დაიწყონ სამართალწარმოება სსკ-ის 277-ე მუხლის საფუძველზე რაიონულ სასამართლოში, რომელმაც ჩამოართვა მათ ქმედუნარიანობა. აღნიშნულ შემთხვევებში, მათ უნდა აჩვენონ, რომ განცხადება მათ ინტერესებშია და წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა. ამ სამართალწარმოების ფარგლებში მოხდება მათი, როგორც მოსარჩელების, განხილვა. როცა შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის მეურვე, სამეურვეო უწყება ან სამეურვეო საბჭო (ქმედუნარო პირის შემთხვევაში), უარს აცხადებს ქმედუნარიანობის აღდგენაზე, ქმედუნარობა შეზღუდულ პირს შეუძლია მიმართოს პროკურორს აღნიშნულის განხორციელების მოთხოვნით (Постановление № 5/79 от 13.II.1980 г., Пленум на ВС).“

52. დამატებით, მთავრობამ წარმოადგინა კონკრეტული საქმის ციტირება, სადაც ქმედუნარო პირის სამართლებრივი სტატუსის გადახედვის სამართალწარმოება იქნა ინიცირებული მეურვის მოთხოვნით და პირი გათავისუფლებდა მისგან (Решение № 1301 от 12.11.2008 г. на ВКС по гр. Д. № 5560/2007 г., V г.о.).

Е. შეურაცხად პირთა წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებათა ნამდვილობა

53. 1950 wlis “valdebulebebis da xelSekrulebebis Sesaxeb” kanonis 26(2) muxli adgens, rom kanonsawinaaRmdago an Tanxmobis gareSe dadebuli xelSekrulebebi baTilia da ar aqvT iuridiuli Zala.

54. imave aqtis 27-e muxlis Sesabamisad, SezRudulqmedunariani piris warmomadgenlebis mier xelmowerili xelSekrulebebi, romlebic arRveven moqmed wesebs miiCnevian sacilod. upirobo baTilobis safuZvlebi SeiZleba gamoyenebul iqnas nebismier SemTxvevaSi, maSin roca saciloba mxolod sasamarTlo samarTalwarmoebis wesiT dgindeba. sacilobis safuZvlis moTxovna xandazmulia nawilobrivi meurveobis gauqmebis momentidan, Tu axali meurve ar dainiSna. sxva

SemTxvevebSi, Sesabamisi periodi iwyeba meurvis daniSvnis dRidan (zemoxsenebuli kanonis 32(2) muxli, 115(1)(e) muxlTan erTobliobiT; ixileT aseve Решение на ВС № 668 от 14.III.1963 г. по гр. д. № 250/63 г., I г. о., Решение на Окръжен съд – Стара Загора от 2.2.2010 г. по т. д. № 381/2009 г. на I състав, Решение на Районен съд Стара Загора № 459 от 19.5.2009 г. по гр. д. № 1087/2008).

F. შეურაცხად პირთა საცხოვრებელი ადგილი

55. 1985 წლის სკ-ის 120-ე მუხლის და 122-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, ქმედუნარიანობა შეზღუდული პირი მიჩნეულია, რომ უნდა ცხოვრობდეს მეურვის საცხოვრებელ სახლში, თუ “განასკუთრებული მიზეზების” გამო არ უწევთ სხვა ადგილას ცხოვრება. როცა საცხოვრებელი სახლის შეცვლა ხდება მეურვის თანხმობის გარეშე, მას უფლება აქვს მიმართოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვოს პირის ოფიციალურ მისამართზე დაბრუნება. 2009 წლის სკ-ის 163-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების მიხედვით, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებამდე სასამართლომ სავალდებულოდ უნდა დაკითხოს მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი. თუ დადგენილ იქნება, რომ სახეზეა “საგამონაკლისო მიზეზები”, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს პირის დაბრუნების მოთხოვნა და დაუყონებლივ აცნობოს მუნიციპალურ სოციალური დახმარების დეპარტამენტს, რათა დაცვითი მექანიზმები იქნას მიღებული.

56. რაიონული სასამართლოს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესთან, მისი აღსრულების შეჩერების გარეშე.

G. ზრდასრულ პირთა სოციალური მზრუნველობის სახლებში ფსიქიკური აშლილობის მქონე შეურაცხად პირთა მოთავსება

57. 1998 წლის “სოციალური დახმარების” კანონის მიხედვით, სოციალური დახმარება ხელმისაწვდომია იმ პირთათვის, ვისაც სამედიცინო და სოციალური მიზეზებიდან გამომდინარე არ ძალუძთ ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საკუთარი საქმიანობით, შემოსავლების საშუალებით ან კანონით განსაზღვრულ მზრუნველობის ვალდებულების მქონე პირთა დახმარებით (კანონის მეორე მუხლი). სოციალური დახმარება

შედგება სხვადასხვა ფინანსური სარგებლების, შეღავათების და სოციალური მომსახურების მიწოდებისგან, მათ შორის სპეციალიზირებულ დაწესებულებებში მოთავსებისგან. აღნიშნული შეღავათების მიცემა ხდება კონკრეტული პირის ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად და მათი სურვილების პერსონალური გადაწყვეტილებების შესაბამისად (16(2) მუხლი).

58. 1998 წლის “სოციალური დახმარების” კანონის იმპლემენტაციის რეგულაციის (Правилник за прилагане на Закона за социално подпомагане) მიხედვით, სოციალური მომსახურების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია სამი სახეობის “სპეციალიზირებული დაწესებულება”: (1) ბავშვთა სახლები (მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლები, ფიზიკურად შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა სახლები, ფსიქიკური ჩამორჩენილობის მქონე პირთა სახლები); (2) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირთა სახლები (ფსიქიკური ჩამორჩენილობის მქონე ზრდასრულ პირთა სახლები, ფსიქიკური აშლილობის მქონე ზრდასრულ პირთა სახლები, ფიზიკურად შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირთა სახლები, მგრძნობელობითი აშლილობის მქონე ზრდასრულ პირთა სახლები, ჭკუასუსტ ზრდასრულ პირთა სახლები), და (3) მოხუცებულთა სახლები (რეგულაცია 36(3)). სოციალური მომსახურების გაწევა ხდება სპეციალურ დაწესებულებებში, როცა საზოგადოებაში აღნიშნულის მიღწევა შეუძლებელია (რეგულაცია 36(4)). ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ფსიქიკურად დაავადებული პირის სოციალური მზრუნველობის ქვეშ მოქცევა არ განიხილება თავისუფლების აღკვეთის ფორმად.

59. ანალოგიურად, 1999 წლის 16 მარტის სოციალური დახმარების მიღების პირობების შესახებ #4 დეკრეტის (Наредба № 4 за условията и реда за извършване на социални услуги) მიხედვით, ფსიქიკური დაზიანების მქონე ზრდასრულ პირთა მოთავსება ხდება სპეციალიზირებულ სოციალური მზრუნველობის სახლებში, თუ შეუძლებელია მათთვის საკმარისი სამედიცინო მზრუნველობის გაწევა საოჯახო გარემოში (დეკრეტის 12-ე მუხლის მეოთხე პუნქტი და 27-ე მუხლი). დეკრეტის 33-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტები ადგენენ, რომ როცა პირი მოთავსებულია სოციალური მზრუნველობის სახლში, პირის

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა უნდა იქნას წარდგენილი. დეკრეტის 37(1) მუხლის მიხედვით, სოციალური მომსახურების მიზნით მოთავსების შესახებ შეთანხმებას ხელს აწერს სპეციალიზირებული დაწესებულება და შესაბამისი პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის საფუძველზე. პირი შეიძლება იქნას გადაყვანილი სხვა სახლში ან დატოვოს ის დაწესებულება, სადაც იგია მოთავსებული: (1) დირექტორის სახელზე მისი ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ შედგენილი წერილობითი თხოვნის საფუძველზე; (2) თუ განხორციელდა მისი ფსიქიკური ან ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილება და პირი აღარ შეესაბამება სახლის პროფილს; (3) ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველთვიური სოციალური მომსახურების შენატანის გადაუხდელობისას; (4) დაწესებულების შიდა წესების სისტემატური დარღვევის შემთხვევაში; ან (5) ნარკოტიკული საშუალებებზე დამოკიდებულების დადასტურების შემთხვევაში.

60. უფრო მეტიც, სავალდებულო სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირთა მიღების მომწესრიგებელი სისტემა განსაზღვრულია 2005 წლის “ჯანმრთელობის” კანონში, რომელმაც ჩაანაცვლა 1973 წლის “საზოგადოებრივი ჯანმრთელობის” კანონი.

II. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ად ჰოვ წარმომადგენლის დანიშვნა

61. 62. სსკ-ის 16-ე მუხლის მეექვსე პუნქტი ადგენს, რომ წარმოდგენილ და წარმოსადგენ პირთა შორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს ად ჰოვ წარმომადგენელს. ბულგარული სასამართლოების მიერ რამდენჯერმე იქნა გამოყენებული აღნიშნული დებულება, როცა არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის. შესაბამისად, ად ჰოვ წარმომადგენლის არ დანიშვნა მიჩნეულ იქნა მატერიალურ სამართლებრივი ხასიათის დარღვევად მამობის დადგენის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შემთხვევაში (Решение на ВС № 297 от 15.04.1987 г. по гр. д. № 168/87 г., II г. о.), აყვანით და ბიოლოგიურ მშობლებს შორის დავისას (Решение на ВС № 1381 от

10.05.1982 г. по гр. д. № 954/82 г., II г. о.) ან საკუთრებით-სამართლებრივი დავების შემთხვევაში (Решение № 643 от 27.07.2000 г. на ВКС по гр. д. № 27/2000 г., II г. о.; Определение на ОС – Велико Търново от 5.11.2008 г. по в. ч. гр. д. № 963/2008).

I. სახელმწიფო პასუხისმგებლობა

62. 1988 წლის “ზიანის გამო სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის შესახებ” კანონის 2(1) მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო არის პასუხისმგებელი იმ ზიანისთვის, რომელიც განიცადეს კერძო პირებმა სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად შეფარებული სხვადასხვა სახის თავისუფლების აღკვეთის გამო, როცა აღნიშნული შემდგომ გაუქმებულ იქნა იმის გამო, რომ მას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი.

63. იმავე კანონის 1(1) მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო და მუნიციპალიტეტი არიან პასუხისმგებელნი ადმინისტრაციული უფლებამოსილებების განხორციელებისას მათი წარმომადგენლების ან ოფიციალური პირების უკანონო გადაწყვეტილებების შედეგად კერძო პირთათვის და სხვა სამართლებრივი გაერთიანებებისთვის გამოწვეული ზიანის გამო.

64. რამდენიმე გადაწყვეტილებაში, სხვადასხვა ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული დებულება ვრცელდებოდა პატიმრებზე, რომლებმაც განიცადეს ზიანი ციხეში მძიმე პირობების ან არასათანადო სამედიცინო მკურნალობის გამო და სადაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ნაწილობრივ ან მთლიანად დაკმაყოფილდა კერძო პირთა ანაზღაურების მოთხოვნები (реш. от 26.01.2004 г. по гр. д. № 959/2003, ВКС, IV г. о. ანდ реш. № 330 от 7.08.2007 г. по гр. д. № 92/2006, ВКС, IV г. о.).

65. არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებები, სადაც აღნიშნული მიდგომა გავრცელდა სოციალური მზრუნველობის სახლების მძიმე საცხოვრებელი პირობების ბრალდებებზე.

66. ასევე, ნათელია, რომ ეროვნული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ზემოაღნიშნული კანონის 1(1) მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას და პირმა მიიღოს კომპენსაცია ჯანმრთელობის

მდგომარეობის გაუარესების გამო, როცა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მმართველობის ქვეშ არსებული ორგანოები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რეგულარულად ჩაუტარონ მკურნალობა მას (реш. № 211 от 27.05.2008 г. по гр. д. № 6087/2007, BKC, V г. о.).

67. საბოლოოდ, სახელმწიფო და მისი წარმომადგენლები ექვემდებარებიან დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგად წესებს ზიანის სხვა ფორმების მიმართაც, მაგალითად, მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის გარდაცვალებისას, როცა იგი ფსიქიკური ჩამორჩენილობის მქონე ზრდასრულ პირთა სოციალური მზრუნველობის სახლს უნებართვოდ ტოვებს, სახლის თანამშრომლების მიერ ჯეროვანი ან მუდმივი მეთვალყურეობის განუხორციელებლობის გამო (реш. № 693 от 26.06.2009 г. по гр. д. № 8/2009, BKC, III г. о.).

J. 2006 წლის "შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ" კანონის შესაბამისად, პოლიციის მიერ დაკავება

68. ამ კანონის შესაბამისად, პოლიცია უფლებამოსილია, *inter alia*, დააკავოს ნებისმიერი პირი, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისთვის ან აყენებს მისსავე სიცოცხლეს აშკარა საფრთხეში, მძიმე ფსიქიკური აშლილობის და მისი მოქმედების გამო (63(1)-(3) მუხლი). დაინტერესებულმა პირმა შეიძლება გაასაჩივროს დაკავების კანონიერება სასამართლოს წინაშე და ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დაუყოვნებლივ (63(4) მუხლი).

69. დამატებით, პოლიციის უფლებამოსილება გულისხმობს დაკარგული პირების მოძიებასაც (139(3) მუხლი).

K. ფსიქიკური აშლილობის მქონე ზრდასრულ პირთა სოციალური მზრუნველობის სახლიდან გაქცეულთა მოძიების შესახებ მომჩივანთა მიერ წარდგენილი ინფორმაცია

70. ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტმა განაცხობრივლა პოლიციის განყოფილებათა კვლევა ამ ტიპის სოციალური მზრუნველობის სახლებიდან გაქცეულ პირთა შესახებ. კვლევაში გამოჩნდა, რომ არ არსებობდა ერთიანი მიდგომა. ზოგიერთი

პოლიციის ოფიცერი აცხადებდა, რომ პირის მოძიების შესახებ სახლის თანამშრომელთა თხოვნის მიღების შემდეგ, ისინი ახორციელებდნენ ძიებას და სახლის ინფორმირებამდე მიჰყავდათ პირი პოლიციის განყოფილებაში. სხვა ოფიცრებმა მიუთითეს, რომ ისინი ახდენდნენ პირის მოძიებას, მაგრამ არ შეეძლოთ მისი დაკავება და უბრალოდ აცნობებდნენ სახლის თანამშრომლებს, რომლებსაც შემდგომ მიჰყავდათ ისინი უკან.

L. მომჩივნის მიერ, ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესახებ სასამართლო სამართალწარმოებათა, წარდგენილი სტატისტიკა

71. ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტმა მოიპოვა სტატისტიკა რვა საოლქო სასამართლოდან, რომელიც შეეხებოდა ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნის სამართალწარმოების შედეგებს 2002 წლის იანვრიდან 2009 წლის სექტემბრამდე. ამ პერიოდში 677 პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა. მისი აღდგენის მოთხოვნის მიზნით ინიცირებულ იქნა 36 საქმე; მათგან ათი საქმე დასრულდა ღონისძიების გაუქმებით; სრული ქმედუნარიანობა შეიცვალა ნაწილობრივი ქმედუნარიანობით 8 შემთხვევაში; ოთხი საჩივარი არ დაკმაყოფილდა; სასამართლოებმა შეწყვიტეს სამართალწარმოება 7 საქმეში; დანარჩენი საქმეები ჯერ არ განხილულა.

II. შესაბამისი საერთაშორისო აქტები

A. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2006 წლის 13 დეკემბერს მიღებული “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია” (A/RES61/106 რეზოლუცია)

72. ეს კონვენცია ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს. იგი ხელმოწერილ იქნა ბულგარეთის მიერ 2007 წლის 27 სექტემბერს, მაგრამ ჯერ არ მომხდარა მისი რატიფიცირება. კონვენციის შესაბამისი ნაწილები აღგენენ შემდეგს:

მე-12 მუხლი

კანონის წინაშე თანასწორობა

1. მონაწილე სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ სამართლის სუბიექტად აღიარებაზე, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი.

2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად, ცხოვრების ყველა სფეროში.

3. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის იმ დახმარების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც მათ შეიძლება დასჭირდეთ სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზებისათვის.

4. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზებასთან დაკავშირებული ყველა ზომა ითვალისწინებდეს შესაბამის და ეფექტურ გარანტიებს მათი ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად. ასეთი გარანტიები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ უფლებაუნარიანობის რეალიზებასთან დაკავშირებული ზომები ორიენტირებული იყოს პიროვნების უფლებებზე, სურვილსა და უპირატესობებზე, თავისუფალი იყოს ინტერესთა კონფლიქტისა და არასასურველი გავლენისაგან, შეესაბამებოდეს და ერგებოდეს ამ პიროვნების მდგომარეობას, გამოიყენებოდეს რაც შეიძლება მინიმალური დროით და რეგულარულად მოწმდებოდეს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ. აღნიშნული გარანტიები უნდა იყოს მოცემული პირის უფლებებისა და ინტერესების ხელშეწყობის ზომების პროპორციული.

5. წინამდებარე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის და ეფექტურ ზომას, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება საკუთრების ფლობასა და მემკვიდრეობით მიღებაზე, საკუთარი ფინანსური საქმეების მართვაზე, საბანკო სესხების, საიპოთეკო, სხვა ფინანსური კრედიტების თანაბარ მისაწვდომობაზე და უზრუნველყოფენ, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საკუთრების თვითნებურად ჩამორთმევა.

მე-14 მუხლი

პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა სხვებთან თანასწორობის საფუძველზე:

(ა) ისარგებლონ პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებით;

(ბ) არ აღეკვეთოთ თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად; თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა უნდა მოხდეს კანონის დაცვით, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობა არანაირ შემთხვევაში არ უნდა გახდეს თავისუფლების აღკვეთის მიზეზი.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოები მათ უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული თანაბარი გარანტიებით და მათდამი მოპყრობაში გამოიყენებენ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებს, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ჩათვლით.

**B. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის # R (99) 4 რეკომენდაცია
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირთა
სამართლებრივი დაცვის პრინციპების შესახებ**

73. კონვენციის შესაბამისი ნაწილები შემდეგი შინაარსისაა:

მე-2 პრინციპი – სამართლებრივი რეაქციის მოქნილობა

“1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირთა პიროვნული და ეკონომიკური ინტერესების დაცვის ღონისძიებები და სხვა სამართლებრივი რეგულაციები უნდა იყვნენ მოქნილობის თვალსაზრისით საკმარისი, რათა შესაძლებელი იყოს შესაბამისი სამართლებრივი რეაქციის განხორციელება სხვადასხვა ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობების და განსხვავებული სიტუაციების მიმართ.

4. შესაბამის შემთხვევებში ღონისძიებათა სახესხვაობა უნდა გულისხმობდეს იმგვარი ზომის გამოყენებას, რომელიც არ ზღუდავს კონკრეტული პირის ქმედუნარიანობას.”

მე-3 პრინციპი – ქმედუნარიანობის მაქსიმალურად შენარჩუნება

“1. იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საკანონმდებლო რეგულაციამ უნდა აღიაროს სხვადასხვა ხარისხის ქმედუნარიანობის შესაძლო არსებობა და რომ შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა დროს. შესაბამისად, დაცვითმა მექანიზმმა არ უნდა გამოიწვიოს ქმედუნარიანობის ავტომატური დაკარგვა. მაგრამ, ქმედუნარიანობის შეზღუდვა შესაძლებელი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როცა გამოჩნდება, რომ აღნიშნული კონკრეტული პირის დაცვისთვის აუცილებელი.

2. უფრო კონკრეტულად, დაცვითმა ღონისძიებამ პირს არ უნდა ჩამოართვას ავტომატურად აქტიური საარჩევნო, ანდერძის შედგენის ან ჯანმრთელობის სფეროში ჩარევაზე თანხმობის ან უარის თქმის, ან პიროვნული ხასიათის გადაწყვეტილებების

მიღების უფლებები, როცა მისი შესაძლებლობები მას ამის საშუალებას აძლევენ.

მე-6 პრინციპი – პროპორციულობა

“1. როცა დაცვითი ღონისძიება აუცილებელია, იგი უნდა იყოს კონკრეტული პირის შესაძლებლობების პროპორციული და მის გარემოებებსა და საჭიროებებს მორგებული.

2. დაცვითი ღონისძიება უნდა ჩაერიოს კონკრეტული პირის ქმედუნარიანობაში, უფლებებში და თავისუფლებებში მინიმალურად იმ დოზით, რაც აუცილებელია ინტერვენციის მიზნის მისაღწევად...”

მე-13 პრინციპი – პირადად მოსმენის უფლება

“კონკრეტულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება მოუსმინონ პირადად ნებისმიერ სამართალწარმოებაში, რომელიც გავლენას ახდენს მის ქმედუნარიანობაზე.”

მე-14 პრინციპი – ხანგრძლივობა, ზედამხედველობა და გასაჩივრება

“1. სადაც საჭიროა და აუცილებელია, დაცვითი ღონისძიებები უნდა იყოს მცირე ხანგრძლივობის. ყურადღება უნდა მიექცეს პერიოდული ზედამხედველობის ინსტიტუტს.

...

3. უნდა არსებობდა ადეკვატური აპელაციის უფლება.”

C. წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის ევროპული კომიტეტის (CPT) მოხსენებები ბულგარეთში განხორციელებულ ვიზიტებზე

1. CPT-ის მოხსენება მის ვიზიტზე 2003 წლის 16-დან 22 დეკემბრამდე, გამოქვეყნებულია 2004 წლის 24 ივნისს

74. ეს მოხსენება გამოყოფს ხელისუფლების მიერ შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მმართველობის ქვეშ არსებულ, ფსიქიკური აშლილობის ან ჩამორჩენილობის მქონე პირთა სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსებულთა სიტუაციას. მოხსენების II.4 ნაწილი ეთმობა პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლს.

75. CPT უთითებდა, რომ სახლი ოფიციალურად გათვლილი იყო 105 ადამიანზე; მასში მოთავსებული იყო 92 რეგისტრირებული მამრობითი სქესის პაციენტი მოსახლე, რომელთაგან 86 იმყოფებოდა ადგილზე ვიზის დროს. ორი მოსახლე გაქცეული იყო დანარჩენები იმყოფებოდნენ შვებულებაში. მოსახლეთა 90%-ს აღენიშნებოდა შიზოფრენია და დანარჩენს ფსიქიკური ჩამორჩენილობა. უმეტესობა მათგანს გატარებული ჰქონდა მრავალი წელი ამ დაწესებულებაში და გაწერის შემთხვევები საკმაოდ იშვიათი იყო.

76. CPT -ის დაკვნით, პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლის შენობები ექვემდებარებოდა სასწრაფო შეკეთებას, ჰიგიენა იყო აუტანელი და არასაკმარისად თბებოდა.

77. უფრო კონკრეტულად, შენობებს არ ჰქონდათ მუდმივი წყალი. მაცხოვრებლები ბანაობდნენ ცივ წყალში, ეზოში და ხშირად იყვნენ გაუპარსავები და ჭუჭყიანები. აბაზანა, რომელზეც ხელმისაწვდომობა კვირაში ერთხელ ჰქონდათ, იყო კეთილმოუწყობელი და დაძველებული.

78. ტუალეტები, ასევე განთავსებული ეზოში, შედგებოდა მიწაში ამოთხრილი ორმოსგან და გამცვდარი გადასახურავისგან. მათი მდგომარეობა იყო აუტანელი და შიგნით შესვლა იყო საშიში. უფრო მეტიც, ძირითადი ჰიგიენის საშუალებები თითქმის არ იყო ხელმისაწვდომი.

79. მოხსენება ასევე უთითებს, რომ საკვები ულუფა იყო საკმარისი. მაცხოვრებლებს ჰქონდათ სამჯერადი კვება, მათ შორის 750 გრამი პური. რძე და კვერცხები არასდროს იყო წარმოდგენილი და ახალი ხილი და ბოსტნეული იშვიათად იყო ხელმისაწვდომი. სპეციალური კვების არანაირი ღონისძიება არ ტარდებოდა.

80. სახლში მკურნალობის ერთადერთი ფორმა იყო მედიკამენტოზური. ყველა მაცხოვრებელი, რომელიც მიიჩნეოდა ქრონიკულ ფსიქიატრიულ პაციენტად და რომელსაც სჭირდებოდა შემანარჩუნებელი თერაპია, რეგისტრირდებოდნენ როგორც ამბულატორიული პაციენტები დუპნიცას ფსიქიატრთან. ფსიქიატრი სტუმრობდა სახლს ორიდან სამ თვემდე შუალედში ერთხელ და ასევე მოთხოვნის შემთხვევაში. დამატებით, მაცხოვრებლები შეიძლება გადაყვანილიყვნენ ფსიქიატრთან – რომელიც ახორციელებდა ყოველკვირეულ ქირურგიულ ოპერაციებს ახლომდებარე ქალაქ რილაში – თუ ცვლილებები აღენიშნებოდა მათ ფსიქიკურ მდგომარეობას. ყველა

მაცხოვრებელი გადიოდა ფსიქიატრიულ შემოწმებას წელიწადში ორჯერ და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხდებოდა მათი მკურნალობის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირება. თითქმის ყველა მოსახლე ექვემდებარებოდა ფსიქიატრიულ მკურნალობას, რაც ფიქსირდებოდა სპეციალურ ბარათზე და მის წარმოებას ახორციელებდნენ ექთნები.

81. მედიკამენტოზური მკურნალობის გარდა, არანაირი თერაპიული აქტივობა არ იყო უზრუნველყოფილი მოსახლეებისთვის და ისინი ცხოვრობდნენ პასიური და მონოტონური ყოველდღიურობით.

82. CPT-მ დაასკვნა, რომ ეს პირობები ქმნიდნენ ისეთ სიტუაციას, რომელიც უტოლდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. მათ თხოვეს ბულგარეთის მთავრობას, რომ პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლი შეცვლილიყო სასწრაფოდ. 2004 წლის 13 თებერვლის პასუხში ბულგარეთის მთავრობამ აღიარა, რომ სახლი არ იყო ევროპული მოპყრობის სტანდარტებითან თავსებადი. მათ მიუთითეს, რომ პრიორიტეტულად მოხდებოდა მისი დახურვა და მოსახლეები გადაყვანილ იქნებოდნენ სხვა დაწესებულებებში.

83. CPT-მ მისი მოხსენების II.7 ნაწილში დამატებით აღნიშნა, რომ უმეტეს საქმეებში, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სპეციალურ დაწესებულებებში მოთავსება იწვევდა დე ფაქტო თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად, მოთავსების პროცედურა უნდა აღჭურვილიყო შესაფერისი დამცავი მექანიზმებით, მათ შორის ობიექტური სამედიცინო, უფრო კონკრეტულად ფსიქიატრიული, შემოწმებით. ასევე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, რომ ამ პირებს ჰქონოდათ სამართალწარმოების ინიცირების უფლება, სადაც მათი მოთავსების კანონიერება განიხილებოდა სწრაფად სასამართლოს მეშვეობით. CPT-ს რეკომენდაციის მიხედვით, ამგვარი უფლება უნდა ყოფილიყო გარანტირებული ბულგარეთში (იხილეთ მოხსენების 52-ე პუნქტი).

3. CPT-ის მოხსენება მის ვიზიტზე 2006 წლის 10-დან 21 სექტემბრამდე, გამოქვეყნებულია 2008 წლის 28 თებერვალს

84. მის მოხსენებაში CPT-მ კვლავ წარმოადგინა რეკომენდაცია, რომ სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის დებულება უნდა შემოღებულიყო (იხილეთ მოხსენების 176-177-ე პუნქტები).

85. რეკომენდირებულ იქნა, რომ უნდა განხორციელებულიყო ქმედებები, რათა მომხარყო ფსიქიკური აშლილობის ან ჩამორჩენილობის მქონე პირთა სახლებში მცხოვრებთა მოთავსების კანონის ტექსტთან და სულისკვეთებასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა. სოციალური საქმიანობის ხელშეკრულებებმა უნდა გაითვალისწინონ მაცხოვრებელთა სამართლებრივი უფლებები, მათ შორის საჩივრების შეტანის შესაძლებლობა ტერიტორიის გარეთ მდებარე უწყებებში. უფრო მეტიც, მაცხოვრებლები, რომლებსაც შეურაცხაობის გამო არ შეეძლოთ ხელშეკრულების შინაარსის გაგება, უნდა გასწეოდათ შესაბამისი დახმარება (იხილეთ მოხსენების 178-ე პუნქტი).

86. საბოლოოდ, CPT-მ მტკიცე რეკომენდაცია მისცა ბულგარეთის მთავრობას, რომ მიეღოთ ყველა ზომა და თავიდან აეცილებინათ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც წარმოიშობოდა სოციალური მზრუნველობის სახლის თანამშრომლის იმავე დაწესებულების მაცხოვრებლის მეურვედ დანიშვნის შემთხვევაში (იხილეთ მოხსენების 179-ე პუნქტი).

87. CPT-მ განახორციელა დამატებითი ვიზიტი პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მისი გეგმიური ვიზიტის დროს ბულგარეთში, 2010 წლის ოქტომბერში.

III. შედარებითი სამართალი

A. სასამართლოზე ხელმისაწვდომობა ქმედუნარიანობის აღდგენის მიზნით

88. ევროპის საბჭოს 20 წევრ სახელმწიფოს შიდა სამართლის შედარებითი კვლევა ხაზს უსვამდა იმას, რომ უმეტეს შემთხვევაში (ხორვატია, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ლუქსენბურგი, მონაკო, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკია, შვედეთი, შვეიცარია და თურქეთი) კანონი აძლევდა ქმედუნარობა შეზღუდულ პირებს

სასამართლოსთვის პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობას, ღონისძიების შეწყვეტის მიზნით.

89. უკრაინაში, ნაწილობრივ ქმედუნარობა შეზღუდულ პირებს აქვთ უფლება ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით პირადად მიმართვის უფლება; აღნიშნული არ ვრცელდება სრულ ქმედუნაროდ მიჩნევის შემთხვევებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ მეურვის მიერ მიღებული ღონისძიების გასაჩივრება სასამართლოს წინაშე.

90. ლატვიაში (სადაც საჩივარი შეიძლება გაკეთდეს პროკურორის ან სამეურვეო საბჭოს მიერ) და ირლანდიაში პირისთვის ქმედუნარიანობის ჩამორთმევის ბრძანების გაუქმების მოთხოვნით სასამართლო სამართალწარმოების ინიცირება არ შეიძლება განხორცილდეს უშუალოდ პირის მიერ.

B. ქმედუნარო პირის მოთავსება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში

91. 20 წევრ სახელმწიფოს შიდა სამართლის შედარებითი კვლევა ადასტურებს, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა ევროპაში, ქმედუნარო პირთა სპეციალიზირებულ დაწესებულებებში მოთავსებასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად პირის მოთავსებაზე უფლებამოსილ ორგანოზე, და მისთვის დადგენილი გარანტიების შესახებ. მაგრამ რამდენიმე ქვეყანაში (ავსტრია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, პორტუგალია და თურქეთი) შეინიშნება, რომ პირის ნების საწინააღმდეგოდ შესაბამის დაწესებულებაში გრძელვადიანი მოთავსება უნდა იქნას მიღებული პირადად მოსამართლის მიერ ან მის თანხმობას საჭიროებს.

92. სხვა სამართლებრივი სისტემები (ბელგია, დანია, უნგრეთი, ირლანდია, ლატვია, ლუქსემბურგი, მონაკო და გაერთიანებული სამეფო) მეურვეს, ახლო ნათესავებს ან ადმინისტრაციულ ორგანოებს პირის სპეციალიზირებულ დაწესებულებაში მოთავსების ნებართვას აძლევენ მოსამართლის თანხმობის აუცილებლობის გარეშე. ასევე ჩანს, რომ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში პირის მოთავსება ეფუძნება რამდენიმე მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას, მათ შორის პირის ჯანმრთელობას, საფრთხის ან რისკის არსებობას და/ან სამედიცინო დოკუმენტაციის

წარმოდგენას. დამატებით, მოთავსებას დაქვემდებარებული პირის გამოკითხვის ან კონსულტაციის ვალდებულება, მოთავსების შეწყვეტის ან გადასინჯვის დროითი შეზღუდვის დაწესება კანონით ან სასამართლოთა მიერ და სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობა წარმოადგენენ რამდენიმე ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში არსებულ გარანტიებს.

93. რამდენიმე ქვეყანაში (დანია, ესტონეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ლატვია, პოლონეთი, შვეიცარია და თურქეთი) პირის პირველადი მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოს წინაშე გადასინჯვის შესაძლებლობა გარანტირებულია უშუალოდ პირისთვის მეურვის თანხმობის გარეშე.

94. საბოლოოდ, რამდენიმე ქვეყანა (დანია, ესტონეთი, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ლატვია, პოლონეთი, შვეიცარია და თურქეთი) პირს პირდაპირ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მიმდინარე მოთავსების კანონიერების შესამოწმებლად პერიოდულად მიმართოს სასამართლოს.

95. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ქმედუნარიანობასთან ან სპეციალიზირებულ დაწესებულებაში მოთავსებასთან დაკავშირებით შეიცვალა (ავსტრია: 2007; დანია: 2007; ესტონეთი: 2005; ფინეთი: 1999; საფრანგეთი: 2007; გერმანია: 1992; საბერძნეთი: 1992; უნგრეთი: 2004; ლატვია: 2006; პოლონეთი: 2007; უკრაინა: 2000; გაერთიანებული სამეფო: 2005) ან შეცვლის პროცესშია (ირლანდია). აღნიშნული საკანონმდებლო რეფორმები ხორციელდება ქმედუუნარო პირთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაზრდით, რომელიც გულისხმობს მათი სტატუსის შესამოწმებლად სასამართლოზე პირდაპირ ხელმისაწვდომობას ან დამატებით გარანტიებს, როცა ისინი მოთავსებულნი არიან სპეციალურ დაწესებულებებში მათი სურვილის საწინააღმდეგოდ.

სამართალი

I. კონვენციის 5 § 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

96. მომჩივანმა განაცხადა, რომ მისი პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის 5 § 1 მუხლს. 5 § 1 ადგენს:

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, ესენია:

ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;

ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

დ) არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

ე) პირების კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება;

ფ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც

ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.”

A. pirveladi pretenziebi

97. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ მთავრობამ მხარი დაუჭირა მის პრეტენზიას, რომელიც დაყენებულ იქნა პალატის წინაშე და შეეხებოდა საჩივრის 5 § 1 მუხლთან მიმართებით ეროვნული შიდა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების არ ამოწურვას.

98. პრეტენზია ეფუძნებოდა შემდეგ არგუმენტაციას. პირველ რიგში, მომჩივანს შეეძლო ნებისმიერ დროს მიემართა პირადად სასამართლოსთვის, სსკ-ის 277-ე მუხლიდან გამომდინარე, მისი ქმედუნარიანობის აღდგენის და მეურვეობისგან გათავისუფლების მოთხოვნით, რაც მისცემდა მას შესაძლებლობას მისი სურვილისამებრ დაეტოვებინა სახლი. მეორე, მის ახლო ნათესავებს არ გამოუყენებიათ მათთვის სკ-ის 113-ე და 115-ე მუხლებით განსაზღვრული შესაძლებლობა, რათა მიემართათ მეურვეობის უწყებისთვის მეურვის გამოსაცვლელად. მთავრობის მიხედვით, უარის შემთხვევაში, მომჩივნის ნათესავებს შეეძლოთ მიემართათ სასამართლოსთვის, რომელიც განიხილავდა თხოვნის არსებით მხარეს და შესაბამისობის შემთხვევაში დანიშნავდა ახალ მეურვეს, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა შეეწყვიტა მოთავსების შეთანხმება. მთავრობამ ასევე წარადგინა, რომ არსებითად მომჩივნის ახლო ნათესავებს შეეძლოთ სადავო გაეხადათ მეურვე რ.პ.-ს და პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლს შორის ხელმოწერილი შეთანხმება. საბოლოოდ, მათ მიუთითეს, რომ მომჩივანს პირადად შეეძლო მოეთხოვა სამეურვეო უწყებისგან Ad hoc წარმომადგენლის დანიშვნა, მის ინტერესთა კონფლიქტის გამო მეურვესთან, რომელიც შეეხებოდა დაწესებულების დატოვებას და საცხოვრებლის სხვაგან არჩევას (სკ-ის 123-ე მუხლის პირველი პუნქტი).

99. დიდი პალატა უთითებს, რომ პალატის 2010 წლის 29 ივნისის დასაშვებობის გადაწყვეტილებაში მითითებულ იქნა, რომ მთავრობის პრეტენზია შეეხებოდა საკითხს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მომჩივნის 5 § 4 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის არსებით მხარესთან და შესაბამისად გააერთიანა პრეტენზიის განხილვა საქმის არსებითი მხარის ამ ნაწილთან.

100. დამატებით, იმის დადგენა იყო თუ არა ამ საქმეში სახეზე “თავისუფლების აღკვეთა” კონვენციის 5 § 1 მუხლთან მიმართებით, მჭიდროდ არის დაკავშირებული საჩივრის ამ ნაწილის არსებით მხარესთან და შესაბამისად პალატამ გააერთიანა მისი განხილვის საკითხი არსებით მხარესთან. დიდი პალატა ვერ ხედავს მიზეზს დააყენოს ექვექვე ამ მიმართებით პალატის შეფასება.

97. აღეკვეთა თუ არა მომჩივანს თავისუფლება 5 § 1 მუხლის შესაბამისად

1. მხარეთა მოსაზრებები

(a) მომჩივანი

101. მომჩივანმა მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მოთავსება სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მიიჩნეოდა “ნებაყოფლობითად”, მისი გადაყვანა პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას. იგი აცხადებდა, რომ როგორც საქმეში *Storck v. Germany* (no. 61603/00, ECHR 2005-V), ამ შემთხვევაშიც დაკავების ობიექტური და სუბიექტური ელემენტები იყო სახეზე.

102. ღონისძიების ბუნებასთან დაკავშირებით, მომჩივანმა წარადგინა, რომ განცალკევებულ მთიან ადგილას, სოციალური მზრუნველობის სახლში ცხოვრება წარმოადგენდა საზოგადოებისგან იზოლაციას. მას არ შეეძლო მისი ინიციატივით მისი დატოვება, რადგან არ გააჩნდა საიდენტიფიკაციო დოკუმენტები ან ფული და შეიძლებოდა პოლიციის მიერ მომხდარიყო მისი გაჩერება რუტინული შემოწმების ფარგლებში, რაც წარმოადგენდა ბულგარეთში ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას.

103. სოციალური მზრუნველობის სახლიდან გასვლა ექვემდებარებოდა წინასწარ ნებართვას. დაწესებულებას და მის სახლს შორის არსებული დაახლოებით 420 კილომეტრიანი დისტანციის და მის ინვალიდობის პენსიაზე ხელმიუწვდომლობამ, თითქმის შეუძლებელი გახდა რუსში

ჩასვლა სამზე მეტჯერ. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ მას უარი ეთქვა დამატებით სხვა ვიზიტებზე სახლის უფროსობის მიერ. მან დაამატა, რომ არასაკანონმდებლო საფუძვლის მქონე პრაქტიკის მიხედვით, მაცხოვრებლები, რომლებიც წინასწარ ნებადართულზე მეტი ხნის განმავლობაში ტოვებდნენ სახლს, განიხილებოდნენ როგორც გაქცეულები და ხდებოდა მათი პეზნა პოლიციის მიერ. მან ამ მიმართებით მიუთითა, რომ ერთ შემთხვევაში პოლიციამ დააკავა იგი რუსში და მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა მისი გადაყვანა სახლში, ის ფაქტი, რომ დირექტორმა თხოვა პოლიციას მისი ადგილდებარეობის დადგენა და უკან გადაცემა, წარმოადგენდა მისი პიროვნული თავისუფლების შეზღუდვის უპირობო საფუძველს. მან განაცხადა, რომ თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების განმარტების გარეშე იგი დაკავებულ და დაპატიმრებულ იქნა პოლიციის მიერ, რომლებიც ელოდებოდნენ მის წასაყვანად სახლის პერსონალის მოსვლას. რადგან მისი გადაყვანა მოხდა იძულებით, არ ჰქონდა მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ აღნიშნულს ახორციელებდნენ სახლის თანამშრომლები.

104. მომჩივანმა დამატებით მიუთითა, რომ 8 წლის განმავლობაში იგი მოთავსებული იყო სახლში და მისი დატოვების იმედი იყო ფუჭი, რადგან გადაწყვეტილება საჭიროებდა მეურვის მხრიდან თანხმობას.

105. 104. მომჩივანმა ხაზი გაუსვა იმ რეჟიმის სიმკაცრეს, რომელსაც იგი ექვემდებარებოდა მოთავსების შედეგად. მისი პროფესიული საქმიანობა, მკურნალობა და გადაადგილება ექვემდებარებოდა ზედმიწევნით და პრაქტიკულ მეთველყურეობას სახლის თანამშრომელთა მხრიდან. იგი ვალდებული იყო მიჰყოლოდა მკაცრ ყოველდღიურ რუტინას, დილით ადგომას, დაძინებას და კვებას ფიქსირებულ დროს. მას არ ჰქონდა ტანსაცმლის არჩევის, საჭმლის მომზადების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის ან სხვა ხალხთან ურთიერთობების განვითარების თავისუფალი არჩევანი, მათ შორის ინტიმური კავშირის, რადგან სახლის ყველა მაცხოვრებელი იყო მამაკაცი. მას ტელევიზორის ყურების უფლება ეძლეოდა მხოლოდ დილაობით. შესაბამისად, მისი სახლში ყოფნა იწვევდა მისი კეთილდღეობის აშკარა გაუარესებას და ინსტიტუციონალიზაციის სინდრომის ჩამოყალიბებას, სხვა სიტყვებით, მის უუნარობას რეინტეგრირება მოეხდინა საზოგადოებაში და ეცხოვრა ნორმალური ცხოვრებით.

106. 105. სუბიექტურ ელემენტთან დაკავშირებით, მომჩივანმა მიუთითა, რომ მისი სიტუაცია განსხვავდებოდა განხილული *H.M. v. Switzerland* (no. 39187/98, ECHR 2002-II) საქმისგან, სადაც მომჩივანი დათანხმდა თავშესაფარში მოთავსებას. მას არასდროს მიუცია ამგვარი თანხმობა. იმ დროისთვის მისმა მეურვემ, ქ-ნმა რ.პ.-მ (იხილეთ ზემოთ მე-12 პუნქტი), არ გაიარა მასთან კონსულტაციები მის მოთავსებასთან დაკავშირებით და უფრო მეტიც, იგი საერთოდ არ იცნობდა მას; ასევე არ იცოდა მან 2002 წლის 10 დეკემბრის მოთავსების შეთანხმების შესახებ (იხილეთ ზემოთ მე-14 პუნქტი), რომელზეც მას არასდროს მოუწერია ხელი. აღნიშნული წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი პრაქტიკის გამოხატულებას ბულგარეთში, სადაც თუკი პირი ერთხელ კარგავდა ქმედუნარიანობას, მათ შორის ნაწილობრივად, იგი მიიჩნეოდა ნების გამოვლენის უუნაროებად. დამატებით, სამედიცინო დოკუმენტაციიდან ნათელი იყო, რომ განმცხადელის სურვილი დაეტოვებინა სახლი განიხილებოდა არა როგორც თავისუფლად გამოხატული სურვილი, არამედ, მისი ფსიქიკური დაავადების სიმპტომი.

107. 106. დასასრულს, საქმეში *H.M. v. Switzerland* (ზემოხსენებული საქმე), ხელისუფლებამ მომჩივნის თავშესაფარში მოთავსება გადაწყვიტა დეტალური შემოწმების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა სოციალურ სამსახურებთან თანამშრომლობის ნაკლებობის გამო საცხოვრებელი პირობების საგრძნობ გაუარესებას. აღნიშნულნიდან განსხვავებით, ამ საქმეში მომჩივნისთვის არასდროს შეუთავაზებიათ და მასაც არასდროს უთქვამს უარი სოციალური მზრუნველობის ალტერნატიულ სახლზე.

(b) მთავრობა

108. პალატის წინაშე წარდგენილ წერილობით მოსაზრებაში, მთავრობამ აღიარა, რომ საქმის გარემოებები წარმოადგენდნენ “თავისუფლების აღკვეთას” კონვენციის 5 § 1 მუხლის მიზნებისთვის. მაგრამ, დიდი პალატის წინაშე, მათ განაცხადეს, რომ მეხუთე მუხლი არ ვრცელდებოდა აღნიშნულზე. მათ განაცხადეს, რომ ამ მიმართებით მომჩივანი არ იქნა გადაყვანილი სავალდებულო წესით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სახელმწიფო უწყებების მიერ “საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

შესახებ” კანონის შესაბამისად, არამედ, იგი მოათავსეს სოციალური მზრუნველობის სახლში მომჩივნის მეურვის თხოვნით, სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე და სოციალური დახმარების წესების შესაბამისად. შედეგად, იმ პირებმა, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება, მათ შორის ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირებმა, შეიძლება მოითხოვონ სხვადასხვა სოციალური და სამედიცინო მომსახურება, პირადად ან წარმომადგენლების მეშვეობით, “სოციალური დახმარების შესახებ” (იხილეთ ზემოთ 57-60-ე პუნქტები) 1998 წლის კანონის შესაბამისად. ფსიქიატრიული აშლილობის მქონე ზრდასრულ პირთა სახლები სთავაზობდნენ მომსახურების ფართო არჩევანს და ამგვარ ინსტიტუციებში მოთავსება არ უნდა იქნას განხილული თავისუფლების აღკვეთად.

109. რაც შეეხება საქმის კონკრეტულ გარემოებებს, მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ მომჩივანს არასდროს გაუპროტესტებია მკაფიოდ და გაცნობიერებულად სახლში მოთავსება და შესაბამისად, ღონისძიების არანებაყოფლობითი ხასიათი. ასევე, იგი იყო თავისუფალი დაეტოვებინა სახლი ნებისმიერ დროს.

110. დამატებით, მომჩივანი წახალისებულ იქნა, რათა ემუშავა სოფლის რესტორანში მისი საუკეთესო ინტერესების უზრუნველსაყოფად და ამ მიმართებით სამჯერ მიეცა შესაბამისი შვებულება. რუსიდან მისი ვადაზე ადრე ორჯერ დაბრუნების მიზეზი იყო საცხოვრებელი სახლის არარსებობა (იხილეთ ზემოთ, 27-ე პუნქტი). მთავრობამ დამატებით წარადგინა, რომ მომჩივანი არასდროს ყოფილა დაბრუნებული უკან პოლიციის მეშვეობით. მათ აღიარეს, რომ 2006 წლის სექტემბერში დირექტორს მოუხდა პოლიციისთვის მიმართვა მომჩივნის ადგილდებარეობის დასადგენად, რადგან იგი არ დაბრუნდა (იხილეთ ზემოთ 27-ე პუნქტი). მაგრამ აღნიშნული ახსნეს საქმეში – *Dodov v. Bulgaria* (ნო. 59548/00, 2008 წლის 17 იანვარი) – დადგენილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებით, რომელიც გულიხმობს სოციალური მზრუნველობის სახლებში მოთავსებულ პირთა მოვლას.

111. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა სრული ქმედუნარიანობა და შესაბამისად ვერ სარგებლობდა საოჯახო გარემოს მხარდაჭერით, საცხოვრებლით ან დამოუკიდებელი ცხოვრების გაძღოლისთვის საკმარისი რესურსებით. საქმეებზე –

Dodov v. Bulgaria (ზემოხსენებული საქმე) და *N Nielsen v. Denmark* (1988 წლის 28 ნოემბერი, შერიეს A ნო. 144) – მითითებით, მათ განაცხადეს, რომ მომჩივნის მოთავსება სახლში იყო დამცავი ღონისძიება, რომელიც მხოლოდ მისი ინტერესებისთვის იქნა მიღებული და წარმოადგენდა სოციალური და სამედიცინო გადაუდებლობის შემხვედრ ზომას; ამგვარი პასუხი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო არანებაყოფლობითად.

(c) მესამე მხარე

112. Interrights-მა წარმოადგინა შემდეგი ზოგადი მოსაზრებები. ორგანიზაციის განცხადებით, მან შეისწავლა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სპეციალურ დაწესებულებებში მოთავსების პრაქტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამგვარ დაწესებულებებში მოთავსების უმეტესი შემთხვევები შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც de facto თავისუფლების აღკვეთა.

113. სოციალური მზრუნველობის სახლები ხშირად მდებარეობდნენ გარეუბნებში ან მთიან რეგიონებში, რომლებიც არ წარმოადგენდნენ ადვილად ხელმისაწვდომს ტერიტორიებს. როცა ისინი განთავსებულ იყვნენ დასახლებულ ადგილებში, მათ გარსშემორტყმული ჰქონდათ მაღალი კედელი ან ღობეები და ჭიშკრები დაკეტილი იყო. როგორც წესი, მაცხოვრებლებს ჰქონდათ უფლება დაეტოვებინათ დაწესებულებები სახლის დირექტორთა პირდაპირი ნებართვით და განსაზღვრული ვადით. ნებადართული შვებულებების პერიოდში, პოლიციას ჰქონდა უფლება მოემხმნა და დაებრუნებინა კონკრეტული პირი უკან. ერთი და იგივე შემზღუდავი ღონისძიება ვრცელდებოდა ყველა მაცხოვრებელზე, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა – სრული ან ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ან ქმედუნარობის შემთხვევა – და Interrights-ის მოსაზრებით, სწორედ აღნიშნული იყო გადამწყვეტი ფაქტორი. არ ექცეოდა ყურადღება იმ ფაქტს, მოთავსება ნებაყოფლობითი იყო თუ არა.

114. მოთავსების სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით, Interrights-მა აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირთა თანხმობა იყო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროებდა ფრთხილ დამოკიდებულებას. ზედმიწევნითი ნაბიჯები უნდა

გადადგმოლიყო, რათა გამოკვეთილიყო პირთა ნამდვილი სურვილები, მიუხედავად ქმედუუნაროდ აღიარებისა, რასაც ადგილი შეიძლება ჰქონოდა მათ საქმეში. Interights-ი ამტკიცებდა, რომ როცა შესაბამის პირებს უწევდათ არჩევანის გაკეთება უკონტროლო, უსახლკარო არსებობასა და სოციალური მზრუნველობის სახლების მიერ დადგენილ შესაბამის უსაფრთხოებას შორის, არჩევის გაკეთება ხდებოდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრებ ქმედუუნარო პირებს შეიძლება გადაეწყვიტათ მეორე არჩევის მხარდაჭერა უბრალოდ, რადგან არ არსებობდა სახელმწიფოს ალტერნატიული სოციალური კეთილდღეობის სერვისები. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ კონკრეტულ პირები თავისუფლად ირჩევდნენ მათ საცხოვრებელ პირობებს.

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

115. 115. სასამართლო იმეორებს, რომ თავისუფლების აღკვეთას და მეოთხე ოქმის მეორე მუხლით განსაზღვრული გადაადგილების თავისუფლებაზე შეზღუდვებს შორის არსებული განსხვავება მდგომარეობს თავისუფლების შეზღუდვის ხარისხში ან ინტენსივობაში და არა ბუნებაში ან არსში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული კატეგორიების კლასიფიკაცია არ წარმოადგენს ადვილ საქმეს, რადგან ზოგიერთ მომიჯნავე საქმეში აღნიშნული მხოლოდ შეფასების საკითხია, სასამართლო თავიდან ვერ აიცილებს არჩევანის გაკეთებას, რომელზეც მეხუთე მუხლის გამოყენება არ გამოყენების საკითხია დამოკიდებული (იხილეთ *Guzzardi v. Italy*, 1980 წლის 6 ნოემბერი, §§ 92-93, Series A no. 39). იმის განსასაზღვრავად ვინმეს შეეზღუდა თუ არა თავისუფლება, საწყისი წერტილი უნდა იყოს კონკრეტული სიტუაცია და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კრიტერიუმთა მთელი კატალოგი, როგორებიცაა ტიპი, ხანგრძლივობა, ეფექტები და კონკრეტული ღონისძიების იმპლემენტაციის მეთოდი (იხილეთ *Storck*, ზემოხსენებული საქმე, § 71, და *Guzzardi*, ზემოხსენებული საქმე, § 92).

116. ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, სასამართლომ დაადგინა, რომ პირი უნდა იქნას მიჩნეული “დაპატიმრებულად”, მაშინაც როცა იგი

იმყოფებოდა ღია საავადმყოფოს რეჟიმში საავადმყოფოს დაუცველ სართულებზე ან მის გარეთ შესაძლო ვიზიტის თავისუფლად განხორციელების რეგულარული ხელმისაწვდომობით (იხილეთ *Ashingdane v. the United Kingdom* 1985 წლის 28 მაისი, § 42, Series A no. 93).

117. დამატებით, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების დაწესებულებაში მოთავსებასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ თავისუფლების აღკვეთის განმარტება არ შედგებოდა მხოლოდ პირის კონკრეტულ ტერიტორიაზე არაუმნიშვნელო დროით მოთავსების ობიექტური ელემენტისგან. პირი მხოლოდ მაშინ ითვლებოდა თავისუფლება აღკვეთილად, თუ იგი არ ეთანხმებოდა კონკრეტულ შეზღუდვას, წარმოდგენილი როგორც დამატებითი სუბიექტური ელემენტი. (იხილეთ, *Storck* ზემოხსენებული საქმე, § 74).

118. სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო თავისუფლების აღკვეთა შემდეგი პირობების შემთხვევებში: (ა) როცა მომჩივანმა, რომელიც ქმედუუნაროდ იყო ცნობილი და მისი წარმომადგენლის თხოვნით მოთავსდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სცადა აღნიშნული ტერიტორიის უშედეგოდ დატოვება (იხილეთ, *Shtukaturov v. Russia*, No. 44009/05, § 108, 2008 წლის 27 მარტი); (ბ) როცა მომჩივანი თავიდან თანახმა იყო მის კლინიკაში მოთავსებაზე, მაგრამ შემდგომ სცადა გაქცევა (იხილეთ, *შტორცკ, ზემოხსენებული საქმე*, § 76); და (გ) როცა მომჩივანი იყო ზრდასრული შეურაცხადი პირი, რომელსაც არ შეეძლო თანხმობის გამოხატვა მის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს უცდია გაქცევა (იხილეთ, *H.L. v. the United Kingdom*, no. 45508/99, §§ 89-94, ECHR 2004-IX).

119. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ თავისუფლების უფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისთვის საკმარისად მნიშვნელოვანს, რომ პირმა დაკარგოს კონვენციით დადგენილი დაცვა იმ ერთი მიზეზის გამო, რომ იგი თანახმაა დაკავებულ იქნას (იხილეთ, *De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*, 1971 წლის 18 ივნისი, §§ 64-65, Series A no. 12), განსაკუთრებით მაშინ, როცა უდავოა, რომ პირი უუნაროა გამოხატოს თანხმობა ან

უარყოფა კონკრეტული ქმედების მიმართ იხილეთ *H.L. v. the United Kingdom*, ზემოხსენებული საქმე, § 90).

120. დამატებით სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა დაედგინა, რომ 5 § 1 მუხლი უნდა იქნას ფორმულირებული იმგვარად, რომ დაადგინოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფ პირთა თავისუფლება. სხვა პირობებში ადგილი ექნება საკმაო სიცარიელეს თვითნებური დაკავებისგან დაცვის საქმეში, რომელიც შეუთავსებელი იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნული თავისუფლების მნიშვნელობასთან. შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები მოწყვლად ჯგუფთა ეფექტიან დაცვასთან დაკავშირებით, მათ შორის გონივრული ნაბიჯები თავიდან აიცილოს თავისუფლების აღკვეთა, რომელთა შესახებ სახელმწიფოს აქვს ან უნდა ჰქონდეს ცოდნა (იხილეთ, შტორცკ, ზემოხსენებული საქმე, § 102). შესაბამისად, საქმის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული უწყებების პასუხისმგებლობა იყო სახეზე, მეურვის თხოვნით (იხილეთ, *Shtukaturov* ზემოხსენებული საქმე) ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მომჩივნის პატიმრობის შემთხვევაში და ასევე კერძო კლინიკაში პირის დაკავებისას (იხილეთ, *Storck* ზემოხსენებული საქმე).

(b) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

121. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საქმეში დასაწყისისთვის არ არის საჭირო იმის ზოგადი განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა, ქმედუენარო პირის სოციალური მზრუნველობის დაწესებულებაში მოთავსება, “თავისუფლების აღკვეთას” 5 § 1 მუხლის მნიშვნელობით. ზოგიერთ საქმეში, მოთავსება ინიცირებულია ოჯახების მიერ, რომლებიც მონაწილეობენ სამეურვეო საქმეებში და ემყარება სამოქალაქო სამართლებრივ შეთანხმებებს შესაბამის სოციალური მზრუნველობის დაწესებულებთან. შესაბამისად, თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა ამ საქმეებში წარმოადგენს კერძო პირთა ქმედებას და სახელმწიფოს როლი შეზღუდულია ზედამხედველობით. სასამართლო ამ საქმეში არ დგას იმის განმარტების წინაშე, თუ

ამგვარ სიტუაციებში სახელმწიფოს რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება.

122. სასამართლო უთითებს, რომ ამ საქმეში არის სპეციალური გარემოებები. მომჩივნის არცერთი ოჯახის წევრი არ მონაწილეობდა სამეურვეო შეთანხმებაში და მეურვის ვალდებულებები გადაეცა სახელმწიფოს წარმომადგენელს (ქ-ნ რ.პ.-ს), რომელმაც აწარმოა მოლაპარაკება და მოაწერა მოთავსების შეთანხმებას პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლთან მომჩივანთან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე, რომელსაც არც კი შეხვედრია არასდროს. მოთავსების შეთანხმება აღსრულდა სახელმწიფო დაწესებულებაში სოციალური სამსახურების მიერ, რომელსაც არასდროს გამოუკითხავთ მომჩივანი (იხილეთ, ზემოთ მე-12-15 პუნქტები). მომჩივნისთვის არასდროს უკითხავთ მეურვის არჩევის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის შეეძლო ჭეშმარიტი მოსაზრების გამოხატვა და მისი თანხმობა იყო აუცილებელი იყო 1949 წლის 9 აგვისტოს “პირთა და ოჯახის შესახებ” კანონის შესაბამისად (იხილეთ ზემოთ 42-ე პუნქტი). აღნიშნულის ამგვარად არსებობის შემთხვევაში, ის არ იქნებოდა გადაყვანილი პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მისი სურვილით ან ნებაყოფლობითი კერძო სამართლებრივი შეთანხმებით, რომელიც განსაზღვრავს სოციალური დახმარების და დაცვის მიზნით დაწესებულებაში გადაყვანას. სასამართლო განსაზღვრავს, რომ მომჩივნის მიერ გასაჩივრებული შეზღუდვები, მისი დაწესებულებაში მოთავსების პირველადი თხოვნიდან მოყოლებული სხვადასხვა ღონისძიებათა იმპლემენტაციით დამთავრებული, იყო სახელმწიფოს წარმომადგენელთა და ინსტიტუტთა მიერ განხორციელებულ ქმედებათა შედეგი და არა კერძო პირთა მოქმედებები ან ინიციატივები. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მომჩივნის მეურვის არაკეთილსინდისიერად მოქმედებასთან დაკავშირებული მინიშნება, ზემოაღნიშნული მოსაზრებები განასხვავებს ამ საქმეს *ნიელსენ-ისგან* (ზემოხსენებული საქმე), სადაც მომჩივნის დედამ კეთილსინდისიერად მოათავსა მისი მცირეწლოვანი შვილი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, რამაც განაპირობა სასამართლოს დასკვნა, რომ აღნიშნული ღონისძიება გამომდინარეობდა შვილზე ექსკლუზიური მეურვის უფლებებიდან (custodial rights), რომელსაც არ შეეძლო ჭეშმარიტი მოსაზრების გამოხატვა.

123. მომჩივნის მოთავსება სოციალური მზრუნველობის სახლში შეიძლება ითქვას, რომ მიეწერება ეროვნულ ხელისუფლებას. უნდა გაირკვეს, რამდენად წარმოადგენდა ღონისძიებიდან მომდინარე შეზღუდვები “თავისუფლების შეზღუდვას” მეხუთე მუხლის მიზნებისთვის.

124. ობიექტურ ასპექტთან მიმართებით, სასამართლო უთითებს, რომ მომჩივანი მოთავსებულ იქნა კორპუსში, რომლის დატოვების უფლებაც ჰქონდა, მაგრამ აქვე ხაზს უსვამს, რომ კორპუსის ჩაკეტვის საკითხი არ არის გადამწყვეტი ფაქტორი (იხილეთ, *A Ashingdane*, ზემოხსენებული საქმე, § 42). მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს ჰქონდა უფლება წასულიყო უახლოეს სოფელში, მას სჭირდებოდა აშკარა ნებართვა ამისთვის (იხილეთ ზემოთ 25-ე პუნქტი). უფრო მეტიც, ის დრო, რომელსაც იგი ატარებდა სახლს გარეთ და ის ადგილები, სადაც შეეძლო წასვლა ყოველთვის ექვემდებარებოდა კონტროლს და შეზღუდვებს.

125. სასამართლო დამატებით უთითებს, რომ 2002 წლიდან 2009 წლამდე მომჩივანს მიეცა შვებულება სამი მოკლე ვიზიტისთვის (დაახლოებით 10 დღით) რუსში წასასვლელად (იხილეთ 26-28-ე პუნქტები). შეუძლებელია იმის მტკიცება, ექნებოდა თუ არა მას უფრო ხშირი ვიზიტების უფლება დამატებითი მოთხოვნის შემთხვევაში. მაგრამ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შვებულებები სრულად იყო სახლის ხელმძღვანელობის დისკრეციაზე დამოკიდებული, რომელიც ინახავდა მომჩივნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს და ახდენდა მისი ფინანსების ადმინისტრირებას, მათ შორის ტრანსპორტის ხარჯების (იხილეთ ზემოთ 25-26-ე პუნქტები). უფრო მეტიც, სასამართლოსთვის ნათელია, რომ სახლის მდებარეობა მთიან რეგიონში, რუსისგან მოშორებით ართულებდა მოგზაურობას და იყო ძვირი მომჩივნისთვის მისი შემოსავლის და შესაძლებლობის გათვალისწინებით მოეხდინა მისი სამოგზაურო ხარჯების უზრუნველყოფა თავად.

126. სასამართლო აცხადებს, რომ შვებულების სისტემა და ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელობა ინახავდა მომჩივნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს, არსებითი ხასიათის შეზღუდვებს აწესებდა მის პირად თავისუფლებაზე.

127. უფრო მეტიც, უდავოა, რომ როცა მომჩივანი არ დაბრუნდა შვებულებიდან 2006-ში, სახლის ხელმძღვანელობამ სთხოვა რუსის პოლიციას მისი მოძებნა და დაბრუნება (იხილეთ 28-ე პუნქტი). სასამართლომ შეიძლება გაიზიაროს, რომ ამგვარი ნაბიჯები წარმოადგენდნენ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სახლის ხელმძღვანელობის მიერ გაცნობიერებული პასუხისმგებლობის ნაწილს იქ მაცხოვრებელთა მიმართ. დამატებით უთითებს, რომ პოლიციამ არ მოახდინა მომჩივნის უკან გადაყვანა და რომ მას არ დაუდასტურებია მისი დაკავება სახლის წარმომადგენელთა მოსვლამდე პერიოდში. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ მისი შვებულების ნებადართული პერიოდის ვადა გავიდა, პერსონალმა დააბრუნა იგი უკან სახლში მისი სურვილის მიუხედავად.

128. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი იყო უფლებამოსილი განეხორციელებინა გარკვეული მოგზაურობა, ზემოაღნიშნული ფაქტორები აძლევს სასამართლოს მთავრობის პოზიციის საწინააღმდეგო დაკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მომჩივანი იმყოფებოდა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და რომ არ შეეძლო სახლის ნებართვის გარეშე დატოვება მისი სურვილისაებრ. *Dodov*-ის საქმეზე (ზემოხსენებული საქმე) მითითებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ აღნიშნული შეზღუდვები იყო აუცილებელი ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულებების – მომჩივნის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის – უზრუნველსაყოფად. სასამართლო უთითებს, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში, მომჩივნის დედა დაავადებული იყო ალცჰეიმერის დაავადებით და შედეგად მისი მეხსიერება და ფსიქიკური უნარი პროგრესირებადად უარესდებოდა იმ დონემდე, რომ თავშესაფრის პერსონალს მიეცა მისი უმეთვალყურეოდ არ დატოვების მითითება. მაგრამ აღნიშნულ საქმეში, მთავრობას არ წარმოუდგენია, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო იმგვარი, რომ აყენებდა მას იმწუთიერი საფრთხის ქვეშ ან ითხოვდა დამატებითი სპეციალური შეზღუდვების დაწესებას მისი სიცოცხლის ან სხეულის დასაცავად.

129. რაც შეეხება ღონისძიების ხანგრძლივობას, სასამართლო უთითებს, რომ იგი არ იყო დაზუსტებული და შესაბამისად წარმოადგენდა განუსაზღვრელს, რადგან მომჩივანი რეგისტრირებულ იყო და დღესაც რჩება მუნიციპალურ რეესტრში,

როგორც სოციალური მზრუნველობის სახლში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირი (ამ ადგილას მან იცხოვრა რვა წელზე მეტი). ეს პერიოდი წარმოადგენს მისთვის საკმარის ხანგრძლივობას, რათა ეგრძნო მის მიმართ დაწესებული შეზღუდვის სრული უარყოფითი ეფექტები.

130. ღონისძიების სუბიექტურ ასპექტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სამართლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ (იხილეთ 42-ე პუნქტი ზემოთ), მომჩივნისთვის არასდროს უკითხავთ სახლში მოთავსებაზე მისი მოსაზრება და არასდროს გამოუხატავს პირდაპირი თანხმობა ამაზე. ამის საწინააღმდეგოდ, იგი გადაყვანილ იქნა პასტრაში სასწრაფოს მანქანით და მოთავსდა სახლში, მისი ოფიციალურად განსაზღვრული მეურვის მიერ გადაწყვეტილი ღონისძიების ხანგრძლივობის ან მიზეზების ინფორმირების გარეშე. სასამართლო ამ მიმართებით უთითებს, რომ არსებობს სიტუაცია, როცა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირის სურვილი შეიძლება ჩანაცვლებული იქნას სხვა პირთა მიერ, რომლებიც მოქმედებენ დამცავი ღონისძიების კოტექსტში და როცა ზოგიერთ შემთხვევაში ძნელია კონკრეტული პირის ნამდვილი სურვილების და პრიორიტეტების დადგენა. მაგრამ, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ როცა პირი არ არის სრულიად ქმედუნარიანი, ეს არ ნიშნავს აუცილებლად, რომ მას არ შესწევს სიტუაციის აღქმის უნარი (იხილეთ, *Shtukaturov* ზემოხსენებული საქმე, \$ 108). ამ საქმეში, ეროვნული სამართალი აქცევდა გარკვეულ ყურადღებას მომჩივნის სურვილებს და ნათელია, რომ მას კარგად ესმოდა მისი სიტუაცია. სასამართლო უთითებს, რომ მინიმუმ 2004 წლიდან, მომჩივანმა პირდაპირ გამოხატა პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლის დატოვების სურვილი და ფსიქიატრისთვის და სახელმწიფოსთვის განცხადებებით მიმართვით მისი ქმედუნარიანობის აღდგენის და მეურვეობისგან გათავისუფლების მოთხოვნით (იხილეთ ზემოთ 37-41-ე პუნქტები).

131. ამ საქმეში დადგენილი ფაქტორები განასხვავებენ მას საქმისგან *H.M. v. Switzerland* (ზემოხსენებული საქმე), სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე არ იყო თავისუფლების აღკვეთა, რადგან მომჩივანი მოთავსდა თავშესაფარში მხოლოდ მისი ინტერესებისთვის და იქ მისვლის შემდეგ გამოთქვა თანხმობა

დარჩენაზე. ამ მიმართებით, მთავრობას არ წარმოუდგენია, რომ აღნიშნულ საქმეში პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მიყვანისას ან შემდეგ მომჩივანმა გამოხატა თანხმობა დარჩენაზე. ამ პირობებში, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ მომჩივანმა გამოხატა თანხმობა მოთავსებაზე ან შემდგომ ეტაპზე ან მისი ყოფნის პერიოდში იმპლიციტურად დათანხმდა აღნიშნულს.

132. ამ საქმის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით, განსაკუთრებით მომჩივნის სახლში მოთავსების გადაწყვეტილებაში და მის იმპლემენტაციაში სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობის, შვებულების წესების, მოთავსების ხანგრძლივობის და მომჩივნის თანხმობის არარსებობის ფონზე, სასამართლო ასკვნის, რომ განსახილველი სიტუაცია წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას კონვენციის 5 \$ 1 მუხლის მიზნებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული დებულება გამოიყენება ამ საქმეში.

C. შეესაბამებოდა თუ არა მომჩივნის პასტრას სოციალური დახმარების სახლში მოთავსება 5 \$ 1 მუხლს

1. მხარეთა მოსაზრებები

(a) მომჩივანი

133. მომჩივანმა წარადგინა, რომ იგი არ დათანხმდა მის პასტრას სოციალური დახმარების სახლში მოთავსებას და არ მოაწერა ხელი მეურვეს და სახლს შორის შეთანხმებას, ამიტომ ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგებოდა “პირთა და ოჯახის შესახებ” კანონს. მან დაამატა, რომ იგი არ იყო ინფორმირებული შეთანხმების არსებობის შესახებ მოთავსების მომენტისთვის და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა დიდი ხნის განმავლობაში. მას არც იმის შესაძლებლობა ჰქონდა, რომ გაესაჩივრებინა მეურვის მიერ მიღებული მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ მეურვეს ჰქონდა ვალდებულება, საოჯახო კოდექსის 126-ე მუხლის შესაბამისად, ეცნობებინა მისი მოქმედებების შესახებ სამეურვეო უწყებისთვის (მერი), ამ უკანასკნელს არ ჰქონდა უფლებამოსილება მიეღო რაიმე ღონისძიება მის მიმართ. უფრო მეტიც, მომჩივნის მიმართ არანაირი ცნობა არ იქნა შედგენილი და მის მეურვეებს არასდროს უგიათ პასუხი ამ დარღვევის გამო.

134. მომჩივანმა დამატებით წარადგინა, რომ მისი მოთავსება ფსიქიკური აშლილობის მექონე პირთა სახლში არ ექცეოდა არცერთი საფუძვლის ქვეშ, რომლითაც თავისუფლების აღკვეთა შეიძლება გამართლებულ იქნას მეხუთე მუხლის მიზნებისთვის. აღნიშნული ღონისძიება არ გამართლებულა საზოგადოებრივი უსაფრთხოების აუცილებლობით ან კონკრეტული პირის დაწესებულების გარეთ შეგუების უუნარობის ფაქტით. ამ არგუმენტის შესაბამისად, მომჩივანმა განაცხადა, რომ სახლის დირექტორმა მიიჩნია იგი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის მექონე პირად და რამდენიმე მცდელობა იყო მისი ოჯახთან დაახლოების, მიუხედავად მათი უშედეგობისა. შესაბამისად, სახელმწიფოს წარმომადგენლება დააფუძნეს მომჩივნის სახლში მოთავსების გადაწყვეტილება იმ უბრალო ფაქტს, რომ მისი ოჯახი არ იყო მზად განეხორციელებინა მასზე მზრუნველობა და იგი საჭიროებდა სოციალურ დახმარებას. მათ არ უმსჯელიათ იმაზე, თუ რამდენად შეიძლებოდა საჭირო დახმარების აღმოჩენა ალტერნატიული ღონისძიებებით, რომლებიც პირად თავისუფლებას ნაკლებად ზღუდავდნენ. ამგვარი ღონისძიებების არსებობა სრულიად შესაძლებელი იყო, რადგან ბულგარეთის კანონმდებლობა იძლეოდა სოციალური მომსახურების ფართო არჩევანს, როგორც იყო პიროვნული დახმარება, სოციალური რეაბილიტაციის ცენტრები და სპეციალური შეღავათები და პენსია. შესაბამისად, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ვერ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი მომჩივნის სოციალურ საჭიროებებსა და თავისუფლების უფლებას შორის. თვითნებური იქნებოდა და წინააღმდეგობაში მოვიდოდა მეხუთე მუხლთან, დაკავების მხოლოდ სოციალურ მოსაზრებებზე დაყრდნობა.

135. იმ არგუმენტთან დაკავშირებით, უნდა გაიზიაროს თუ არა სასამართლომ, რომ მომჩივნის მოთავსება ექცეოდა 5 § 1 (ე) მუხლში, რომლის მიხედვითაც სულით ავადმყოფ პირებს შეიძლება აღეკვეთოთ თავისუფლება, მომჩივანმა განაცხადა, რომ ეროვნულმა უწყებებმა ვერ დააკმაყოფილეს ამ დებულების მოთხოვნაც. ახალი ფსიქიატრიული შემოწმების არარსებობის ფარგლებში, ნათელი იყო, რომ მისი მოთავსება სახლში არ ისახავდა მიზნად სამედიცინო მკურნალობის ჩატარებას და ეფუძნებოდა მხოლოდ მისი ქმედუუნაროდ აღიარების პროცედურის კონტექსტში წარმოდგენილ დოკუმენტებს. ისინი გაცემულ იყო დაახლოებით წელიწად ნახევრით ადრე და არ

შეეხებოდა სპეციალურად მის ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა დაწესებულებაში მოთავსებას. საქმეზე *Varbanov v. Bulgaria*-ზე (no. 31365/96, § 47, ECHR 2000-X) დაყრდნობით, მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი მოთავსება მოხდა პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში იმდროისთვის არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმების გარეშე.

(b) მთავრობა

136. მთავრობამ წარადგინა, რომ მომჩივნის მოთავსება მზრუნველობის სახლში შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას, რადგან მეურვემ მოაწერა ხელი შეთანხმებას, რის შედეგადაც მომჩივანი იღებდა მის ინტერესებში არსებულ სოციალურ მომსახურებას. იგი მოქმედებდა მისი უფლებამოსილების ფარგლებში და გადასცა ნაწილობრივ ქმედუნარიანობის მქონე პირის დაცვის ვალდებულება სხვას.

137. იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოთავსების ერთადერთი მიზანი იყო მომჩივნისთვის სოციალური მომსახურების გაწევა “სოციალური მომსახურების შესახებ” კანონის შესაბამისად და არა სავალდებულო სამედიცინო მკურნალობის ადმინისტრირება, მთავრობამ წარადგინა, რომ აღნიშნული ღონისძიება არ წესრიგდებოდა კონვენციის 5 § 1 (ე) მუხლით. ამ მიმართებით, ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო მისი ფინანსური და ოჯახური სიტუაცია, რაც გულისხმობდა რესურსების ნაკლებობას და ახლო ნათესავების არარსებობას, ყოველდღიურ საფუძველზე მის დასახმარებლად.

138. ამავედროულად მთავრობამ მიუთითა, რომ მომჩივანი შეიძლება მიჩნეულიყო “სულთ ავადმყოფად” 5 § 1 (ე) მუხლის შესაბამისად. სამედიცინო შემოწმებამ, რომელიც განხორციელდა 2000 წელს მისი ქმედუნარიად მიჩნევის პროცედურის დროს, აჩვენა, რომ მას აღნიშნებოდა ფსიქიკური აშლილობა და შესაბამისად, ლეგიტიმური იყო ხელისუფლებისთვის, რომ მომხდარიყო მისი მოთავსება იგივენაირი პრობლემების მქონე პირთა დაწესებულებაში. საბოლოოდ, *Alçinçigdañe* -ის გადაწყვეტილებაზე (ზემოხსენებული საქმე, § 44) დაყრდნობით, მთავრობამ წარადგინა, რომ არსებობდა შესაბამისი კავშირი მოთავსების მიზეზებსა, უფრო კონკრეტულად მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობას, და მისი მოთავსების

დაწესებულებას შორის. შესაბამისად, მათ სადავოდ გახადეს, რომ ღონისძიება არ არღვევდა 5 § 1 (ე) მუხლს.

(c) მესამე მხარე

139. 112-114-ე პუნქტებში მითითებული კვლევის საფუძველზე, Interights-მა განაცხადა, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში, სოციალური მზრუნველობის სახლებში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მოთავსება განიხილებოდა სოციალური დახმარების ფარგლებში და წესრიგდებოდა სახელშეკრულებო სამართლით. იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული კანონმდებლობით ამგვარი მოთავსება არ განიხილებოდა თავისუფლების აღკვეთის ფორმად, არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების მიმართ მოქმედი პროცედურული გარანტიები არ მოქმედებდა.

140. Interights-მა წარმოადგინა, რომ ამ სახის სიტუაცია შეესაბამებოდა საქმეში *H.L. v. the United Kingdom* (ზემოხსენებული საქმე) განხილულ საკითხს, სადაც კრიტიკის საგანი იყო გაერთიანებულ სამეფოში 2007 წლამდე მოქმედი სისტემა, როცა საერთო სამართლის აუცილებლობის დოქტრინა იძლეოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შეურაცხად პირთა “არაფორმალური” დაკავების შესაძლებლობას. სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარ პირთა მიღების და დაკავების ფიქსირებული პროცედურული წესების არარსებობა შემაშფოთებელი იყო. ორგანიზაციის მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო კონტრასტი რეგულირების ნაკლებობას და შემაკავებელ ფაქტორთა ფართო ქსელს შორის, რომლებიც მოქმედებდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებისას. ოფიციალური მიღების პროცედურის, მიღების ინიციატორის მითითების, მიზეზების, საფუძვლების არარსებობის და დაკავების ხანგრძლივობაზე და მოპყრობის და მზრუნველობის ბუნებაზე მიუთითებლობა, საავადმყოფოს ჯანმრთელობაზე ზრუნვის თანამშრომლებს აძლევდათ სრულ კონტროლს მოწყვლადი შეურაცხადი პირების თავისუფლებაზე და მკურნალობაზე მათსავე კლინიკური დასკვნების შესაბამისად, რომლებიც შედგენილი იყო შესაბამისი სახით და მაშინ, როცა ისინი მიიჩნევდნენ ამას საჭიროდ. მიუხედავად იმისა, რომ არ ხდებოდა პროფესიული კადრების საქმიანობის კეთილსინდისიერების და

მომჩივნის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების ეჭვქვეშ დაყენება, სასამართლომ მიუთითა, რომ პროცედურული ასპექტების მთავარი დანიშნულება იყო მცდარი შეფასებებისა და პროფესიული გადაცდომებისგან თავდაცვა (*H.L. v. the United Kingdom*, ზემოხსენებული საქმე, §§ 120 121).

141. Interights-მა მოუწოდა სასამართლოს დარჩეს ურყევი ამ მიდგომასთან მიმართებით და დაადგინოს მიღების არაფორმალური ბუნების და სოციალური მზრუნველობის სახლში განგრძობადი დაპატიმრების წინააღმდეგობა მეხუთე მუხლით დადგენილი თვითნებობის აკრძალვის გარანტიებთან. სასამართლოები არ მონაწილეობდნენ სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე და არც სხვა დამოუკიდებელი ორგანო იქნა გამოყოფილი დაწესებულების მონიტორინგის ფუნქციების შესასრულებლად. კანონმდებლობის არარსებობას დამატებული ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მოწყვლადობა, ხელს უწყობდა ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევას, განსაკუთრებულად შემზღუდული მეთვალყურეობის კონტექსტში.

142. მესამე მხარემ დამატებით წარადგინა, რომ ამგვარ საქმეთა უმრავლესობაში, მოთავსება ხორციელდებოდა ავტომატურად და ალტერნატიული სოციალური დახმარების მცირე შესაძლებლობა არსებობდა. მათ მტკიცედ განაცხადეს, რომ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს პრაქტიკული ვალდებულება დაადგინოს შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც იქნებიან პიროვნული თავისუფლების ნაკლებად შემზღუდველები, მაგრამ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სამედიცინო მზრუნველობის და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნის მიმდევარი. აღნიშნული იქნება იმ პრინციპის გამოყენების გამოხატულება, რომ კონვენციით გარანტირებული უფლებები არ უნდა იყოს თეორიული ან ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი.

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

143. სასამართლო იმეორებს, იმისთვის რომ, კონვენციის 5 § 1 მუხლის შესაბამისობა იქნას უზრუნველსაყოფილი პატიმრობა პირველ რიგში უნდა იყოს “კანონიერი”, მათ შორის კანონით

განსაზღვრული პროცედურის დაცვით განხორციელებული; ამ მიმართებით კონვენცია არსებითად უთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე და ადგენს მატერიალური და პროცედურული წესების შესაბამისობის დაცვის ვალდებულებას. მაგრამ დამატებით იგი მოითხოვს, რომ ნებისმიერი დაკავება უნდა შეესაბამებოდეს მეხუთე მუხლის მიზანს, უფრო ზუსტად თვითნებობისგან პირის დაცვას (იხილეთ, *Herczegfalvy v. Austria*, 1992 წლის 24 სექტემბერი, § 63, Series A no. 244). გარდა ამისა, პირის დაპატიმრება ისეთი სერიოზული ღონისძიებაა, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას გამართლებული, როცა სხვა უფრო ნაკლები ღონისძიება იქნა განხილული და დადასტურდა მისი არაეფექტურობა იმ საჯარო მიზნის მისაღწევად, რომელიც მოითხოვს პირის დაპატიმრებას. აღნიშნული გულისხმობს, რომ საკმარისი არ არის თავისუფლების აღკვეთის ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა; იგი ასევე უნდა განხორციელდეს აუცილებელი გარემოებების არსებობისას (იხილეთ *Witold Litwa v. Poland*, no. 26629/95, § 78, ECHR 2000-III).

144. დამატებით, 5 § 1 მუხლის (ა) და (ფ) ქვეპუნქტები შეიცავენ თავისუფლების აღკვეთის დასაშვებ საფუძვლებს; აღნიშნული ღონისძიება არ იქნება კანონიერი სანამ არ მოექცევა რომელიმე საფუძველში (*ibid.*, § 49; კონკრეტულად იხილეთ *Saadi v. the United Kingdom* [GC], no. 13229/03, § 43, 2008 წლის 29 იანვარი, and *Jendrowiak v. Germany*, no. 30060/04, § 31, 2011 წლის 14 აპრილი).

145. რაც შეეხება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა თავისუფლების აღკვეთას, პირს არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება “სულით ავადმყოფობის” გამო, თუ შემდეგი პირობები არ არის დაკმაყოფილებული: პირველ რიგში, დამაჯერებლად უნდა იქნას დადგენილი, რომ იგი სულით ავადმყოფია; მეორე, ფსიქიკური აშლილობა უნდა იყოს იმ სახის ან ხარისხის, რომ მოითხოვდეს სავალდებულო იზოლაციას; მესამე, განგრძობადი იზოლაციის ჭეშმარიტება დამოკიდებულია ამგვარი აშლილობის ქრონიკულობაზე (იხილეთ, *Winterwerp v. the Netherlands*, 1979 წლის 24 ოქტომბერი, § 39, Series A no. 33; *Shtukatur*, ზემოხსენებული საქმე, § 114; და *Varbanov*, ზემოხსენებული საქმე, § 45).

146. ამ პირობათაგან მეორესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის დაკავება შეიძლება არა მხოლოდ მაშინ იქნას სავალდებულო, როცა პირს ჭირდება თერაპია, მედიკამენტოზური მურნალობა ან სხვა სამედიცინო მკურნალობა მისი მდგომარეობის სამკურნალოდ ან შესამსუბუქებლად, არამედ ასევე როცა პირს სჭირდება კონტროლი და მეთვალყურეობა, რათა თავიდან იქნას აცილებული, მაგალითად, ზიანის მიყენება თავის თავისთვის ან სხვა პირისთვის (იხილეთ, *Hutchison Reid v. the United Kingdom*, no. 50272/99, § 52, ECHR 2003-IV).

147. სასამართლო დამატებით იმეორებს, რომ უნდა არსებობდეს რაღაც ურთიერთობა ნებადართულ თავისუფლების აღკვეთის საფუძველსა და დაპატიმრების ადგილსა და პირობებს შორის. პრინციპში, პირის როგორც ფსიქიკური პაციენტის “დაპატიმრება” 5 § 1 (ე) მუხლის შესაბამისად იქნება კანონიერი, თუ ისინი აღსრულდება საავადმყოფოში, კლინიკაში ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში, რომელიც ავტორიზებულია ამ მიზნით (იხილეთ, *Ashingdane*, ზემოხსენებული საქმე, § 44, და *Pankiewicz v. Poland*, no. 34151/04, §§ 42-45, 2008 წლის 12 თებერვალი). მაგრამ, ზემოაღნიშნულის საფუძველზე. 5 § 1 (e) მუხლი არ ეხება შესაბამის მოპყრობას ან პირობებს (იხილეთ, *Ashingdane*, ზემოხსენებული საქმე § 44 და *Hutchison Reid* ზემოხსენებული საქმე § 49).

(b) ზემოაღნიშნული პრინციპების ამ საქმეში გამოყენება

148. იმის შემოწმებისას იყო თუ არა მომჩივნის პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება კანონიერი 5 § 1 მუხლის მიზნებისთვის, სასამართლომ უნდა გაარკვიოს შეესაბამებოდა თუ არა ღონისძიება შიდა სამართალს, ექცეოდა თუ არა 5 § 1 მუხლის (ა)-დან (ფ) ქვეპუნქტამდე პირადი თავისუფლების წესის მიმართ ჩამოთვლილ გამონაკლისებში და საბოლოოდ, იყო თუ არა პატიმრობა აღნიშნული საფუძვლით გამართლებული.

149. შესაბამის ეროვნულ მექანიზმებზე დაყრდნობით (იხილეთ ზემოთ 57-59-ე პუნქტები), სასამართლო უთითებს, რომ ბულგარეთის კანონმდებლობა განიხილავს სოციალური მზრუნველობის დაწესებულებაში მოთავსებას, როგორც დაცვით მექანიზმს კონკრეტული პირის მოთხოვნით და არა იძულებით

ლონისძიებას, რომელიც განსაზღვრულია 5 § 1 მუხლის (ა)-დან (ფ) ქვეპუნქტამდე დადგენილი საფუძვლებით. მაგრამ, ამ საქმის კონკრეტულ გარემოებებში განსახილველი ღონისძიება იწვევდა პიროვნული თავისუფლების საგრძნობ შეზღუდვას, რომელიც მომჩივანს აღუკვეთდა თავისუფლების მისი ნების ან სურვილების საწინააღმდეგოდ (იხილეთ ზემოთ 121-132-ე პუნქტები).

150. იმასან დაკავშირებით იყო თუ არა კანონით განსაზღვრული პროცედურა დაცული, სასამართლო უთითებს პირველ რიგში იმას, რომ ეროვნული სამართლის მიხედვით, ნაწილობრივ ქმედუუნარო პირის მეურვეს არ ჰქონდა სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების უფლება ამ პირის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ იყო ჭეშმარიტი, როცა ხელმოწერილი იყო მეურვის და დროებითი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის მიერ ერთობლივად (იხილეთ ზემოთ 42-ე პუნქტი). შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივნის მეურვე რ.პ.-ს გადაწყვეტილებით, მისი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება, წინასწარი თანხმობის მოპოვების გარეშე, იყო ბათილი ბულგარეთის კანონმდებლობის მიხედვით. აღნიშნული დასკვნა თავისთავად საკმარისია სასამართლოსთვის იმის დასადგენად, რომ მომჩივნის თავისუფლების აღკვეთა ეწინააღმდეგებოდა მეხუთე მუხლს.

151. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო ადგენს, რომ ღონისძიება არ იყო კანონიერი კონვენციის 5 § 1 მუხლის მნიშვნელობით, რადგან იგი არ იყო გამართლებული (ა)-დან (ფ) ქვეპუნქტამდე დადგენილი რომელიმე საფუძვლით.

152. მომჩივანმა აღიარა, რომ ხელისუფლება ძირითადად მოქმედებდა სოციალური დახმარების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე (იხილეთ ზემოთ 134-ე პუნქტი). მაგრამ მან განაცხადა, რომ გამოყენებული ღონისძიებები უთანაბრდებოდნენ თავისუფლების აღკვეთას, რომლებით არ იყო განსაზღვრული 5 § 1 მუხლის (ა)-დან (ფ) ქვეპუნქტამდე პიროვნული თავისუფლების მიმართ დადგენილი გამონალისებით. მთავრობის საწინააღმდეგო არგუმენტაციით, მომჩივანის სახლში მოთავსება მიზნად ისახავდა მხოლოდ მისი ინტერესების დაცვას სოციალური მზრუნველობის უზრუნველსაყოფად (იხილეთ ზემოთ 136-137-ე პუნქტები). მაგრამ მათ განაცხადეს რომ, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ 5 § 1

მუხლი გამოიყენებოდა, კონკრეტული ღონისძიება უნდა მიჩნეულიყო (ე) ქვეპუნქტთან შესაბამისობაში მყოფად, მომჩივნის ფსიქიკური აშლილობის თვალსაზრისით (იხილეთ ზემოთ 138-ე პუნქტი).

153. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი ექვემდებარებოდა სოციალურ დახმარებას, რადგან არ ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი და შრომისუუნარო იყო მისი დაავადების გამო. იგი ირჩევს მიდგომას, რომ გარკვეულ შემთხვევებში პირის დაწესებულებაში მოთავსების აუცილებლობის შეფასებისას ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის კეთილდღეობა შეიძლება იყოს მხედველობაში მისაღები დამატებითი ფაქტორი, სამედიცინო მტკიცებულებებთან ერთად. მაგრამ საცხოვრებლის ობიექტური საჭიროება და სოციალური დახმარება არ უნდა იწვევდეს ავტომატურად თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას. სასამართლო მიიჩნევს, რომ ნებისმიერი დაცვითი ზომა მაქსიმალურად უნდა გამოხატავდეს პირის სურვილებს, რომელსაც ნების გამოვლენის უნარი აქვს. მათი მოსაზრების არ მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლებების დარღვევა და მოწყვლად ჯგუფთა უფლებების განხორციელების ხელშეშლა. შესაბამისად, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც განხორციელებულია დაინტრესებულ პირთა წინასწარი კონსულტაციის გარეშე, საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

154. სასამართლო მზად არის გაიზიაროს, რომ მომჩივნის მოთავსება სახლში იყო მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის, ნაწილობრივი ქმედუუნარობის აღიარების და ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ მოქცევის პირდაპირი შედეგი. მომჩივნის მეურვედ დანიშნვიდან ექვსი დღის შემდეგ, ქ-ნმა რ.პ.-მ, მისი გაცნობის ან შეხვედრის გარეშე საქმეში არსებული მასალების საფუძველზე გადაწყვიტა მიემართა სოციალური სამსახურისთვის და მოეთასებინა იგი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სახლში. თავის მხრივ, სოციალურმა სამსახურმა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიუთითა მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ. სასამართლოსთვის ნათელია, რომ თუ მომჩივანი არ იქნებოდა მიჩნეული ნაწილობრივ ქმედუუნაროდ ფსიქიკური აშლილობის საფუძველით, მას არ აღეკვეთებოდა თავისუფლება. სასამართლოსთვის ნათელია, რომ თუ მომჩივანს არ ჩამოერთმეოდა ქმედუუნარიანობა ფსიქიკური აშლილობის გამო,

მას არ აღეკვეთებოდა თავისუფლება. შესაბამისად, აღნიშნული საქმე უნდა იქნას განხილული 5 § 1 მუხლის (ე) ქვეპუნქტის ქვეშ.

155. უნდა დადგინდეს, შეესაბამებოდა თუ არა მომჩივნის სახლში მოთავსება სასამართლოს პრაქტიკას ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებთან დაკავშირებით (იხილეთ ზემოთ 145-ე პუნქტში ხაზგასმული პრინციპები). ამ მიმართებით, სასამართლო იმეორებს, რომ იმის გადაწყვეტისას უნდა იქნას თუ არა პირი დაკავებული როგორც “სულით ავადმყოფი”, ეროვნულ ხელისუფლებებს აქვთ გარკვეული დისკრეცია, რადგან პირველ რიგში მათ უნდა შეაფასონ მათ წინაშე კონკრეტულ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები; სასამართლოს მოვალეობა არის ამ ხელისუფლებათა გადაწყვეტილებების კონვენციის შესაბამისად შემოწმება (იხილეთ, *Winterwerp*, ზემოხსენებული საქმე, § 40, და *Luberti v. Italy*, 1984 წლის 23 თებერვალი, § 27, , Series A no. 75).

156. მართალია, რომ ამ საქმეში ექსპერტის სამედიცინო დასკვნა, რომელიც წარდგენილი იყო მომჩივნის ქმედუნარიანობის შეზღუდვის სამართალწარმოების ფარგლებში, ეხებოდა მომჩივნის დაავადებებს. მაგრამ შესაბამისი შემოწმება განხორციელდა 2000 წლის ნოემბერში მაშინ, როცა პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება განხორციელდა 2002 წლის 10 დეკემბერს (იხილეთ ზემოთ მე-10 და მე-14 პუნქტები). ორ წელზე მეტი გავიდა ხელისუფლების მიერ გამოყენებულ საექსპერტო ფსიქიატრიულ შეფასებას და მომჩივნის სახლში მოთავსებას შორის, რომელ პერიოდშიც მეურვეს არ შეუწმებია პირობების ცვლილება და არ შეხვედრია მას კონსულტაციის გაწევის მიზნით. მთავრობისგან განსვავებით (იხილეთ ზემოთ 138-ე პუნქტი), სასამართლო მიიჩნევს რომ ეს პერიოდი არის გადაჭარბებული და 2000 წელს გაცემული სამედიცინო დოკუმენტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო განხილული მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის სანდო გამოხატულებად მოთავსების მომენტისთვის. მთავრობამ ამ მიმართებით განაცხადა, რომ გამოსაყენებელი იყო “სოციალური დახმარების შესახებ” კანონის და არა “ჯანმრთელობის შესახებ” კანონის დებულებები (იხილეთ ზემოთ 57-60-ე და 137-ე პუნქტები). მიუხედავად ამისა, სასამართლოს შეხედულებით, ახალი სამედიცინო შემოწმების არარსებობა იქნებოდა საკმარისი საფუძველი იმ დასკვნის

გამოსატანად, რომ მომჩივნის სახლში მოთავსება არ იყო კანონიერი 5 § 1 (ე) მუხლის მიზნებისთვის.

157. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ 5 § 1 (ე) მუხლის სხვა მოთხოვნებიც ასევე არ იქნა დაყმაყოფილებული ამ საქმეში. რაც შეეხება მოთავსების არეულობის სიმკაცრით გამართლებას, უნდა აღინიშნოს რომ 2000 წლის სამედიცინო ექსპერტის მოხსენების მიზანი არ ყოფილა იმის დადგენა, თუ რამდენად მოითხოვდა მომჩივნის ჯანმრთელობა მის ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა სახლში მოთავსებას, არამედ მხოლოდ განსაზღვრავდა მისი სამართლებრივი დაცვის საკითხს. მაშინ როცა 5 § 1 (ე) მუხლი იძლევა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის იზოლაციის შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც, როცა სამედიცინო მკურნალობა არ განიხილება აუცილებლად (იხილეთ *H Hutchison Reid*, ზემოხსენებული საქმე, § 52), აღნიშნული ღონისძიება უნდა იქნას ჯეროვნად გამართლებული პირის მდგომარეობის სერიოზულობით, მისი ან სხვა პირთა ინტერესების უზრუნველყოფად. მაგრამ აღნიშნულ საქმეში, არ იქნა დადგენილი რომ მომჩივანი წარმოადგენდა საფრთხეს მისი თავისთვის ან სხვათათვის, მაგალითად, მისი ფსიქიატრიული მდგომარეობის გამო; კონკრეტულ მოწმეთა უბრალო მითითება, რომ იგი ხდებოდა აგრესიული, როცა იყო მთვრალი (იხილეთ ზემოთ მე-10 პუნქტი), არ არის საკმარისი ამ მიზნით. მთავრობას ასევე არ წარმოუდგენია მომჩივნის რაიმე ძალადობრივი აქტების შესახებ მოხსენება მისი პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში ყოფნის პერიოდში.

158. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ხარვეზები არსებობდა იმის შეფასებისას საჭიროებდა, თუ არა აშლილობის გამო მომჩივნის იზოლაციის აუცილებლობა კვლავ. მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო ფსიქიატრის მეთვალყურეობის ქვეშ (იხილეთ ზემოთ 31-ე პუნქტი), აღნიშნულის მიზანი არ იყო რეგულარულ ინტერვალებში შემოწმების განხორციელება იმის დასადგენად საჭიროებდა თუ არა იგი პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში კვლავ ყოფნას 5 § 1 (ე) მუხლის მიზნებისთვის. მართლაც კანონმდებლობის შესაბამისად, არანაირი ღონისძიება არ იქნა განხორციელებული ამგვარი შეფასებისთვის.

159. ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, სასამართლო ადგენს რომ მომჩივნის სახლში მოთავსება არ იყო “კანონით

განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად” განხორციელებული და აღნიშნული თავისუფლების აღკვეთა არ იყო გამართლებული 5 \$ 1 მუხლის (ე) ქვეპუნქტით. ასევე აღსანიშნავია, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია სხვა რაიმე საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრულია (ა)-დან (ფ) ქვეპუნქტამდე და რომლითაც თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იქნას გამართლებული აღნიშნულ საქმეში.

160. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის 5 \$ 1 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის 5 \$ 4 მუხლის სავარაუდო დარღვევა

161. მომჩივანმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა შეემოწმებინა მისი პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება სასამართლოს მეშვეობით. იგი ეყრდნობოდა კონვენციის 5 \$ 4 მუხლს, რომელიც ადგენს:

“ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღევქვით თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა.”

A. მხარეთა მოსაზრებები

1. მომჩივანი

162. მომჩივანმა მიუთითა, რომ ეროვნული სამართალი მის სიტუაციასთან მიმართებით არ ადგენდა რაინმე კონკრეტულ საშუალებას, როგორც იყო ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სახლებში მოთავსების კანონიერების პერიოდული სასამართლო კონტროლი. იქიდან გამომდინარე, რომ იგი მიიჩნეოდა სამართლებრივი ქმედების განხორციელების უუნაროდ, მან დაამატა რომ ეროვნული სამართალი არ აძლევდა მას შესაძლებლობას მიემართა სასამართლოსთვის პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლის დატოვების ნებართვით. მან ასევე განაცხადა, რომ არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა მისი მოთავსების შესახებ შეთანხმების შეწყვეტა, მის მეურვესთან ინტერესთა კონფლიქტის გამო, რომელიც ამავდროულად იყო სახლის დირექტორი.

163. მომჩივანმა დამატებით აღნიშნა, რომ მას არ შეეძლო სასამართლოსთვის მიმართვა სამართალწარმოების დასაწყებად სსკ-ის 277-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ ზემოთ 51-ე პუნქტი) და უფრო მეტიც, ამგვარი მოქმედება არ გამოიწვევდა მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერების შემოწმებას და მხოლოდ ნაწილობრივი მეურვეობის გამამართლებელი პირობების შემოწმებას შეეხებოდა.

164. მან ასევე წარადგინა, რომ სკ-ის 113-ე და 115-ე მუხლებით დადგენილი პროცედურა (იხილეთ 49-50-ე პუნქტები) თეორიულად აძლევდნენ მის ახლო ნათესავებს უფლებას მიემართათ თხოვნით მერისთვის, რათა შეცვლილიყო მისი მეურვე ან მერის დავალდებულებით განხორციელებულიყო მოთავსების შესახებ შეთანხმების შეწყვეტა. მაგრამ აღნიშნული იყო მისთვის ხელმიუწვდომელი არაპირდაპირი საშუალება, რადგან მის ნახევარ დას და მამამისის მეორე ცოლს არ სურდათ ამგვარი პროცედურის ინიცირება.

2. მთავრობა

165. მთავრობამ წარადგინა, რომ რადგანაც მომჩივნის სახლში მოთავსების მიზანი იყო სოციალური მომსახურების გაწევა, მას შეეძლო ნებისმიერ დროს დაეყენებინა მოთავსების შესახებ შეთანხმების გაუქმების მოთხოვნა ყოველგვარი სასამართლოების მონაწილეობის გარეშე. მათ მოსაზრებაში მიუთითეს მომჩივნის იმ არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მას ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი მეურვესთან და განაცხადეს, რომ მას შეეძლო გამოეყენებინა სკ-ის 123-ე მუხლის პირველი პუნქტი (იხილეთ ზემოთ 50-ე პუნქტი) და მოეთხოვა სამეურვეო უწყებისთვის ad hoc წარმომადგენლის დანიშვნა, რომელსაც ექნებოდა შესაძლებლობა მუდმივი საცხოვრებლის შეცვლაზე თანხმობა გამოეხატა.

166. მთავრობამ დამატებით სადავო გახადა ის ფაქტი, რომ სკ-ის 113-ე და 115-ე მუხლის შესაბამისად მომჩივნის ახლო ნათესავებს არ უთქვამთ უარი, მოეთხოვათ სამეურვეო უწყებისგან მისი მეურვის გამოცვლა ან მის მოქმედებათა გასაჩივრება. მათ დაამატეს, რომ უარის შემთხვევაში, მის ახლო ნათესავებს შეეძლოთ ამის სასამართლოში გასაჩივრება, რომელიც განიხილავდა საქმის არსებით მხარეს და გონივრულობის

შემთხვევაში დანიშნავდა ახალ მეურვეს, რომელსაც შემდგომ შეეძლო მოთავსების შესახებ შეთანხმების შეწყვეტა. მთავრობის მოსაზრებით, აღნიშნული მათ მისცემდა უფლებას გადაესინჯათ სრულად ქ-ნ რ.პ.-ს და პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლს შორის დადებული შეთანხმება.

167. საბოლოოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ ქმედუნარიანობის აღდგენის სარჩელი (სსკ-ის 227-ე მუხლის საფუძველზე – იხილეთ ზემოთ 51-ე პუნქტი) წარმოადგენდა სამართლებრივ საშუალებას 5 § 4 მუხლის მიზნებისთვის, რადგანაც მომჩივნის ჯანმრთელობის საკმარისად გაუმჯობესების დადასტურების და მეურვეობისგან გათავისუფლების შემთხვევაში, იგი იქნებოდა უფლებამოსილი დაეტოვებინა სახლი.

B. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

168. სასამართლო იმეორებს, რომ 5 § 4 მუხლი ადგენს დაკავებულ პირთა უფლებას მოახდინონ სამართალწარმოების აღძვრა დაკავების პროცედურულ და მატერიალურ პირობათა შესრულების შესამოწმებლად, რომლებიც, კონვენციის სიტყვებით, მნიშვნელოვანია თავისუფლების აღკვეთის “კანონიერებისთვის”. მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის მიზნებისთვის “კანონიერების” მნიშვნელობა იგივეა რაც პირველ პუნქტში, შესაბამისად დაპატიმრებულ პირს აქვს მისი პატიმრობის “კანონიერების” შემოწმების უფლება არამხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა თვალსაზრისით, არამედ ასევე კონვენციის, მასში განსაზღვრული ზოგადი პრინციპების და 5 § 1 მუხლით ნებადართულ შეზღუდვათა მიზნების კრილში. 5 § 4 მუხლი არ ადგენს იმ შინაარსის სასამართლო შემოწმების უფლების გარანტიას, რომელიც სასამართლოს მისცემდა უფლებას შეეცვალა გადაწყვეტილების მიმღებ უწყებათა დისკრეცია თავისი ინიციატივით, აღნიშნული ვრცელდება საქმის ყველა ასპექტზე, მათ შორის წმინდა მიზანშეწონილობის შემთხვევებზე. შემოწმება უნდა იყოს ფართო იმ გაგებით, რომ მოიცვას 5 § 1 მუხლით განსაზღვრული “კანონიერი” დაპატიმრების აუცილებელი პირობები (იხილეთ *E. v. Norway*, 1990 წლის 29 აგვისტო, § 50, Series A no. 181-A). ზედამხედველ “სასამართლოს” არ უნდა ჰქონდეს

უბრალო საკონსულტაციო ფუნქცია, არამედ, უნდა გააჩნდეს დაპატიმრების “კანონიერების” “გადაწყვეტის” კომპეტენცია და დაპატიმრებული პირის განთავისუფლების უფლება ღონისძიების “უკანონობის” შემთხვევაში (იხილეთ *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვარი, § 200, Series A no. 25; *Weeks v. the United Kingdom*, 1987 წლის 2 მარტი, § 61, Series A no. 114; *Chahal v. the United Kingdom*, 1996 წლის 15 ნოემბერი, § 130, *Reports of Judgments and Decisions* 1996-V; და *A. and Others v. the United Kingdom* [GC], no. 3455/05, § 202, 2009 წლის 19 თებერვალი).

169. სასამართლო კონტროლის ფორმები, რომლებიც აკმაყოფილებენ 5 § 4 მუხლის მოთხოვნებს შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთი სფეროდან მეორემდე და დამოკიდებული იქნებიან განსახილველი თავისუფლების აღკვეთის ტიპზე. სასამართლოს მოვალეობა არ არის მოიძიოს განსახილველ სფეროსთან დაკავშირებით ყველაზე უფრო შესაბამისი სისტემა (იხილეთ, *Shtukatur*, ზემოხსენებული საქმე, § 123).

170. 170. მიუხედავად ამისა, 5 § 4 მუხლი ადგენს საშუალებას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს კონკრეტული პირისთვის და მას უნდა შეეძლოს იმ პირობათა თავსებადობის შემოწმება, რომლებიც აუცილებელია სულით ავადმყოფთა დაპატიმრების “კანონიერებისათვის” 5 § 1 (ე) მუხლის შესაბამისად (იხილეთ, *Ashingdane*, ზემოხსენებული საქმე, § 52). კონვენციის მოთხოვნა, რომელიც შეეხება თავისუფლების აღკვეთის დამოუკიდებელ სასამართლო შემოწმების დაქვემდებარებას, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კონვენციის მეხუთე მუხლის ძირითადი მიზნის – თვითნებობისგან დაცვის საშუალების – კონტექსტში. ამ დროს დაცვის საგანია პირთა ფიზიკური თავისუფლება და მათი უსაფრთხოება (იხილეთ *Varbanov*, ზემოხსენებული საქმე, § 58). ფსიქიკური დაავადების საფუძლით პირის დაპატიმრების შემთხვევაში, სპეციალური პროცედურული ზომები უნდა იქნას გამოყენებული, რათა დაცულ იქნას იმ პირთა ინტერესები, რომელთაც ფსიქიკური უუნარობის გამო სრულად არ ძალუძთ თავიანთი ინტერესებისთვის მოქმედება (სხვადასხვა წყაროებს შორის იხილეთ, *Winterwerp*, ზემოხსენებული საქმე, § 60).

171. 5 § 4 მუხლში განსაზღვრულ “სულით ავადმყოფ პირებთან” დაკავშირებით სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკიდან მომდინარე პრინციპები შემდეგია:

(a) პირს, რომელიც დაპატიმრებულია განუსაზღვრელი ან ხანგრძლივი პერიოდით და არ არსებობს ავტომატური პერიოდული სასამართლო კონტროლი, აქვს უფლება განახორციელოს სასამართლოს წინაშე სამართალწარმოება “გონივრულ ინტერვალებში” მისი კონვენციის შესაბამისი პატიმრობის კანონიერების შესამოწმებლად.

(b) 5 § 4 მუხლი მოითხოვს, რომ სამართალწარმოებას ჰქონდეს სასამართლო ხასიათი და კონკრეტულ მომჩივანს უნდა ექნას უზრუნველყოფილი შესაფერისი გარანტიები, რომლებიც ამგვარი თავისუფლების აღკვეთისთვისაა მნიშვნელოვანი; იმისთვის, რომ დადგნიდეს სამართალწარმოება განსაზღვრავს თუ არა საკმარის გარანტიებს, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებათა კონკრეტულ ბუნებას, რომელშიც იგი ხორციელდება.

(c) არ არის აუცილებელი, რომ 5 § 4 მუხლში მოხსენიებული სასამართლო სამართალწარმოება უზრუნველყოფდეს გარანტიათა იგივე ოდენობას, რაც განსაზღვრულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალწარმოების მიზნებისთვის 6 § 1 მუხლის შესაბამისად. მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ პირს ჰქონდეს ხელმისაწვდომობა სასამართლოზე და პიროვნულ მოსმენაზე ან სადაც საჭიროა, წარმომადგენლობის რაიმე ფორმის მეშვეობით აღნიშნულის განხორციელებაზე (იხილეთ *Megyeri v. Germany*, 1992 wlis 12 maisi, § 22, Series A no. 237-A).

2. ზემოხსენებული პრინციპების ამ საქმეში გამოყენება.

172. სასამართლო უთითებს, რომ მთავრობას არ აღუნიშნავს რაიმე შიდასამართლებრივი საშუალების შესახებ, რომელიც მისცემდა მომჩივანს პირდაპირ შესაძლებლობას გაესაჩივრებინა პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება და ღონისძიების განგრძობადი აღსრულება. იგი ასევე უთითებს, რომ ბულგარეთის სასამართლოები არ იყვნენ ჩართულნი არცერთხელ ან რაიმე გზით მოთავსებაში და რომ ეროვნული კანონმდებლობა არ იძლეოდა ავტომატური და პერიოდული სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას იმ პირთათვის, რომლებიც

მოთავსებულნი არიან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სახლებში. უფრო მეტიც, რადგანაც მომჩივნის სახლში მოთავსება არ მიიჩნეოდა თავისუფლების აღკვეთად ბულგარეთის კანონმდებლობაში (იხილეთ ზემოთ 58-ე პუნქტი), არ არსებობდა არანაირი დებულება ეროვნული სამართლებრივი საშუალებებისთვის, რომლითაც შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის კანონიერების გასაჩივრება. დამატებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოების სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, მოთავსების შეთანხმების ნამდვილობა შეიძლება გასაჩივრებულყო მხოლოდ თანხმობის არარსებობის საფუძველით და მეურვის ინიციატივით (იხილეთ ზემოთ, 54-ე პუნქტი).

173. რამდენადაც მთავრობამ მიუთითა ქმედუნარიანობის აღდგენის პროცედურაზე სსკ-ის 277-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ 167-ე პუნქტი ზემოთ), სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულის მიზანი არ იყო მომჩივნის მოთავსების კანონიერების შემოწმება *Per se*, არამედ ეხებოდა სამართლებრივი სტატუსის შემოწმებას (იხილეთ 233-246-ე პუნქტები). მთავრობამ ასევე მიუთითა მეურვის მიერ მიღებული ღონისძიებების შემოწმების პროცედურაზე (იხილეთ ზემო 165-166-ე პუნქტები). სასამართლო მიიჩნევს აუცილებელად დაადგინოს, თუ რამდენად იწვევდა აღნიშნული მოთავსების კანონიერების შემოწმებას, როგორც ეს განსაზღვრულია 5 § 4 მუხლით.

174. მიმართებით, იგი უთითებს რომ 1985 წლის სკ აძლევს უფლებას დროებითი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების ახლო ნათესავებს გაასაჩივრონ სამეურვეო უწყების გადაწყვეტილებები, რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებულნი იყვნენ შეემოწმებინათ მეურვის მიერ განხორციელებული ქმედებები – მათ შორის მოთავსების შესახებ შეთანხმება – და გამოეცვალათ იგი მისი მოვალეობების განუხორციელებლობის შემთხვევაში (იხილეთ ზემოთ 48-50-ე პუნქტები). მაგრამ სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიებები არ იყო ხელმისაწვდომი პირდაპირ მომჩივნისთვის. უფრო მეტიც, არცერთი პირი, რომელსაც თეორიული შესაძლებლობა ჰქონდა აღნიშნულის გამოყენების, არ ამჟღავნებდა ბ-ნი სტანევის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების განზრახვას და მასაც არ შეეძლო მისი ინიციატივით მიმართვა მათი თანხმობის გარეშე.

175. გაურკვეველია თუ რამდენად ჰქონდა მომჩივანს მერისთვის თხოვნით მიმართვის შესაძლებლობა, რათა მოეთხოვათ ახსნა-განმარტებები მეურვისგან ან მოთავსების შეთანხმების აღსრულების შეჩერება მომხდარიყო იმ საფუძველით, რომ იგი იყო უკანონო. ნებისმიერ შემთხვევაში, ნათელია, რომ რადგანაც იგი იყო ნაწილობრივ ქმედუუნარო, კანონი არ აძლევდა მას უფლებას მიემართა მისი ინიციატივით სასამართლოებისთვის, რათა გაესაჩივრებინა მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (იხილეთ ზემოთ 49-ე პუნქტი); აღნიშნული არ იყო სადავოდ გამხდარი მთავრობის მიერ.

176. იგივე დასკვნა ვრცელდება მომჩივნის შესაძლებლობაზე მიემართა მერისთვის, რათა სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის გამო შეცვლილიყო მისი მეურვე დროებითი ad hoc წარმომადგენლით და შემდგომ მოთავსების შეთანხმება შეწყვეტილიყო. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ მიმართებით მერს ჰქონდა დისკრეცია დაედგინა ჰქონდა თუ არა ადგილი ინტერესთა კონფლიქტს (იხილეთ ზემოთ 50-ე პუნქტი). საბოლოოდ, არ ჩანს, რომ მომჩივანს შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის საკუთარი შუამდგომლობით, რათა არსებითად შემოწმებულიყო მერის უარი ამგვარი მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის გამო.

177. შესაბამისად სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობის მიერ მითითებული საშუალებები ან არ იყო ხელმისაწვდომი მომჩივნისთვის ან მათ არ გააჩნდათ სასამართლო ხასიათი. უფრო მეტიც, არცერთი მათგანი არ იძლეოდა მომჩივნის პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობას ეროვნული კანონმდებლობის და კონვენციის ფარგლებში.

178. აღნიშნული მოსაზრებების მხედველობაში მიღებით, სასამართლო უარყოფს მთავრობის პრეტენზიას ეროვნული შიდა საშუალებების არ ამოწურვასთან დაკავშირებით (იხილეთ ზემოთ 97-99-ე პუნქტები) და ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 5 § 4 მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის 5 § 5 მუხლის სავარაუდო დარღვევა

179. მომჩივანმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება კონვენციის 5 § 1 და § 4 მუხლების სავარაუდო დარღვევათა გამო. *igi eyrdnobia 5 § 5 muxls, romelic adgens:*

“ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.”

A. მხარეთა არგუმენტები

179. მომჩივანმა განაცხადა, რომ უკანონო პატიმრობის გამო კომპენსაციის შეფარდების გარემოებები ამომწურავად იყო ჩამოთვლილი “ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ” 1988 წლის კანონში (იხილეთ ზემოთ 62-67-ე პუნქტები) და მისი შემთხვევა არ ვრცელდებოდა არცერთ მათგანზე. მან დამატებით აღნიშნა საჩივარში, რომ არ არსებობდა სამართლებრივი საშუალებები, რომელთა მიხედვითაც 5 § 4 მუხლის დარღვევისთვის კომპენსაცია შეიძლება მოთხოვნილიყო.

180. მთავრობამ აღნიშნა, რომ კომპენსაციის ანაზღაურების პროცედურა შეიძლებოდა აღმრულიყო 1988 წლის კანონის შესაბამისად მომჩივნის მიერ, თუ დადგინდებოდა, რომ მის მოთავსებას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი. იქიდან გამომდინარე, რომ დადგენილ იქნა, რომ მისი მოთავსება შეესაბამებოდა ეროვნულ სამართალს და მის ინტერესებს, მას არ მიეცა შესაძლებლობა აღედგინა აღნიშნული სამართალწარმოება.

B. სასამართლოს შეფასება

181. სასამართლო იმეორებს, რომ 5 § 5 მუხლის მოთხოვნა დაცულია, როცა შესაძლებელია კომპენსაციის მოთხოვნა 1-ელ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტთა საწინააღმდეგო პირობებში თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას (იხილეთ *Wassink v. the Netherlands*, 1990 წლის 27 სექტემბერი, § 38, Series A no. 185-A, და *Houtman and Meeus v. Belgium*, no. 22945/07, § 43, 2009 წლის 17 მარტი). შესაბამისად კომპენსაციის უფლება, რომელიც განსაზღვრულია მეხუთე პუნქტში, თავის თავში მოიაზრებს, რომ რომელიმე სხვა პუნქტის დარღვევა იქნა დადგენილი ან ეროვნული ხელისუფლების ან კონვენციის ინსტიტუციების მიერ. ამ მიმართებით, 5 § 5 მუხლით დადგენილი კომპენსაციის მიღების

ეფექტური ღონისძიება უნდა იქნას უზრუნველყოფილი საკმარისი ხარისხის სიცხადით (იხილეთ *Ciulla v. Italy*, 1989 წლის 22 თებერვალი, § 44, Series A no. 148; *Sakık and Others v. Turkey*, 1997 წლის 26 ნოემბერი, § 60, *Reports* 1997-VII; და *N.C. v. Italy* [GC], no. 24952/94, § 49, ECHR 2002-X).

182. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მეხუთე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტების დარღვევის დადგენის გამო, მეხუთე მუხლი გამოიყენება. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, ამ განჩინების გამოტანამდე, რამდენად ჰქონდა მომჩივანს ზიანის გამო კომპენსაციის მიღების აღსრულებადი უფლება ეროვნულ დონეზე ან რამდენად ექნებოდა აღნიშნული განჩინების შედგენის შემდეგ.

183. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მეხუთე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტების დარღვევის დადგენის გამო, მეხუთე მუხლი გამოიყენება. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, ამ განჩინების გამოტანამდე, რამდენად ჰქონდა მომჩივანს ზიანის გამო კომპენსაციის მიღების აღსრულებადი უფლება ეროვნულ დონეზე ან რამდენად ექნებოდა აღნიშნული განჩინების შედგენის შემდეგ.

184. ხსენებულთან მიმართებაში სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 5 § 5 მუხლის დარღვევის დასადგენად, უნდა დამტკიცდეს მეხუთე მუხლის რომელიმე სხვა პუნქტის დარღვევა, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ან მის შემდეგ და აღნიშნული არ უნდა იძლეოდეს ეროვნული სასამართლოების წინაშე კომპენსაციის მიღების აღსრულებადი უფლებას (იხილეთ *Brogan and Others v. the United Kingdom*, 1988 წლის 29 ნოემბერი, §§ 66-67, Series A no. 145-B).

185. ზემოხსენებული სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, სასამართლო პირველ რიგში განსაზღვრავს მოჰყვებოდა თუ არა წინარე განჩინების გამოტანამდე ამ საქმეში 5 §§ 1 და 4 მუხლების დარღვევის დადგენას კომპენსაციის აღსრულებადი უფლების არსებობა ეროვნულ სასამართლოთა წინაშე

186. რაც შეეხება 5 § 1 მუხლის დარღვევას, სასამართლო ადგენს რომ “ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ” 1988 წლის კანონის 2(1) მუხლი ადგენს კომპენსაციას პატიმრობის

დამდგენი სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანისთვის, რომელიც შემდგომ გაუქმდა როგორც სამართლებრივი საფუძვლის არმქონე (იხილეთ ზემოთ 62-ე პუნქტი). მაგრამ, ამ შემთხვევაში აღნიშნულს არ ჰქონია ადგილი. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ბულგარეთის სასამართლო ხელისუფლებას სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ უცვნიდა ღონისძიება უკანონოდ ან სხვაგვარად არ დაუდგენია მეხუთე მუხლის დარღვევა. უფრო მეტიც, მთავრობის არგუმენტაცია ემყარებოდა იმ არგუმენტს, რომ მომჩივნის სახლში მოთავსება განხორციელდა ეროვნული სამართლის შესაბამისად. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანს არ შეეძლო კომპენსაციის მოთხოვნა ზემოაღნიშნული დებულებით, ეროვნული ხელისუფლების მიერ მოთავსების უკანონოდ მიჩნევის გარეშე.

187. რაც შეეხება, კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ზიანის გამო კომპენსაციას, რომელიც გამოწვეული იყო ხელისუფლების უკანონო ქმედებით (იხილეთ ზემოთ 63-ე პუნქტი), სასამართლო უთითებს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე შიდასამართლებრივი გადაწყვეტილება, რომელიც მიუთითებდა, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სოციალური მზრუნველობის სახლებში სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე მოთავსების შემთხვევაზე ვრცელდებოდა აღნიშნული დებულება.

188. დამატებით, რადგანაც ბულგარეთის კანონმდებლობით არ არსებობს სამართლებრივი საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოთავსების კანონიერების შემოწმება, მომჩივანს არ შეეძლო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამოყენება, როგორც 5 § 4 მუხლის დარღვევის შედეგად კომპენსაციის მიღების საფუძველი.

189. შემდგომ შეკითხვა ჩნდება, წარმოიშობა თუ არა ბულგარეთის კანონმდებლობაში მომჩივნისთვის კომპენსაციის მიღების უფლება ამ საქმეში განჩინების მიღებით, რომელშიც მეხუთე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტების დარღვევა იქნა დადგენილი. სასამართლო ადგენს, რომ შესაბამისი კანონმდებლობით არ ჩანს, რომ რაიმე ამგვარი საშუალება არსებობს; მართლაც, არც მთავრობას წარუდგენია რაიმე არგუმენტი, რომელიც საწინააღმდეგოს დაამტკიცებდა.

190. შესაბამისად არ იქნა წარმოჩენილი, რომ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა ამ საქმეში სასამართლოს განჩინების გამოტანამდე ან რომ შეძლებს მას შემდეგ 5 \$ 1 და 4 მუხლების დარღვევა იქნება დადგენილი, კომპენსაციის მიღების უფლებით სარგებლობას.

191. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა 5 \$ 5 მუხლის დარღვევას.

IV. კონვენციის მესამე მუხლის სავარაუდო დარღვევა ცალკე და მე-13 მუხლთან ერთობლიობაში

192. 192. მომჩივანი ჩიოდა, რომ პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლის საცხოვრებელი პირობები იყო ცუდი და რომ ბულგარეთის კანონმდებლობის მიხედვით ეფექტური დაცვის მექანიზმი არ არსებობდა ამ საჩივართან მიმართებით. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მესამე მუხლს ცალკე აღებულს და მეცამეტე მუხლთან ერთობლიობაში. აღნიშნული დებულებები შემდეგი შინაარსისაა:

„მე-3 მუხლი

“ არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.”

მე-13 მუხლი

“ ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა”

A. პირველადი პრეტენზია შიდა სამართლებრივი ღონისძიებების არ ამოწურვასთან დაკავშირებით

193. დიდი პალატის წინაშე წარდგენილი წერილობით მოსაზრებაში მთავრობამ პირველად დააყენა შიდა სამართლებრივი ღონისძიებების არ ამოწურვის პრეტენზია კონვენციის მესამე მუხლის საჩივართან დაკავშირებით. მთავრობამ განაცხადა, რომ საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით მომჩივანს შეეძლო მიეღო კომპენსაცია სარჩელის აღძვრით “ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ” 1988 წლის კანონის შესაბამისად.

194. სასამართლო იმეორებს, რომ სასამართლოს რეგლამენტის 55-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რამდენადაც მისი ხასიათი და გარემოებები იძლევიან ამის შესაძლებლობას, უნდა იქნას დაყენებული მოპასუხე სახელმწიფოს მიერ საჩივარის დასაშვებობასთან დაკავშირებით წერილობითი ან ზეპირი მოსაზრებების წარდგენისას (იხილეთ *N.C. v. Italy*, ზემოხსენებული საქმე, § 44). როცა შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის პრეტენზია დაყენებულია შესაბამისი დროის გასლის შემდეგ, 55-ე მუხლის მიზნებისთვის, პროცედურული დაბრკოლება წარმოიშობა და პრეტენზია შესაბამისად უნდა იქნას უარყოფილი (იხილეთ *Velikova v. Bulgaria*, no. 41488/98, § 57, ECHR 2000-VI, და *Tanrıbilir v. Turkey*, no. 21422/93, § 59, 2000 წლის 16 ნოემბერი).

195. აღნიშნულ საქმეში, მთავრობას არ მიუთითებია რაიმე გარემოებაზე, რომელიც გაამართლებდა პალატის მიერ დასაშვებობის განხილვის ეტაპზე შესაბამისი პრეტენზიის წარუდგენლობას.

196. აღნიშნულის გამო, სასამართლო უთითებს, რომ მთავრობას არ შეუძლია ამ პრეტენზიის დაყენება, რის გამოც იგი უნდა იქნას უარყოფილი.

B. კონვენციის მესამე მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის არსებითი მხარე

1. მხარეთა მოსაზრებები

197. მომჩივანმა განაცხადა, რომ არასათანადო მოთავსების პირობები პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში, უფრო კონკრეტულად არასაკმარისი საკვები, სავალალო სანიტარული პირობები, გათბობის არარსებობა, სავალდებულო სამედიცინო მკურნალობა, გადატვირთული საძინებლები და თერაპიული და კულტურული აქტივობების არარსებობა, წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას.

198. მან განაცხადა, რომ მთავრობამ 2004 წელს უკვე იცოდა ამგვარი საცხოვრებელი პირობების შესაბამის ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობის შესახებ და აიღო აღნიშნულის

გამოსწორების ვალდებულება (იხილეთ ზემოთ 82-ე პუნქტი). თუმცა, პირობები დარჩა უცვლელი, მინიმუმ 2009 წლამდე.

199. პალატის წინაშე წარდგენილ მოსაზრებაში მთავრობამ დაადასტურა სახლის საცხოვრებელი პირობების ხარვეზები. მთავრობის განმარტებით ამგვარ დაწესებულებათათვის გამოყოფილი ფინანსური ხარჯების არაადეკვატურობა წარმოადგენდა მთავარ წინაღობას მინიმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ სოციალური დახმარების სააგენტოს ინსპექციის შემდეგ, მთავრობამ მტკიცედ გადაწყვიტა პასტრას სოციალური დახმარების სახლის დახურვა და მიიღო მის მაცხოვრებელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები. მთავრობის მოსაზრებით, რადგან საცხოვრებელი პირობები იგივე იყო სახლის ყველა მაცხოვრებლისთვის და არ არსებობდა მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელების განზრახვა, მომჩივანი არ ექვემდებარებოდა დამამცირებელ მოპყრობას.

200. დიდი პალატის წინაშე მთავრობამ განაცხადა, რომ სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 2009 წლის მიწურულს სახლის იმ ნაწილში, სადაც მომჩივანი ცხოვრობდა (იხილეთ ზემოთ 24-ე პუნქტი).

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

201. მე-3 მუხლი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. იგი აბსოლუტურად კრძალავს წამებას ან არადმიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას, მიუხედავად გარემოებებისა და დაზარალებულის საქციელისა (სხვადასხვა წყაროებს შორის იხილეთ *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, § 90, ECHR 2000-XI, და *Poltoratskiy v. Ukraine*, no. 38812/97, § 130, ECHR 2003-V).

202. იმისათვის, რათა ქმედება მოხვდეს მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ამ მინიმუმის შეფასება არის ფარდობითია და დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე,

როგორცაა მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი აღსრულების ხერისხი და მეთოდი, ხანგრძლივობა, ფიზიკურ და ფსიქიკურ ეფექტები და ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხილეთ *Kudła*, ზემოხსენებული საქმე, § 91, და *Poltoratskiy* ზემოხსენებული საქმე, § 131).

203. სასამართლოს მიერ მოპყრობა “არასათანადოდ” იქნა მიჩნეული, რადგანაც, *inter alia*, იგი იყო წინასწარ განსაზღვრული, გამოიყენებოდა და გრძელდებოდა საათების განმავლობაში და იწვევდა ან რეალურ ფიზიკურ დაზიანებას ან ინტენსიურ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას (იხილეთ *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 120, ECHR 2000-IV). მოპყრობა მიჩნეულ იქნა “დამამცირებლად”, როცა იგი იყო ისეთი, რომ გამოიწვია მსხვერპლში შიშის, ტანჯვის და დამცირების გრძნობები, რასაც შეეძლო მათი დამცირება და შეურაცხყოფა და სავარაუდოდ მათი ფიზიკური ან მორალური წინააღმდეგობის დაკნინება ან მათი სურვილის ან სინდისის საწინააღმდეგო მოქმედების განხორციელება (იხილეთ *Jalloh v. Germany* [GC], no. 54810/00, § 68, ECHR 2006-IX). ხსენებულთან მიმართებაში, ის საკითხი მოპყრობა მიზნად ისახავდა თუ არა მსხვერპლის დამცირებას ან შეურაცხყოფას, წარმოადგენს ერთ-ერთი მხედველობაში მისაღებ ფაქტორს, მაგრამ ამგვარი მიზნის არარსებობა სავალდებულოდ არ გულისხმობს იმ დასკვნას, რომ მე-3 მუხლი არ იქნა დარღვეული (იხილეთ *Jalloh v. Germany* [GC], no. 54810/00, § 68, ECHR 2006-IX). ხსენებულთან მიმართებაში, ის საკითხი მოპყრობა მიზნად ისახავდა თუ არა მსხვერპლის დამცირებას ან შეურაცხყოფას, წარმოადგენს ერთ-ერთი მხედველობაში მისაღებ ფაქტორს, მაგრამ ამგვარი მიზნის არარსებობა სავალდებულოდ არ გულისხმობს იმ დასკვნას, რომ მე-3 მუხლი არ იქნა დარღვეული (იხილეთ *Peers v. Greece*, no. 28524/95, §§ 67, 68 და 74, ECHR 2001-III, და *Kalashnikov v. Russia*, no. 47095/99, § 95, ECHR 2002-VI).

204. ნებისმიერ შემთხვევაში ტანჯვა და დამცირება უნდა გასცდეს კონკრეტული კანონიერი მოპყრობის ან დასჯის ელემენტის გარდაუვალ ზღვარს. პირის თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებები ხშირად შეიცავენ ამგვარ ელემენტს. მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლების აღკვეთა თავისთავად წარმოშობს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში შეფასებად დამოუკიდებელ საკითხს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ ამ

მუხლის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს პირის დაპატიმრება იმ პირობებში, რომელიც შეესაბამება ადამიანის ღირსებას, რომ ღონისძიების აღსრულების ხასიათმა და მეთოდმა არ გამოიწვიოს მასში ტანჯვა ან განსაცდელი იმ ოდენობით, რაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატურად, მათ შორის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით (იხილე *Kudla*, ზემოხსენებული საქმე, §§ 92-94).

205. როცა ხდება თავისუფლების აღკვეთის პირობების შეფასება კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს ღონისძიების კუმულაციურ ეფექტს და ხანგრძლივობას (იხილეთ *Kalashnikov*, ზემოხსენებული საქმე, §§ 95 და 102; *Kehayov v. Bulgaria*, no. 41035/98, § 64, 2005 წლის 18 იანვარი; და *Iovchev v. Bulgaria*, no. 41211/98, § 127, 2006 წლის 2 თებერვალი). ხსენებულთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მატერიალურ ფაქტორთაგან დამოუკიდებლად, არის პატიმრობის რეჟიმი. იმის შეფასებისას შემზღუდავი ღონისძიება წარმოადგენს თუ არა მესამე მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას კონკრეტულ საქმეში, ყურადღება უნდა მიექცეს პირობებს, რეჟიმის სიმკაცრეს, დასახულ მიზანს და კონკრეტულ პირზე მის ეფექტს (იხილეთ *Kehayov*, ზემოხსენებული საქმე, § 65).

(ბ) ზემოაღნიშნული პრინციპების ამ საქმეში გამოყენება

206. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება – სიტუაცია, რომელზეც ეროვნული ხელისუფლება იყო პასუხისმგებელი – წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას კონვენციის მე-5 მუხლის მნიშვნელობით (იხილეთ 132-ე პუნქტი ზემოთ). შესაბამისად მესამე მუხლი ვრცელდება მომჩივნის შემთხვევაზე, რადგანაც იგი კრძალავს ყველას არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ვინც იმყოფება სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მესამე მუხლში არასათანადო მოპყრობის აკრძალვა ვრცელდება თანასწორად თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ფორმაზე და უფრო კონკრეტულად არ აქვს

მნიშვნელობა ღონისძიების მიზანს; არაარსებითია ღონისძიება წარმოადგენს სისხლის სამართლის სამართალწარმოების კონტექსტში შეფარდებულ პატიმრობას, თუ დაწესებულებაში მოთავსებას, რომლის მიზანიც კონკრეტული პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვაა.

207. დასაწყისისთვის სასამართლო უთითებს, რომ მთავრობის მიხედვით, ის კორპუსი, რომელშიც მომჩივანი იმყოფებოდა, გარემონტდა 2009 წლის მიწურულს, რის შედეგადაც მომჩივნის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა (იხილეთ ზემოთ მე-200 პუნქტი); მომჩივანს აღნიშნული სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის საჩივრის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული 2002-დან 2009 წლამდე პერიოდი. მთავრობამ არ უარყო, რომ ამ დროის განმავლობაში მომჩივნის საცხოვრებელი პირობები შეესაბამებოდა მის აღწერილობას და ასევე აღიარა, რომ ეკონომიკურ მიზეზთა გამო არსებობდა გარკვეული ხარვეზები ამ კუთხით (იხილეთ ზემოთ 198-199-ე პუნქტები).

208. სასამართლო აღნიშნავს, იმის მიუხედავად რომ მომჩივანი იყოფდა 16 კვადრატული მეტრის ზომის ოთახს სხვა 4 მოსახლესთან ერთად, მას ჰქონდა საკმარისი გადაადგილების თავისუფლება როგორც სახლის შიგნით, ისე მის გარეთ, ეს ფაქტი ამცირებს შემჭიდროებული საძინებელი ტერიტორიის უარყოფით მხარეებს (იხილეთ *Valašinas v. Lithuania*, no. 44558/98, § 103, ECHR 2001-VIII).

209. მაგრამ, მომჩივნის ცხოვრების ფიზიკური პირობების სხვა ასპექტები წარმოადგენს საკმარისი შეშფოთების საგანს. უფრო კონკრეტულად, ჩანს რომ საკვები იყო ცუდი ხარისხის და არასაკმარისი. შენობა არ იყო გამთბარი საკმარისად და ზამთარში მომჩივანს უწევდა ქურთუკით ძილი. მას შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო შხაპი კვირაში ერთხელ არაჰიგიენურ და არასათანადო აბაზანაში. ტუალეტები იმყოფებოდა საზარელ მდგომარეობაში და CPT-ის მოსაზრებით მათში შესვლა იყო საშიში (იხილეთ ზემოთ 21-ე, 22-ე, 23-ე, 78-ე და 79-ე პუნქტები). დამატებით, სახლში ხალხს არ უბრუნდებოდათ იგივე ტანსაცმელი რეცხვის შემდეგ (იხილეთ ზემოთ 21-ე პუნქტი), რაც სავარაუდოდ იწვევდა მაცხოვრებელთა არასრულფასოვნების განცდას.

210. სასამართლო გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ მომჩივანი იმყოფებოდა ზემოაღნიშნულ პირობებში საკმაოდ დროის განმავლობაში, დაახლოებით შვიდი წელი. არც ჩრთ-ის კვლევის შედეგების იგნორირება შეიძლება, რომლებმაც დაასკვნეს, რომ აღნიშნულ პერიოდში საცხოვრებელი პირობები უტოლდებოდა არადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. მიუხედავად ამ შედეგების ცოდნისა, 2002-დან 2009 წლამდე პერიოდში მთავრობამ არ შეასრულა მისი ვალდებულებები დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით (იხილეთ ზემოთ 82-ე პუნქტი). სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ დასახელებული ფინანსური რესურსების არარსებობა არ წარმოადგენდა მართებულ არგუმენტს მომჩივნის ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ პირობებში ცხოვრების გასამართლებლად (იხილეთ, *Poltoratskiy* ზემოხსენებული საქმე, \$ 148).

211. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულ ხელისუფლებას სურდა დამამცირებელი მოპყრობის განხორციელება. მაგრამ, როგორც აღინიშნა ზემოთ (იხილეთ 203-ე პუნქტი), ამგვარი მიზნის არარსებობამ არ შეიძლება სრულად გამორიცხოს მესამე მუხლის დარღვევის არსებობა.

212. საბოლოოდ, მიუხედავად იმ გაუმჯობესებისა, რომელიც პასტრას სოციალური დახმარების სახლში განხორციელდა 2009 წლის მიწურულს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთლიანობაში განხორციელებული შეფასებისას, საცხოვრებელი პირობები, რომელშიც მომჩივანს უწევდა ცხოვრება დაახლოებით შვიდი წლის განმავლობაში, წარმოადგენდა დამამცირებელ მოპყრობას.

213. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

C. კონვენციის მესამე მუხლის მეცამეტე მუხლთან ერთობლიობაში სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის არსებითი მხარე

1. მხარეთა მოსაზრებები

214. მომჩივანმა განაცხადა, რომ არანაირი შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმი არ იყო ხელმისაწვდომი, მათ

შორის “ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ” 1988 წლის კანონით დადგენილი კომპენსაციის მიღების უფლებაც საჭიროებდა მეურვის თანხმობას. მან მიუთითა ამ მიმართებით, რომ მას ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჰყავდა მეურვე, ქ-ნ რ.პ.-სთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, 2002 წლის 31 დეკემბრიდან (იხილეთ ზემოთ მე-12 პუნქტი), ახალი მეურვის დანიშვნამდე, 2005 წლის 2 თებერვლამდე პერიოდში (იხილეთ ზემოთ მე-17 პუნქტი). უფრო მეტიც, მისი ახალი მეურვე იყო სოციალური მზრუნველობის სახლის დირექტორი. შესაბამისად, მომჩივანსა და მეურვეს შორის იარსებებდა ინტერესთა კონფლიქტი, თუკი წარმოიშობოდა დავა სახლის საცხოვრებელ პირობებს გამო და მომჩივანს არ შეიძლებოდა ჰქონოდა წამოყენებულ ბრალდებებზე მეურვის მხარდაჭერის იმედი.

215. მთავრობის მოსაზრებით, ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით სარჩელი (იხილეთ ზემოთ 51-52-ე პუნქტები) წარმოადგენდა საშუალებას, რომლითაც მომჩივანს შეეძლო მისი სტატუსის აღდგენა და დროებითი მეურვეობისგან გათავისუფლების შემთხვევაში, მას ჰქონდა უფლება დაეტოვებინა სოციალური მზრუნველობის სახლი და მის მიერ გასაჩივრებული საცხოვრებელი პირობებში ყოფნაც აღარ მოუწევდა.

216. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ მომჩივანს შეეძლო ეჩივლა საცხოვრებელი პირობების შესახებ პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში “ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ” 1988 წლის კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, სარჩელის შეტანის გზით (იხილეთ ზემოთ 62-67-ე პუნქტები).

2. სასამართლოს შეფასება

217. სასამართლო უთითებს მის მიერვე დადგენილ პრეცედენტულ სამართალზე მე-13 მუხლთან მიმართებით, რომელიც ახდენს სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი ღონისძიების უზრუნველყოფას კონვენციის დარღვევასთან “დაკავშირებული საჩივრის” არსებობისას და უზრუნველყოფს შესაბამისი დაკმაყოფილების ვალდებულებას. წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული დისკრეცია ამ დებულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების

ფორმასთან დაკავშირებით. მეცამეტე მუხლით დადგენილი ვალდებულების შინაარსი განსხვავდება კონვენციის შესაბამისად წარდგენილი საჩივრის ბუნების მიხედვით. მაგრამ, მე-13 მუხლით დადგენილი ღონისძიება უნდა აიყოს “ეფექტური” როგორც პრაქტიკულად, ისე საკანონმდებლო დონეზე (იხილეთ *McGlinchey and Others v. the United Kingdom*, no. 50390/99, § 62, ECHR 2003-V).

218. როგორც ამ საქმეში, ყველა იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო ადგენს მე-3 მუხლის დარღვევას, მისგან მომდინარე არამატერიალური ზიანის გამო ანაზღაურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ღონისძიებათა ფარგლებში (Ibid. § 63; და *Iovchev*, ზემოხსენებული საქმე, § 143)..

219. აღნიშნულ საქმეში სასამართლო უთითებს, რომ ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ” 1988 წლის კანონის 1 (1) მუხლი განმარტებულ იქნა ეროვნულ სასამართლოების მიერ იმგვარად, რომ იგი ვრცელდებოდა პატიმართათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც მომდინარეობდა პატიმრობის ცუდი პირობებიდან (იხილეთ ზემოთ 63-64-ე პუნქტები). მაგრამ, მთავრობის მოსაზრების მიხედვით, მომჩივნის პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება არ წარმოადგენდა პატიმრობას ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით (იხილეთ ზემოთ 108-111-ე პუნქტები). შესაბამისად, მას არ ჰქონდა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება სახლის ცუდ საცხოვრებელ პირობათა გამო. უფრო მეტიც, არ არსებობს სასამართლო პრეცედენტები, რომელშიც ეს დებულება გავრცელდა სოციალური მზრუნველობის სახლთა ცუდი პირობების ბრალდებებზე (იხილეთ ზემოთ 65-ე პუნქტი) და მთავრობასაც არ წარმოუდგენია საწინააღმდეგო არგუმენტაცია. ამ მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ აღნიშნული საშუალება არ იყო ეფექტიანი მე-13 მუხლის მიზნებისთვის.

220. რაც შეეხება მთავრობის მითითებას ქმედუნარიანობის აღდგენის პროცედურასთან დაკავშირებით (იხილეთ 215-ე პუნქტი), სასამართლო ადგენს, რომ მის აღდგენით ღონისძიებად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, მომჩივანი აღიდგენდა მხოლოდ ქმედუნარიანობას და დატოვებდა სახლს, მაგრამ მას არ გადაეცემოდა რაიმე სახის კომპენსაცია მოთავსების პერიოდში

განხორციელებული მოპყრობის გამო. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიება არ ადგენდა ადექვატურ დაკმაყოფილებას.

221. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას მესამე მუხლთან ერთობლიობაში.

IV. კონვენციის 6 § 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

222. მომჩივანი ჩიოდა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობა არ აძლევდა მას შესაძლებლობას მიემართა სასამართლოსთვის ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით. იგი ეყრდნობოდა კონვენციის 6 § 1 მუხლს, რომლის შესაბამისი ნაწილების თანახმადაც:

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... უფლება მისი საქმე განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ..”

A. პირველადი პრეტენზიები

223. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ მთავრობამ მხარი დაუჭირა პალატის წინაშე დაყენებულ პრეტენზიას, რომელიც შეეხებოდა შიდა სამართლებრივი საშუალებების არ ამოწურვას. პრეტენზია ემყარებოდა სსკ-ის 227-ე მუხლს, რომელიც მთავრობის აზრით, აძლევდა მომჩივანს სასამართლოს წინაშე პირადად მიმართვის უფლებას ქმედუნარიანობის აღდგენის მიზნით.

224. დიდი პალატა უთითებს, რომ დასაშვებობის 2010 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში პალატამ აღნიშნა, რომ მომჩივანმა სადავოდ გახადა იმ საშუალებაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც, მთავრობის განცხადებით, მისცემდა შესაძლებლობას შეემოწმებინა მისი სამართლებრივი სტატუსი და რომ ეს არგუმენტი ამყარებდა მის 6 § 1 მუხლის შესაბამისად წარდგენილ საჩივარს. შესაბამისად პალატამ გააერთიანა მთავრობის პრეტენზია საჩივრის არსებითი განხილვის ნაწილთან. დიდი პალატა ვერ ხედავს პალატის დასკვნისგან გადახვევის მიზეზს.

B. არსებითი მხარე

1. მხარეთა მოსაზრებები

225. მომჩივანმა აღნიშნა, რომ მას არ შეეძლო პირადად დაეწყო სამართალწარმოება მისი ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით სსკ-ის 227-ე მუხლის საფუძველზე და რომ აღნიშნული დადგენილი იყო უზენაესი სასამართლოს #5/79 გადაწყვეტილებით (იხილეთ ზემოთ, 51-ე პუნქტი). თავისი არგუმენტის გასამყარებლად, მან განაცხადა, რომ დუპნიცას რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა მისი საჩივრის განხილვაზე, რომელიც შეეხებოდა მერის უარს ამგვარი სამართალწარმოების დაწყებაზე, რადგანაც მეურვის მიერ არ იყო ოფიციალური ფორმა დამოწმებული (იხილეთ ზემოთ 39-40-ე პუნქტები).

226. გარდა ხსენებულისა, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს შეეძლო ქმედუნარიანობის აღდგენის სარჩელის წარდგენა, მომჩივანმა სცადა ამგვარი სამართალწარმოების დაწყება პროკურატურის, მერის და მისი მეურვის (სახლის დირექტორი) საშუალებით. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოში არანაირი საჩივარი არ იქნა შეტანილი, ყველა მისი მცდელობა აღმოჩნდა უშედეგო. შესაბამისად, მომჩივანს არასდროს ჰქონია შესაძლებლობა განხილულიყო მისი საქმე სასამართლოს მიერ.

227. მთავრობამ განაცხადა, რომ სსკ-ის 277-ე მუხლი უზრუნველყოფდა მომჩივანს სასამართლოზე პირდაპირ ხელმისაწვდომობას მისი სამართლებრივი სტატუსის გადასასინჯად. მომჩივნის მსჯელობის საპირისპიროდ, მთავრობამ მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს #5/79 გადაწყვეტილება ახდენდა სსკ-ის 277-ე მუხლის ინტერპრეტაციას იმგვარად, რომ ნაწილობრივ ქმედუნარიანობა შეზღუდულ პირებს გააჩნდათ სასამართლოზე პირდაპირი ხელმისაწვდომობა მეურვეობისგან გასათავისუფლებლად. ამგვარი საჩივარის გაკეთების ერთდერთი წინაპირობა იყო მათი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მტკიცებულების წარმოდგენა. მაგრამ, როგორც მითითებულ იქნა პროკურორის თხოვნით ჩატარებულ სამედიცინო შემოწმებაში (იხილეთ ზემოთ 27-ე პუნქტი), რომელმაც, თავის მხრივ, დაადგინა, რომ მომჩივნის მდგომარეობა კვლავ უცვლელი იყო და მას არ შეეძლო საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა, მომჩივანს არ გააჩნდა ამგვარი მტკიცებულება. შესაბამისად, მთავრობამ

დაასკვნა, რომ მომჩივანს არ უცდია სასამართლოსთვის მიმართვა პირდაპირ, რადგანაც არ შეეძლო მისი საჩივარის დასაბუთება.

228. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ სასამართლოები რეგულარულად იხილავდნენ ქმედუნარიანობის აღდგენის განცხადებებს, რომლებიც, მაგალითად, წარდგენილი იყო მეურვეთა მიერ.

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

229. სასამართლო იმეორებს, რომ 6 § 1 მუხლი იცავს ყველას უფლებას მის სამოქალაქო უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე წარადგინოს სარჩელი (იხილეთ *Golder v. the United Kingdom*, 1975 წლის 21 თებერვალი, § 36, Series A no. 18). “უფლება სასამართლოზე”, რომლის ერთ-ერთი ასპექტია ხელმისაწვდომობის უფლება, შეიძლება იქნას გამოყენებული ყველას მიერ, ვინც მიიჩნევს შესაბამის საფუძველზე, რომ მის სამოქალაქო უფლებების განხორციელებაში ჩარევა უკანონოა და არანაირი შესაძლებლობა არ მიეცათ, რათა წარედგინათ სარჩელი 6 § 1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სასამართლოში (იხილეთ, *inter alia*, *Roche v. the United Kingdom* [GC], no. 32555/96, § 117, ECHR 2005-X, და *Salontaji-Drobnjak v. Serbia*, no. 36500/05, § 132, 2009 წლის 13 ოქტომბერი).

230. სასამართლოზე ხელმისაწვდომობა არ არის აბსოლუტური და ექვემდებრება სხვადასხვა შეზღუდვებს; აღნიშნული ნებადართულია ნაგულისხმევად, რადგან სასამართლოზე ხელმისაწვდომობა “მისი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს რეგულირებას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს დროის და ადგილის, საზოგადოების და ინდივიდების საჭიროებების და რესურსების მიხედვით” (იხილეთ, *Ashingdane* ზემოხსენებული საქმე, § 57). ამგვარი დებულების დადგენით, წევრი სახელმწიფოებს აქვთ განსაზღვრული შეფასების ზღვარი. მაშინ როცა კონვენციის მოთხოვნათა უზრუნველყოფის შეხახვებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, მის ფუნქციათა ნაწილს არ წარმოადგენს ეროვნულ ორგანოთა შეფასებების ჩანაცვლება სხვა შეფასებებით, რომელიც ამ დარგში შეიძლება იყოს საუკეთესო. მაგრამ, გამოყენებულმა შეზღუდვებმა არ უნდა

დააბრკოლონ პირის ხელმისაწვდომობა იმგვარად ან იმ მოცულობით, რომ უფლების ძირითადი არსი დაირღვეს. დამატებით, შეზღუდვა არ იქნება შესაბამისობაში 6 \$ 1 მუხლთან, თუ იგი არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არ არსებობს გონივრული პროპორციული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (*ibid.*; სხვადასხვა მრავალ წყაროს შორის იხილეთ, *Cordova v. Italy (no. 1)*, no. 40877/98, § 54, ECHR 2003-I, და შესაბამისი პრინციპების შეჯამება *Fayed v. the United Kingdom*, 1994 წლის 21 სექტემბერი, § 65, Series A no. 294-B).

231. დამატებით, კონვენცია მიზნად ისახავს უფლებათა უზრუნველყოფას, რომლებიც არ არის თეორიული ან ილუზორული, არამედ არის პრაქტიკული და ეფექტიანი. აღნიშნული განსაკუთრებით ვრცელდება მე-6 მუხლში წარმოდგენილ გარანტიებზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს უფლების და ამ მუხლის ყველა გარანტიის განსაკუთრებული ადგილის გამო (იხილეთ *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no. 42527/98, § 45, ECHR 2001-VIII).

232. საბოლოოდ, სასამართლო უთითებს, რომ “სულით ავადმყოფთა” უმეტეს საქმეებში ეროვნული სამართალწარმოებები ეხებოდა პირთა დაპატიმრებას და ისინი შესაბამისად განიხილებოდნენ კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებით. მაგრამ, მყარად ხდებოდა იმის განსაზღვრა, რომ “5 \$ 1 და 4 მუხლებით დადგენილი გარანტიები თითქმის იდენტური იყო 6 \$ 1 მუხლში უზრუნველყოფილ გარანტიებთან” (იხილეთ, მაგალითისთვის, *Winterwerp*, ზემოხსენებული საქმე, § 60; *Sanchez-Reisse v. Switzerland*, 1986 წლის 21 დეკემბერი, §§ 51 and 55, Series A no. 107; *Kampanis v. Greece*, 1995 წლის 13 ივლისი, § 47, Series A no. 318-B; and *Ilijkov v. Bulgaria*, no. 33977/96, § 103, 2001 წლის 26 ივლისი). *Shtukaturov*-ის საქმეში (ზემოხსენებული საქმე, § 66), იმის განსაზღვრისას იყო თუ არა ქმედუუნაროდ მიჩნევის პროცედურები სამართლიანი, სასამართლომ *mutatis mutandis*, მიუთითა კონვენციის 5 \$ 1 (ე) და 4 მუხლებთან დაკავშირებული პრეცედენტულ სამართალზე.

(b) ზემოაღნიშნული პრინციპების ამ საქმეში გამოყენება

233. დასაწყისისთვის სასამართლო უთითებს, რომ ამ საქმეში არცერთი მხარე სადავოდ არ ხდის მე-6 მუხლის მოქმედებას ქმედუნარიანობის აღდგენის სამართალწარმოებაზე. მომჩივანი, რომელსაც ნაწილობრივ შეეზღუდა ქმედუნარიანობა, ჩიოდა რომ ბულგარეთის კანონმდებლობა არ აძლევდა მას პირდაპირ ხელმისაწვდომობას სასამართლოზე. სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა, რათა დაედგინა რომ ქმედუნარიანობის აღდგენის სამართალწარმოება პირდაპირ წარმოადგენდა “სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების” განსაზღვრას (იხილეთ *Matter v. Slovakia*, no. 31534/96, § 51, 1999 წლის 5 ივლისი). შესაბამისად კონვენციის 6 § 1 მუხლი ვრცელდება ამ საქმეზე.

234. შემდგომ უნდა გაირკვეს ჰქონდა, თუ არა მომჩივანს შეზღუდული სასამართლოზე მიმართვის ხელმისაწვდომობა და დადებითი პასუხის შემთხვევაში ისახავდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს და იყო თუ არა პროპორციული.

235. სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მხარეთა შეხედულებები განსხვავდებოდა იმასთან დაკავშირებით, ქმედუნარო პირს ჰქონდა თუ არა *locus standi* ბულგარეთის სასამართლოებისთვის პირდაპირ მისამართად ქმედუნარიანობის აღდგენის მიზნით; მთავრობა აცხადებდა, რომ აღნიშნული შესაძლებელი იყო, მაშინ როცა მომჩივანი ამტკიცებდა საწინააღმდეგოს.

236. სასამართლო აღიარებს მომჩივნის არგუმენტს, რომ ბულგარეთის სასამართლოებისთვის მისამართავად ნაწილობრივი ქმედუნარიანობის მქონე პირს სჭირდებოდა 1952 წლის სსკ-ის 277-ე მუხლით (რომელიც 2007 წლის სსკ-ის 340-ე მუხლი გახდა) განსაზღვრულ პირთა დახმარება. იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ბულგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად, არ გულიხმობს პირდაპირ ნაწილობრივი ქმედუნარიანობის მქონე პირებს (იხილეთ ზემოთ 45-ე და 51-ე პუნქტები).

237. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს 1980 წლის გადაწყვეტილებას (იხილეთ 51-ე პუნქტი), სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული მისი მე-10 პუნქტის მეოთხე წინადადება იძლევა იმის განცდას, რომ ნაწილობრივი

მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს აქვს სასამართლოსთვის პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობა, უზენაესი სასამართლო შემდგომ ადგენს აღნიშნულთან დაკავშირებით, რომ თუ ნაწილობრივ ქმედუუნარო პირის მეურვე და სამეურვეო უწყება უარს ამბობენ სამართალწარმოების დაწყებაზე, კონკრეტულ პირს შეუძლია მიმართოს პროკურორს ამგვარი მოთხოვნით. სასამართლოს აზრით, პროკურორის ჩარევის აუცილებლობა თითქმის შეუთავსებელია ნაწილობრივი მეურვეობის მქონე პირთა მიერ სასამართლოზე პირდაპირ ხელმისაწვდომობასთან, რადგანაც პროკურორის დისკრეციაზეა დამოკიდებული მისი პროცესში მონაწილეობის საკითხი. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს 1980 წლის გადაწყვეტილება არ შეიძლება ითქვას, რომ აშკარად აღიარებდა ამგვარი ხელმისაწვდომობის არსებობას ბულგარეთის კანონმდებლობაში.

238. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ნაწილობრივი მეურვეობის მქონე პირებს შეეძლოთ თავად მიემართათ სასამართლოსთვის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით; მაგრამ მთავრობამ განაცხადა, რომ ქმედუუნარიანობის აღდგენის შესახებ მინიმუმ ერთი საჩივარი იქნა წარმატებულად დასრულებული, რომელიც შეტანილი იყო სრულად ქმედუუნარო პირის მეურვის მიერ (იხილეთ ზემოთ 52-ე პუნქტი).

239. შესაბამისად სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმას, რომ მომჩივანს არ შეეძლო ქმედუუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით დამოუკიდებლად მიემართა მეურვის ან სსკ-ის 227-ე მუხლში განსაზღვრულ პირთა გარეშე.

240. სასამართლო ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ როცა საკითხი ეხება სასამართლოს ხელმისაწვდომობას, ეროვნული სამართალი არ განასხვავებს ერთმანეთისგან იმ პირებს, რომლებიც სრულად ქმედუუნარონი არიან, მომჩივნის მსგავს სიტუაციაში მყოფ, ნაწილობრივ ქმედუუნარო პირებისგან. გარდა ამისა, ეროვნული კანონმდებლობა არ ადგენს პირისთვის მეურვეობის დანიშვნის საფუძვლების პერიოდულად ავტომატური შემოწმების შესაძლებლობას. და ბოლოს მომჩივნის საქმეში გამოყენებული ღონისძიება არ იყო შეზღუდული დროში.

241. სასამართლოზე ხელმისაწვდომობა არ არის აბსულუტური და მისი ბუნებიდან გამომდინარე მოითხოვს, რომ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს გარკვეული შეფასების ზღვარი ამ სფეროს დასარეგულირებლად (იხილეთ *Ashingdane*, ზემოხსენებული საქმე, § 57). დამატებით, სასამართლო აცნობიერებს, რომ პირის პროცედურული უფლებების შეზღუდვა, მაშინაც კი როცა მას მხოლოდ ნაწილობრივ ეზღუდება ქმედუნარიანობა, შეიძლება იქნას გამართლებული პირის ან სხვა პირთა ინტერესების დაცვის და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების მიზნით. მაგრამ, ამ უფლებათა განხორციელების მნიშვნელობა იქნება განსხვავებული იმ სარჩელის მიზნის მიხედვით, რომლის დაცვასაც პირი ისახავს მიზნად. უფრო კონკრეტულად, სასამართლოსთვის მიმართვა ქმედუუნაროდ ცნობის შემოწმების მიზნით, არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება კონკრეტული პირისთვის, რადგან მისი ინიცირების შემთხვევაში იგი ახდენს გავლენას სხვა უფლებებზე და თავისუფლებებზე, რომლებზეც ქმედუუნაროდ აღიარებამ იქონია გავლენა და აღნიშნული არ შემოიფარგლება მხოლოდ პირის თავისუფლების მიმართ დადგენილი შეზღუდვებით (იხილეთ ზემოთ, *Shtukatur*, ზემოხსენებული საქმე, § 71). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს უფლება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცედურული გარანტია იმ პირთა დასაცავად, რომელთაც ნაწილობრივ შეეზღუდათ ქმედუნარიანობა. შესაბამისად, ამ პირებს უნდა ჰქონდეთ სასამართლოებზე პირდაპირი ხელმისაწვდომობა ამ სფეროში.

242. მაგრამ, სახელმწიფო თავისუფალია იმ პროცედურული ფორმის ასარჩევად, რომლითაც ამგვარი პირდაპირი ხელმისაწვდომობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი. ამავედროულად, სასამართლო მიიჩნევს, რომ შეუთავსებელი იქნება მე-6 მუხლთან ეროვნული კანონმდებლობით გარკვეული შეზღუდვების დაწესება სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე ამ სფეროში, მხოლოდ იმ მიზნით, რომ სასამართლოები არ იყვნენ გადატვირთულნი გადაჭარბებული რაოდენობის ამჟამად დაუშვებელი განაცხადებით. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ პრობლემა შეიძლება იქნას გადაჭრილი სხვა, უფრო ნაკლებშეზღუდვით ღონისძიებებით, ვიდრე პირდაპირ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ავტომატური უარით, მაგალითად საჩივართ მიმართვის სიხშირის ან საქმის მასალებზე

დაყრდნობით დასაშვებობის წინასწარი შემოწმების სისტემის შემოღებით.

243. სასამართლო დამატებით აკვირდება, რომ შესწავლილი ოცი ეროვნული სამართლებრივი სისტემიდან თვრამეტი ამ კონტექსტში აღგენდა სასამართლოზე პირდაპირ ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ნაწილობრივ ქმედუწმნარო პირისთვის, რომელთაც სურდათ მათი სტატუსის შემოწმება. ჩვიდმეტ სახელმწიფოში ამგვარი ხელმისაწვდომობა ვრცელდებოდა იმათზეც, ვინც სრულად ქმედუწმნაროდ იყო მიჩნეული (იხილეთ ზემოთ 88-90-ე პუნქტები). აღნიშნული მიუთითებს, რომ ევროპულ დონეზე არსებობს ტენდენცია ქმედუწმნარიანობის აღდგენის მიზნით ქმედუწმნარო პირთათვის სასამართლოზე პირდაპირი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფად.

244. სასამართლო ასევე ვალდებულია აღნიშნოს პროგრესირებადი მნიშვნელობა, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო აქტები მოიაზრებენ, მათთვის მაქსიმალურად მეტი სამართლებრივი ავტონომიის მინიჭებას. ამ მიმართებით სასამართლო უთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 2006 წლის 13 დეკემბერის “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების” კონვენციაზე და ქმედუწმნარო ზრდასრულ პირთა სამართლებრივი დაცვის პრინციპების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის # R (99) 4 რეკომენდაციაზე, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ ქმედუწმნარო პირთა დასაცავად ედეკვატური პროცედურული გარანტიების წარმოდგენას მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში, იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი სტატუსის პერიოდული შემოწმება და რომ განხორციელდეს შესაბამისი რესტიტუციური საშუალებების უზრუნველყოფა (იხილეთ ზემოთ 72-73-ე პუნქტები).

245. ზემოაღნიშნულის ფონზე, უფრო კონკრეტულად ეროვნულ კანონმდებლობაში და შესაბამის საერთაშორისო აქტებში აღიარებული ტენდენციის შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის 6 § 1 მუხლი უნდა იქნას განმარტებული იმგვარად, რომ ნაწილობრივ ქმედუწმნაროდ მიჩნეულ პირებს,

როგორც ეს მომჩივნის შემთხვევაში იყო, გარანტირებული ჰქონდეთ პირდაპირი ხელმისაწვდომობა სასამართლოზე ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნის მიზნით.

246. ამ საქმეში სასამართლოს მიაჩნია, რომ ბულგარეთის შესაბამისი კანონმდებლობით ამგვარი სახის პირდაპირი ხელმისაწვდომობა არ იყო გარანტირებული სიცხადის საკმარისი ხარისხით. აღნიშნული დასკვნა საკმარისია იმისთვის, რომ კონვენციის 6 § 1 მუხლის დარღვევა იქნას გაცხადებული მომჩივანთან მიმართებით.

247. აღნიშნული დასკვნა ათავისუფლებს სასამართლოს იმის შემოწმებისგან, უზრუნველყოფდნენ თუ არა მთავრობის მიერ მითითებული არაპირდაპირი სამართლებრივი საშუალებები მომჩივნისთვის საკმარის გარანტიებს, საქმის სასამართლოს წინაშე წარსადგენად.

248. სასამართლო უარყოფს მთავრობის პრეტენზიას შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით (იხილეთ 223-ე პუნქტი) და ასკვნის რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6 § 1 მუხლის დარღვევას.

V. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა ცალკე აღებული და მე-13 მუხლთან ერთობლიობაში

249. მომჩივანი დავობდა, რომ შემზღუდველი სამეურვეო რეჟიმი, მათ შორის პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსება და იქ ფიზიკური ცხოვრების პირობები, წარმოადგენდნენ მის პირადი ცხოვრების და საცხოვრისის ხელშეუხებლობის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. მან აღნიშნა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობა არ უდგენდა მას საკმარის და ხელმისაწვდომ აღდგენით საშუალებას ამ მიმართებით. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-8 მუხლს, ცალკე აღებულს და მე-13 მუხლთან ერთობლიობით.

მე-8 მუხლი ადგენს:

“1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად..”

250. მომჩივანმა აღნიშნა, რომ სამეურვეო რეჟიმი არ ითვალისწინებდა მის ინდივიდუალურ შემთხვევას, არამედ, იწვევდა ავტომატურად შეფარდებულ აკრძალვებს ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც ცხადდებოდა ქმედუუნაროდ მოსამართლის მიერ. მან დაამატა, რომ პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში ცხოვრებამ ხელყო მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და სხვა ხალხთან მისი არჩევანით ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა. ხელისუფლებას არ უცდია ეპოვა საზოგადოებაში საკითხის ალტერნატიული თერაპიული გადაწყვეტები ან რათა მიეღო ზომები, რომლებიც უფრო ნაკლებშემზღუდველი იყო მისი პირადი თავისუფლებისათვის, აღნიშნულის შედეგად კი მას ჩამოუყალიბდა “ინსტიტუციონალიზაციის სინდრომი”, რაც გულისხმობდა სოციალური უნარების და პიროვნული მახასიათებლების დაკავას.

251. მთავრობამ სადავო გახადა აღნიშნული ბრალდებები.

252. კონვენციის მე-3, მე-5, მე-6 და მე-13 მუხლებთან მიმართებით მისი დასკვნების მხედველობაში მიღების შემდეგ, სასამართლო ადგენს, რომ ცალკე აღარ არის საჭირო კონვენციის მე-8 მუხლის, ცალკე აღებული და მე-13 მუხლთან ერთობლიობაში, სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით მსჯელობა. შესაბამისად, საჩივრის შემოწმება არ არის საჭირო.

VI. კონვენციის 46-ე და 41-ე მუხლები

A. კონვენციის 46-ე მუხლი

253. კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად:

- „1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო განჩინებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.
2. სასამართლოს საბოლოო განჩინება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას”

254. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით წევრი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო განჩინებებს, რომლებშიც ისინი წარმოადგენენ მხარეებს და აღსრულების ზედამხედველობა ხორციელდება მინისტრთა კომიტეტის მიერ. კერძოდ, *inter alia* ეს გულისხმობს იმას, რომ როდესაც სასამართლო ადგენს დარღვევას, მოპასუხე სახელმწიფოს აქვს იურიდიული ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არამხოლოდ გადაურიცხოს მომჩივანს კონვენციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი დაკმაყოფილების სახით სასამართლოს მირ მიკუთვნებული თანხა, არამედ, მინისტრთა კომიტეტის კონტროლის ქვეშ, შეარჩიოს ის ინდივიდუალური და/ან ზოგადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია მის სამართლებრივ სისტემაში სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევის გამოსწორების მიზნით და მაქსიმალურად აღმოფხვრას მისგან გამოწვეული საზიანო შედეგები (იხილეთ *Menteş and Others v. Turkey* (50-ე მუხლი), 1998 წლის 24 ივნისი, § 24, *Reports* 1998-IV; *Scozzari and Giunta v. Italy* [GC], nos. 39221/98 and 41963/98, § 249, ECHR 2000-VIII; და *Maestri v. Italy* [GC], no. 39748/98, § 47, ECHR 2004-I). პრინციპში, სახელმწიფო თავისუფალია, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით, შეარჩიოს ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ის აპირებს მასზე კონვენციის 46-ე მუხლით დაკისრებული იურიდიული ვალდებულებების შესრულებას (იხილეთ *Scozzari and Giunta*, ზემოხსენებული საქმე; *Brumărescu v. Romania* (სამართლიანი დაკმაყოფილება) [GC], no. 28342/95, § 20, ECHR 2001-I; და *Öcalan v. Turkey* [GC], no. 46221/99, § 210, ECHR 2005-IV).

255. მაგრამ, წევრ სახელმწიფოს კონვენციის 46-ე მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაში დახმარების მიზნით, სასამართლომ შეიძლება მიუთითოს ინდივიდუალური ან ზოგადი ღონისძიება, რათა აღმოფხვრას ის სიტუაცია, რომელშიც

დარღვევა იქნა დადგენილი (იხილეთ *Broniowski v. Poland* [GC], no. 31443/96, § 194, ECHR 2004-V, და *Scoppola v. Italy (no. 2)* [GC], no. 10249/03, § 148, ECHR 2009-...).

256. აღნიშნულ საქმეში სასამართლო მიიჩნევს აუცილებლად, მეხუთე მუხლის დარღვევის მხედველობაში მიღებით, მიუთითოს განჩინების აღსრულების ინდივიდუალური ღონისძიებები. სასამართლო უთითებს, რომ დადგენილ იქნა ამ მუხლის დარღვევა, რადგანაც არ იყო შესრულებული მოთხოვნა, რომლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს “კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისი” და რომ მომჩივნის თავისუფლების აღკვეთა განხორციელდა (ე) ქვეპუნქტის ან 5 § 1 მუხლის სხვა ქვეპუნქტებისთვის აუცილებელი გამართლების გარეშე. ასევე აღნიშნულ იქნა სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსებისთვის აუცილებელი აშლილობის არსებობის ან მუდმივობის შეფასების ნაკლოვანებები (იხილეთ ზემოთ 148-160-ე პუნქტები).

257. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის უფლებათა დარღვევის ეფექტების გამოსასწორებლად, ხელისუფლებამ უნდა გამოარკვიოს სურს თუ არა მას აღნიშნულ სახლში დარჩენა. ამ გადაწყვეტილებაში არაფერი არ უნდა იქნას მიჩნეული მომჩივნის პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში ან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სხვა სახლებში მოთავსების ხელშემშლელ ფაქტორად, თუ დადგინდებოდა რომ იგი ეთანხმებოდა მოთავსებას. მაგრამ, თუ მომჩივანი ეწინააღმდეგება ამგვარ ღონისძიებას, ხელისუფლებამ უნდა გადასინჯოს მისი შემთხვევა დაყოვნების გარეშე ამ განჩინების დასკვნათა შესაბამისად.

258. სასამართლო აღნიშნავს, რომ მათ ასევე დაადგინეს 6 § 1 მუხლის დარღვევა სასამართლოზე პირდაპირი ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო იმ პირთათვის, რომლებიც არიან ნაწილობრივ ქმედუნარიანონი და ითხოვდნენ მის აღდგენას (იხილეთ ზემოთ 233-248-ე პუნქტები). სასამართლო, მისი დასკვნების შესაბამისად, მიმართავს რეკომენდაციით მოპასუხე სახელმწიფოს, რათა მათ წარმოადგინონ აუცილებელი ზოგადი ღონისძიებები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამგვარი ხელმისაწვდომობის ეფექტური შესაძლებლობა.

B. კონვენციის 41-ე მუხლი

259. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

1. ზიანი

260. მომჩივანს არ წარუდგენია მოთხოვნა მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, მაგრამ მოთხოვნილ იქნა 64,000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

261. იგი ამტკიცებდა, რომ მას უწევდა სოციალური მზრუნველობის სახლის ცუდი საცხოვრებელი პირობების ატანა და მოითხოვა 14,000 ევრო ამ მიმართებით. პასტრას სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსებასთან დაკავშირებით იგი აცხადებდა, რომ განიცდიდა აშლილობას, ტანჯვას და იმედგაცრუებას 2002 წლის დეკემბრიდან, როცა ღონისძიების აღსრულება დაიწყო. სახლში მისმა სავალდებულო მოთავსებამ ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის სოცოცხლეზე, რადგან იგი განცალკევებულ იქნა სოციალური გარემოდან და დაექვემდებარა ძალიან შემზღუდველ რეჟიმს, რის შედეგადაც საზოგადოებაში რეინტეგრაცია უფრო რთული გახდა მისთვის. მან მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც შეეხებოდა უკანონო პატიმრობას ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სოციალური მზრუნველობის სახლებში, ყურადღება უნდა მიქცეოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პირთა მოთავსებისას სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლიან დაკმაყოფილებას. მაგალითად მან მიუთითა განჩინებებზე *Gajcsi v. Hungary* (no. 34503/03, §§ 28-30, 3 ოქტომბერი 2006) და *Kayadjieva v. Bulgaria* (no. 56272/00, § 57, 28 სექტემბერი 2006), იმის აღნიშვნით, რომ მას შეეზღუდა თავისუფლება უფრო მეტი ხნის განმავლობაში ვიდრე მომჩივნებს ზემოაღნიშნულ საქმეებში. მან წარადგინა, რომ 30,000 ევრო იქნებოდა სამართლიანი დაკმაყოფილება ამ მიმართებით. საბოლოოდ, მან დაამატა, რომ სამართლებრივი სტატუსის

შესამოწმებლად სასამართლოებზე მისმა ხელმიუწვდომლობამ, შეზღუდა მისი პირადი ცხოვრების სფეროს რამდენიმე თავისუფლების ასპექტის განხორციელება, რამაც გამოიწვია არამატერიალური ზიანი, რომელსაც 20,000 ევრო გამოასწორებდა.

262. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მოთხოვნა იყო გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი. მათ განაცხადეს, რომ თუ სასამართლო მოახდენდა ანაზღაურების განსაზღვრას არამატერიალური ზიანისთვის, იგი არ უნდა გასცდენოდა ბულგარეთის წინააღმდეგ დადგენილ განჩინებებში განსაზღვრულ ოდენობებს, რომლებიც შეეხებოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სავალდებულო მოთავსებას. მთავრობამ მიუთითა შემდეგ გადაწყვეტილებებზე: *Kayadjieva* (ზემოხსენებული საქმე, § 57), *Varbanov* (ზემოხსენებული საქმე, § 67), და *Kepenerov v. Bulgaria* (no. 39269/98, § 42, 2003 წლის 31 ივლისი).

263. სასამართლოს აზრით, აღნიშნულ საქმეში დადგენილ იქნა კონვენციის სხვადასხვა დებულებათა დარღვევა, კერძოდ მე-3, მე-5 (1-ლი, მე-4 და მე-5 პუნქტები), მე-6 და მე-13 მუხლები. სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივანმა განიცადა ტანჯვა მისი მზრუნველობის სახლში მოთავსების შედეგად, რომელიც დაიწყო 2002 წლის დეკემბრიდან და კვლავ გრძელდება. მომჩივანს არ მიეცა იმის შესაძლებლობა, რომ გადასინჯულიყო შესაბამისი ღონისძიება და დროებითი მეურვეობისგან გათავისუფლების მოთხოვნით მიემართა სასამართლოსთვის. აღნიშნული ტანჯვა უდავოდ წარმოშობდა მასში დაუცველობის და აშლილობის გრძნობებს. სასამართლო დამატებით ადგენს, რომ მომჩივანმა განიცადა მორალური ზიანი მისი დამამცირებელი საცხოვრებელი პირობების გამო, რომელიც მან აიტანა შვიდ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

264. იხელმძღვანელა რა სამართლიანობის პრინციპით, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 41-ე მუხლით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივანს უნდა გადაეცეს საერთო თანხა 15,000 ევრო მორალური ზიანისთვის.

2. ხარჯები

265. მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

3. საურავი

266. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამ პროცენტიანი განაკვეთი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო

1. უარყოფს ერთხმად მთავრობის წინასასამართლო პრეტენზიას შიდა საშუალებათა ამოწურვასთან დაკავშირებით;
2. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 5 § 1 მუხლის დარღვევას;
3. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 5 § 4 მუხლის დარღვევას;
4. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 5 § 5 მუხლის დარღვევას;
5. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ცალკე და მე-13 მუხლთან ერთობლიობაში;
6. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6 § 1 მუხლის დარღვევას;
7. ადგენს ცამეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ არ არის აუცილებელი იმის შემოწმება დაირღვა თუ არა მე-8 მუხლი ცალკე და მე-13 მუხლთან ერთობლიობაში;
8. ადგენს ერთხმად,
 - (a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44 § 2 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ბულგარულ ლევში გადაუხადოს მომჩივანს 15,000 (ექვსი ათასი)

ევრო არამატერიალური ზიანის გამო, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

(b) ზემოხსენებული სამთვლიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

9. *უარყოფს ერთხმად მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნას სამართლიან დაკმაყოფილებაზე..*

შესრულებულია ინგლისურად და ფრანგულად და გამოცხადდა საჯარო სხდომაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში 2012 წლის 17 იანვარს.

ვინსენტ ბერგერი
იურისკონსულტანტი

ნიკოლას ბრათოზა
პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი განსხვავებული აზრები ერთვის თან წინამდებარე განაჩენს:

(ა) მოსამართლეების ტულკენსის, სპილმანის და ლაფანქუს ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;

(ბ) მოსამართლე კალაჯიევას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.

ნ.ბ.

ვ.ბ.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.